

აგორა
A5



ალიმ სახელი გაყიდა
A6



კალიზის ჩაუქრობელი ვარსკვლავი
A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 14 აპრილი, 2006 წელი. №81 (1233)

ფასი 50 თეთრი

## მიღწეული და სასურველი

### როდის გამოჩნდება დეტალებში დამალული ეშმაკი?

სოფო ბუკია

*"როცა სასურველს ვერ მიაღწიეს, მაშინ თავი მოიკატუნეს, რომ რასაც მიაღწიეს, სწორედ ის იყო სასურველი", - ეს სიტყვები ფრანგ ფილოსოფოსს მიშელ დე მონტენს ეკუთვნის.*

*ფრანგი-ქართველი სალომე ზურაბიშვილი დღეს სწორედ დე მონტენის პათოსით საუბრობს პარლამენტის მიერ რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით რატიფიცირებულ დოკუმენტზე და ამბობს, რომ ამჯერად "დეტალებში ჩასაფრებულ ეშმაკებზე სხვებმა უნდა ისაუბრონ".*

*სამხედრო ექსპერტი კობა ლიკლიკაძე კი მიიჩნევს, რომ ამ "ეშმაკის კუდიც, რქებიც და ჩლიქებიც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა საქართველო და რუსეთი ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით კონკრეტულ მოლაპარაკებებს დაიწყებენ".*

**"სრულიად წარმოუდგენელი რამ დიპლომატიის ისტორიაში,"** – ასე უწოდა საგარეო საქმეთა ექს-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ უკანასკნელ ნაბიჯებს.

**"ჩემთვის გასაოცარია, რომ პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ ამ ახალ დოკუმენტში, რომელიც იმპლემენტაციის დოკუმენტი უნდა ყოფილიყო, ნახსენებიც კი არ არის ჩვენ მიერ მოსკოვში მიღწეული შეთანხმება. ანუ შეთანხმება, რომელიც მართლაც ისტორიული იყო, ასე შეფასდა მთელს მსოფლიოში, ჩვენ უარვყავით და ვითომ არც ყოფილა. ჩემი აზრით, ეს არის ნიშანი იმისა, რომ რაღაც პოლიტიკური თამაშები დგას უფრო მაღლა, ვიდრე სახელმწიფო ინტერესები,"** – აღნიშნავს "24 საათთან" საუბარში სალომე ზურაბიშვილი, რომლის მინისტრობის დროსაც საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ რუსული ბაზების გასაყვანად ყველაზე ქმედითი ნაბიჯები გადადგა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დაარღვიეს თუ არა კანონი პრემიერმა, ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებმა?



ზურაბ ნოღაიდელი



ნიკა გილაური



ირაკლი ჩოგოვაძე

B

## რატომ მალავენ კანონს, რომელიც ხალხის მხარესაა?

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ლაგოდეხის რაიონი, კერძოდ კი, საბაჟო-გამშვები პუნქტი "ლაგოდეხი" ფინანსური პოლიციის, მებაჟეების და რიგითი ლაგოდეხელების დაპირისპირების არენად ხშირად ქცეულა. კონფლიქტის მიზეზი ყოველთვის კონტრაბანდა იყო...*

ხშირ შემთხვევაში, საქონლის შემოტანა, რომელიც სრულიად ლეგალურად და კანონიერად ხორციელდება, სიტყვიერი ბრძანებებისა და მავანის მიერ შედგენილი "შავი სიების" საფუძველზე იკრძალება. ყველა სტრუქტურა ცდილობს, პრეზიდენტის ბრძანება საკუთარი მეთოდებით შეასრულოს და მომგებიანი ქულებიც ჩაიწეროს.

გაგრძელება A4 გვერდზე




*დაპირისპირების არენად ქცეული საბაჟო-გამშვები პუნქტი "ლაგოდეხი".*

## ბაზები გადის - ზეიმობს ხელისუფლება, ბაზები რჩება - ბრაზობს ოპოზიცია

*გუშინ საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა 31 მარტს სოჭში მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებსა და წესს შეეხება. საპარლამენტო უმრავლესობა ამ გადაწყვეტილებას "ისტორიულს" უწოდებს და ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო ორგანომ "ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი" მიიღო.*

*აბსოლუტურად განსხვავებულ შეფასებებს აკეთებს ოპოზიცია, რომელიც პლენარული სხდომების ბოიკოტს აგრძელებს და საკუთარ მოსაზრებებს ბრიფინგზე აფიქსირებს. ხელისუფლების ოპონენტების თქმით, პარლამენტის მიერ გუშინ რატიფიცირებული ხელშეკრულება უვარგისი და საქართველოს ინტერესებისთვის საზიანოა.*

გიორგი ასანიშვილი

ოფიციალურ თბილისსა და მოსკოვს შორის სოჭში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, 2006 წლის 1 ივლისამდე საქართველოს გადაეცემა რუსეთის კუთვნილი ძირითადი სამხედრო ობიექტები, 2007 წლის 1 ოქტომბრამდე კი ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებიდან მთლიანად გავა მძიმე ტექნიკა და შეიარაღება. თუმცა, უმრავლესობა და ოპოზიცია ამ დოკუმენტის ზოგიერთ მუხლს განსხვავებულად კითხულობს და ამიტომ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ტვირთების ტრანზიტი და სხვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გზები, გზები...

### ექსპერტები დაგებულ ასფალტს, ათქულიანი სისტემით, ხუთ ქულას უწერენ

*ორი წლის წინათ, როდესაც აეროპორტის ტრასაზე ახლად დაგებული საფარის პრეზენტაცია შედგა, ქვეყნის პრეზიდენტმა იმდროინდელ ქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს უთხრა: თუ ეს გზა ათი წლის მანძილზე დაზიანდება, ყველას სათითაო კაპიკს მოვატანინებო... არ გასულა ერთი წელი, რომ ამ გზას შეკეთება დასჭირდა.*

ნათია მსხილაძე

აეროპორტის გზის ბედი სხვა საფარგანახლებულმა ქუჩებმაც გაიზიარეს. როგორც ექსპერტებმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნეს, გზის დაგებისას სერიოზული ხარვეზებია დაშვებული.

გზის დაგებისთვის ძალიან დიდი კონკურენციაა, თუმცა გზის მშენებლები მხოლოდ ერთწლიან გარანტიას იძლევიან, შესაბამისად, ერთი წლის შემდეგ გზა საწყის სახეს კარგავს. უნდა აღინიშნოს, რომ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ამის საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ სამშენებლო კომპანიები არა ერთ, არამედ სამ ან ხუთწლიან გარანტიას იძლევიან.

როგორც ექსპერტებმა განგვიმარტეს, გზები კაპიტალურად 90-იანი წლების შემდეგ არ შეკეთებულა. არადა, გზების რემონტი საშუალოდ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, ხოლო კაპიტალური - ათ-თორმეტ წელიწადში. ამ ეტაპზე ექსპერტები დაგებულ ასფალტს ათქულიანი შეფასების სისტემით, ხუთ ქულას უწერენ.

**ოთარ გელაშვილი,** *პროფესორი, სატრანსპორტო დეპარტამენტის უფროსი:*

- ახლად დაგებული გზების ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს. აეროპორტის გზას ერთი წლის მერე შეკეთება დასჭირდა, მიზეზი დაბალი ხარისხია. ახლად დაგებული გზების უმრავლესობაზე ისევ ჩნდება ორმოები, რომელიც სახიფათოა არა მარტო ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობისთვის, არამედ მოძრაობის მხრივაც. თბილისის საავტომობილო გზების განვითარება მეცნიერულ დონეზე დამუშავებული მეთოდებით არ ხდება; არ არის გაანალიზებული, რომელი უნდა იყოს ცენტრალური, მეორეხარისხოვანი, ცალმხრივი გზა და ა.შ. აქედან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება დღეს თბილისში ნულამდეა დასული.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რთული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი

### "ირანის ბირთვულ კლუბში გაწევრიანება არავისთვის იქნება სასარგებლო"

თეა მაისურაძე

საერთაშორისო საზოგადოება ირანის ბირთვული კრიზისის მოგვარებას კვლავაც დიპლომატიური გზით განაგრძობს. ოთხშაბათს გვიან ღამით თეირანს ოფიციალური ვიზიტით "მაგატე"-ს გენერალური მდივანი მუჰამედ ელ-ბარადეი ეწვია, რომელიც ირანის ხელისუფლებისაგან ურანის გამდიდრების პროცესის შეჩერებას მოითხოვს. ირანის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ არის ცნობილი. მაჰმუდ აჰმადინეჯადი აცხადებს, რომ ოფიციალური თეირანი იგნორირებას გაუკეთებს საერთაშორისო საზოგადოების ყოველგვარ მოთხოვნას, რაც ურანის გამდიდრების პროცესის შეჩერებას ეხება. პირიქით, აჰმადინეჯადი ირანის, როგორც ბირთვული კლუბის წევრის აღიარებას ითხოვს.

**"ირანი ურანის გამდიდრების პროცესის შეწყვეტას არ აპირებს",** – განაცხადა გუშინ ისლამური რესპუბლიკის რადიკალმა პრეზიდენტმა ირანის ხელმძღვანელობასა და მაგატე-ს გენერალური მდივანს შორის თეირანში დაგეგმილი მოლაპარაკების წინ. **"დღეს სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. ირანი ბირთვული სახელმწიფო გახდა და ამიერიდან ჩვენ დიალოგს ამ პოზიციიდან ვაწარმოებთ,** – აცხადებს აჰმადინეჯადი, – **ჩვენ არანაირ მოლაპარაკებაზე არ წავალთ იმ საკითხებზე, რაც ირანელი ერის უფლებებს ეხება და შესაბამისად არც ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევთ".**

აღნიშნული განცხადებების მიუხედავად, მაგატე-ს გენერალურ დირექტორს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ შეძლებს თეირანის დაყოლიებას და მის დაბრუნებას მოლაპარაკებების მაგიდასთან. გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი იმედოვნებს, რომ ბარადეი მოახერხებს ირანის დარწმუნებას პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარების თაობაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამბები

### ცალსახა მხარდაჭერა

13 აპრილს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა 26+1 ფორმატში (ნატოს 26 წევრი ქვეყანა და საქართველო) გაიმართა, სადაც საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების შეფასების ანგარიში განიხილეს.

A2

## სამართალი

### ვალერი გელაშვილი ისევ აქტუალურია

„რესპუბლიკური პარტიისა" და „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებმა გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს ვალერი გელაშვილისთვის პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების აღდგენის მოთხოვნით მიმართეს და სარჩელის დაკმაყოფილებასაც ელიან.

A4

## რევიუ

### განათებული სხეულები ბნელ სარდაფში

ხელები, ფეხები, სახე, მუცელი, - ამ ყველაფერს დღეს და ხვალ თეატრალური სარდაფის მაყურებელი სცენაზე იხილავს, სცენაზე წარმოდგენილ ეკრანებზე კი – ცალ-ცალკე. ავსტრიულ თანამედროვე ბალეტს თბილისში, ვაკის თეატრალურ სარდაფში, სულ სამი ადამიანი წარმოადგენს.

A8

### „ბრიტანეთის ავიახაზების" და „24 საათის" ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 14/04 | 15/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 26 |
| ტყიბული | 22 | 22 |
| სოხუმი | 23 | 19 |
| დმანისი | 20 | 21 |
| გორი | 23 | 22 |
| ონი | 17 | 17 |
| ზუგდიდი | 26 | 23 |
| ახმეტა | 26 | 25 |
| გაგრა | 21 | 20 |
| სამტრედია | 25 | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8210 |
| ევრო | 2.2060 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2220 |
| რუბლი | 0.0657 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| აგორა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ცალსახა მხარდაჭერა

*13 აპრილს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომა 26+1 ფორმატში (ნატოს 26 წევრი ქვეყანა და საქართველო) გაიმართა, სადაც საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების შეფასების ანგარიში განიხილეს. ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრები წარმოადგენდნენ. შეხვედრას ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰუპ სხეფერი ხელმძღვანელობდა.*

ბრიუსელში 26+1 ფორმატში გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე ნატოს წევრმა ყველა ქვეყანამ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მისწრაფების მხარდაჭერა გამოხატა.

როგორც ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე საქართველოში მიმდინარე რეფორმების განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა IPAP-ის განხორციელების კოორდინაციის მექანიზმი, რაც ინტეგრაციის პროცესისა და რეფორმების განხორციელების მდგრადობას უზრუნველყოფს.

ასევე პოზიტიურად შეფასდა თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა და საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მიმართულებით. რაც, როგორც საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, ქვეყანას მალე გზას გაუხსნის ნატოში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებისკენ. "კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, რომ არანაირი მესამე ქვეყნის ვეტო არ შეიძლება არსებობდეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესში, და კიდევ ერთხელ შეფასებულ იქნა გატარებული რეფორმები წარმატებულად," - განუცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა რადიო "თავისუფლებას".

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მიმდინარე ფართომასშტაბიანი რეფორმების პროცესი მდგრადი და შეუქცევადია. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, რეფორმები ყველა მიმართულებით გაგრძელდება. ამ ეტაპზე ყურადღება სასამართლო სისტემის რეფორმასა და ადგილობრივი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე გამახვილდება.

*24 საათი*

# საპროტესტო ნოტა რუსეთს

2006 წლის 21 მარტს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიიღო დადგენილება N154, რომელიც წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას, საერთაშორისო სტატუსი მიენიჭოს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებულ არალეგიტიმურ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს "განთიადი-ადლერი".

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მხარეს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე კანონიერ საფუძველზე ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი "ყაზბეგი-ზემო ლარსი", რომელიც გახსნილია "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ" 1993 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმების მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ყველა სხვა პუნქტი, კერძოდ "განთიადი-ადლერი" (საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი) და "როკი-ქვემო ზარამაგი" (საზღვრის ცხინვალის რეგიონის მონაკვეთი) არალეგიტიმურია.

აღინიშნა, რომ საქართველომ რუსეთის მხარეს არაერთხელ მოსთხოვა არალეგიტიმური საკონტროლო-გამშვები პუნქტების ფუნქციონირების აღნიშნულ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანა. სავიზო რეჟიმის საკითხებზე მოლაპარაკებებისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენჯერმე შესთავაზა რუსეთის მხარეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთების გადაკვეთის დროებითი რეჟიმის განმსაზღვრელი წესის განხილვა. რუსეთის მხარე თავს იკავებს საკითხის საგნობრივი განხილვისაგან და განაგრძობს 1993 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების დარღვევას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამგვარ ქმედებას აფასებს როგორც რუსეთის ფედერაციის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების, კერძოდ კი აღებული საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპის დარღვევას და რუსეთის მხარეს კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოიყვანოს არალეგიტიმური გამშვები პუნქტების ფუნქციონირება "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ" 1993 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

*საგარეო საქმეთა სამინისტრო*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს აკაკი გოგიჩაიშვილს. სტუმრები არიან "თი ბი სი" ბანკის დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე და "ცენტრ პოინტ ჯგუფის" ხელმძღვანელი მაია რჩეულიშვილი*

**აკაკი გოგიჩაიშვილ:** მოგესალმებით, თემით რომელიც პოლიტიკას ნაკლებად ეხება, მაგრამ, საკმაოდ აქტუალურია. დამეთანხმებით რომ დღეს უმრავლესობა იმაზე ფიქრობს, თუ სად შეიძინოს ბინა ან კომერციული ფართი და რა ფასად. სამშენებლო ბაზარი დღეს არნახულ ბუმს განიცდის. ამასთან, 2000 წლიდან მოყოლებული, ფასები მკვეთრად იზრდება. თქვენი შეფასებით, სადამდე ან როდემდე შეიძლება გაიზარდოს ფასები?

**მაია რჩეულიშვილი:** ჩვენ როგორც ვფიქრობთ, ფასები კვადრატულ მეტრზე 2000 დოლარამდე გაიზრდება.

**ა.გ.:** აქვე აღვნიშნოთ რამდენია დღეს თქვენი საბინაო ფართის ფასი?

**მ.რ.:** ჩვენი საშუალო ფასი დაახლოებით, 450 დოლარია, ასე რომ ჯერ დიდი გზაა გასავლელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ ძალიან აქტიურად დაიწყო მიწების გაყიდვა, რაც პირდაპირ კავშირშია ბინების ფასების მატებასთან. ეს არ არის კარგი, რადგან დღეს საქართველოში ხელოვნურად არის გაზრდილი ფასები, და რაღაც ეტაპზე აუცილებლად შეჩერდება. ფასები ნელ-ნელა უნდა იზრდებოდეს. ანუ ზრდის ტემპი გათვლილი უნდა იყოს, რათა ეს სეგმენტი არ გაჩერდეს.

**ა.გ.:** ვის შეუძლია ამის დარეგულირება?

**მ.რ.:** ეკონომიკის სამინისტროს.

**ა.გ.:** აქ ალბათ მნიშვნელოვანი საკითხია ინფლაციაც. მართალია სამთავრობო წყაროები გვიმტკიცებენ, რომ შვიდი პროცენტია, მაგრამ თუ სამშენებლო მასალებს გადავხედავთ, ეს გაცილებით მაღალია – შეიძლება, 100 პროცენტი და მეტიც იყოს.

**მ.რ.:** არსებობს გარკვეული რეზერვები, გარდა ამისა, საქართველო ძალიან მდიდარია იმ წიაღისეულით, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში. ბევრი საწარმო იყო დახურული და ახლა ხდება პრივატიზაცია, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სიტუაციას.

**ა.გ.:** გარკვეულად მაინც ალბათ გაიზარდა მოთხოვნილება ბინებზეც.

**მ.რ.:** ვერ ვიტყვი, რომ მოთხოვნილება გაიზარდა, რადგან სახელმწიფოს მსგავსად კერძო მოსახლეობამაც გააძვირა ფასები და მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სახლების უმრავლესობა ავარიულია, ჩვენ შევწყვიტეთ მოლაპარაკება კერძო მოსახლეებთან.

**ა.გ.:** თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, მოთხოვნილება მაინც გაიზარდა და ამას დიდად შეუწყო ხელი ბანკების მხრიდან კრედიტების გაცემის გააქტიურებამ და ასევე სამშენებლო კომპანიების სერვისმა, რომელიც უპროცენტო განვადებას სთავაზობს მომხმარებელს. რამდენად შეიცვალა საბანკო პოლიტიკა საკრედიტო სესხებთან დაკავშირებით ბოლო ორი წლის განმავლობაში და შესაბამისად გაიზარდა თუ არა?

**ვახტანგ ბუცხრიკიძე:** საბანკო სექტორმა გააქტიურება ჰიპოთეკურ სესხებზე, დაახლოებით, 2005 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წელს უფრო გაიზრდება ჰიპოთეკური სესხების რაოდენობა, რადგან დიდია მოთხოვნილებაც.

**ა.გ.:** რაც შეეხება ინტერესების დინამიკას - რა პერსპექტივებია მოსალოდნელი ამ მხრივ?

**ვ.ბ.:** ჩვენ გვინდა, რომ ჰიპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით მაქსიმალურად გავამარტივოთ პროცედურები. თუ დღეს ჩვენთან მოვა ადამიანი და მოითხოვს კრედიტს, ჩვენ გადაწყვეტილებას ორ დღეში მივიღებთ. ადრე ეს დაახლოებით, ერთი კვირა გრძელდებოდა. ამასთანავე, თუ ადამიანს აქვს სტაბილური ხელფასი 400 დოლარის რაოდენობით, ჩვენ უპრობლემოდ ვაფინანსებთ და ასევე გაიზარდა ვადებიც - სესხი გაიცემა ცხრა წლის ვადით.

**ა.გ.:** აპირებთ თუ არა საპროცენტო განაკვეთების შემცირებას?

**ვ.ბ.:** სამწუხაროდ ამას საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთები განსაზღვრავს, რომლებიც საგრძნობლად მატულობს და შესაბამისად ფასებს ჩვენც ვერ დავწევთ.

# გზები, გზები...

პირველი გვერდიდან



**ალექსი ბურდულაძე,** *საავტომობილო გზების კათედრის გამგე:*

- მშენებლები ერთწლიან გარანტიას იძლევიან, რადგან გზას ყოველდღიურად უნდა მოვლა. რაც შეეხება ხარისხს - ასეთი მოთხოვნა, როგორც დღეს არის, არასოდეს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხს მუდმივად აკონტროლებდნენ, ხარვეზები მაინც არის. თბილისის გზები ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ცუდია, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, ბევრი კარგი რამ იგეგმება.

**გურამ ტატუნაშვილი,** *ასფალტ-ბეტონის საგამოცდო ლაბორატორიის უფროსი:*

- გზის ხარისხი არ შეიძლება ეტაპებად დაიყოს. აღნიშნული თემა განხილული უნდა იყოს კომპლექსში, საფუძვლიდან დაწყებული, ასფალტ-ბეტონის ფენებით დამთავრებული. შეიძლება, ნარევი იდეალური იყოს, მაგრამ თუ იქ საფუძველი ნორმალურ მდგომარეობაში არ არის, მაშინ იმ გზის დაგებას აზრი არ აქვს, რადგან ის აუცილებლად გაფუჭდება. ბარათაშვილის აღმართსა და აეროპორტის გზაზე გაკეთდა კოსმეტიკური რემონტი. დაახლოებით ხუთი სანტიმეტრი სისქის ფენა მოიხსნა და ახალი ფენა დაიგო, თუმცა საფუძველს ხელი არავინ მოკიდა. მშენებლობის პროცესში ვუთხარით, რომ არსებული ბზარები სავალალო შედეგამდე მივიდოდა. რუსთაველზეც ასეა.

ნარევის ხარისხზე ოთხი სხვადასხვა ქარხანა მუშაობდა. დიდი ძალისხმევის შემდეგ მივაღწიეთ, რომ ნარევი ყოფილიყო ერთგვაროვანი ჰომოგენური, ანუ ერთი სახის, ხარისხის.

ჩვენთან ძირითადად გზის აღდგენა-რებილიტიაცია ხდება და არა კაპიტალური შეკეთება.

ახლო მომავალში უნდა დაიწყონ ფიქრი იმაზე, რომ თბილისს მაგისტრალური გამჭოლი გზები ჰქონდეს. დატვირთვა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ სანაპიროზეა, აქაც მარჯვენა მხარე გაკეთდდა, ხოლო მარცხენა ისევ გასაკეთებელია. როგორც ვიცი, მარცხენა სანაპიროს შეკეთება წელსაც არ არის დაგეგმილი. მომავალში აუცილებელია ახალი შემოვლითი გზების მშენებლობა.

როგორც ახალგაზრდა ეკონომისტები აცხადებენ, 2005 წლის გზის საფარის აღდგენის პროგრამა 94 პროცენტით დაფინანსდა. თუმცა, სამგვერდიან წლიურ საანგარიშო პროგრამაში არსად არის მითითებული, რამდენად ხარისხიანად დაიგო გზის საფარი.

**კახა იმერლიშილი,** *ექსპერტი:* 2005 წლის გზის საფარის აღდგენის ანგარიშის 84-მილიონიანიანი პროგრამა, რეალურად, ძალიან მოცულობითი უნდა იყოს. შეიძლება ყველაფერი ძალიან კარგად არის გაკეთებული, თუმცა ეს არსად ჩანს. სწორედ ამ პროგრამაში უნდა ჩანდეს, რამდენად ხარისხიანად დაიგო გზის საფარი და რამდენი პროცენტით. აღნიშნული პროგრამები აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა, რაც ბადებს ეჭვებს, რომ საქალაქო სამსახურში არაკვალიფიციური კადრები მუშაობენ და ვერ ავსებენ პროგრამებს, ან შეიძლება, რაღაც ფარული გარიგებები არსებობდეს.

ბიუჯეტი საჯარო ინფორმაციაა და ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგალითად, გზების საფარის აღდგენის წლიური ანგარიშის პროგრამაში თავდაპირველად იწერება დასამტკიცებელი ფორმა, სადაც უნდა იყოს მითითებული, რა არის პროგრამის მიზანი და ამოცანა. ასევე, დროში და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რა ფართის გზის საფარზეა საუბარი. აღნიშნულ პროგრამაში კი, მსგავსი არაფერია.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი გზების ხარისხს დამაკმაყოფილებლად აფასებს. რაც შეეხება დაგებული გზების ხელმეორედ შეკეთებას - ეს ყველაფერი დაზიანებული კომუნიკაციიდან მომდინარეობს. **"როდესაც ლაბორატორიები ხარისხს ამოწმებდნენ, ასფალტის ხარისხი იყო მაღალი, სხვა შემთხვევაში არ მისცემდნენ დაგების უფლებას. გზები კაპიტალურად შეკეთდა. კომპანიის შეფასების კრიტერიუმებში არის როგორც ღირებულება, ისე გამოცდილება და სამი ან ხუთწლიანი საგარანტიო მომსახურება. ბარათაშვილის აღმართისა და აეროპორტის გზის დაზიანება კომუნიკაციების ბრალი იყო,"** - აცხადებს კობა სუბელიანი.


## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და საქართველოს ეროვნული მუზეუმი საქართველოში ატარებენ ქართული ღვინის კონკურსს

1961

## "საქართველო ღვინის სამშობლო"

კონკურსი 2006 წლის 11-12 მაისს ტარდება "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის პატრონაჟის ქვეშ.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ 2004-2005 წლებში ჩამოსხმულ პროდუქციას.

**კონკურსი ჩატარდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**

- თეთრი მშრალი ღვინო
- თეთრი ნახევრადმშრალი ღვინო
- თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო
- წითელი მშრალი ღვინო
- წითელი ნახევრადმშრალი ღვინო
- წითელი ნახევრადტკბილი ღვინო
- ცქრიალა მშრალი ღვინო
- ცქრიალა ნახევრადმშრალი ღვინო
- ცქრიალა ნახევრადტკბილი ღვინო
- ჭაჭა

გამარჯვებული ღვინოები დაჯილდოვდებიან ოქროს და ვერცხლის მედლებით. ოქროს მედლის მფლობელ ღვინოებს გადაეცემათ სპეციალურად შექმნილი პრიზი.
კონკურსში მონაწილე სხვა წარმატებული ღვინოები დაჯილდოვდებიან სპეციალური დიპლომებით.

**დაჯილდოება:**

გამარჯვებული ღვინოების დასახელება მოხდება ჟიურის შეფასების დაჯამების შემდეგ. შერატონ მეტეხი პალასში, ხოლო დაჯილდოება საზეიმო გალა ვახშამის დროს ა.წ. 12 მაისს.

**შეფასება:**

წარმოდგენილი ღვინოების დეგუსტაცია და შეფასება მოხდება "ბრმა მეთოდით" ჟიურის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია ცნობილი ღვინის ექსპერტებით დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.
საკონკურსო ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ა.წ. 28 აპრილამდე.
თითოეული წარმოდგენილი საკონკურსო ნიმუშის ღირებულება შეადგენს 100ლარს

**გადახდის ფორმა:**

- ნაღდი ანგარიშსწორება
- გადარიცხვა

**საბანკო რეკვიზიტები:**

თიბისი ბანკი
კოდი 220111813
ანგარიშის ნომერი 609627

გთხოვთ, მონაწილეობის შემთხვევაში შეავსოთ რეგისტრაციის ფორმა და გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე ა.წ. 20 აპრილამდე.

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა**
**თბილისი,0179 ჭავჭავაძის 11**
**ტელ.: 29 33 75, ფაქსი.: 23 57 60**
**ელ.ფოსტა: info@gcci.ge**


## მოკლედ

### დაძაბული, მაგრამ სტაბილური

ჭუბურხინჯში გუშინ მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობა შეაფასეს, როგორც ერთდროულად დაძაბული და სტაბილური.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანმა გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით გამორიცხა კრიმინალური ჯგუფების გააქტიურება გალის რაიონის ტერიტორიაზე და ორივე – ქართული და აფხაზური მხარის სამართალდამცავებს მოუწოდა აქტიურობისა და ურთიერთთანამშრომლობისაკენ.

შეხვედრაზე, საუბარი შეეხო ასევე 12 აპრილს მომხდარი გატაცების ფაქტს, როცა რამდენიმე დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩიდან გალის რაიონის მიმართულებით ოთარ ნაჭყებია ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. როგორც აფხაზური მხარის წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, არსებობს ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, გატაცებული გალის რაიონის სოფელ სიდაში იმყოფებოდეს. მისივე თქმით, ეს არ არის პოლიტიკური აქტი, არამედ ჩვეულებრივი კრიმინალური შემთხვევა, რომელსაც იძიებენ აფხაზური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. რაც შეეხება გაეროს მისიის წარმომადგენლებს, მათ განაცხადეს, რომ შეთანხმებათა დარღვევებს კონფლიქტის ზონაში გასულ კვირას ადგილი არ ჰქონია. **ინტერპრესნიუსი**

### ნინო ბურჯანაძე მეგობარი ქვეყნების ელჩებს შეხვდა

საქართველოს ხელისუფლება დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას დონორი ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების დახმარებით შეეცდება.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ გუშინ მეგობარი ქვეყნების ელჩებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

ბურჯანაძის თქმით, საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას გამოსწორება სჭირდება, ამიტომ აუცილებელია მომზადდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოში ამ პრობლემის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქართველოს წარმომადგენლობამ მეგობარი ქვეყნების ელჩებს დღეს კიდევ რამდენიმე საინტერესო იდეა შესთავაზა.

ერთ-ერთი ინიციატივა პარლამენტის მუშაობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ბურჯანაძე თვლის, რომ ჟურნალისტებს უნდა შეეძლოთ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის შესახებ ანალიტიკური მასალების მომზადება, რომელზეც შემდგომში აუცილებლად მოხდება რეაგირება როგორც დეპუტატების, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან.

მეორე მიმართულება, რომლის გაუმჯობესებაშიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მეგობარი ქვეყნების ელჩებს დახმარება სთხოვა, არასამთავრობო ორგანიზაციათა საბჭოს ჩამოყალიბებაა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მეგობარი ქვეყნების ელჩები საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რეორგანიზაციაშიც დაგვეხმარებიან. **ინტერპრესნიუსი**

### ბელარუსისგან ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებს მოითხოვენ

ბელარუსის საკითხზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელი ანდრეს ჰერკელი სტრასბურგში მიმდინარე დებატებისას რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების ჩატარების წინადადებით გამოვიდა. ჰერკელი თვლის, რომ ხელახალი კენჭისყრა "არსებული ნორმების და წესების გათვალისწინებით" უნდა ჩატარდეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ "ბელარუსი – სუვერენული სახელმწიფოა, მაგრამ სტანდარტები და დემოკრატიული წესები ყველასთვის არსებობს".

ჰერკელის აზრით, 19 მარტის საპრეზიდენტო არჩევნები "დამკვირვებლისათვის პრობლემური, არატრანსპარენტული იყო".

კენჭისყრის შედეგებით, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ამომრჩეველთა ხმების 83 პროცენტი მოაგროვა, მისმა უახლოესმა მდევარმა, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა ალექსანდრე მილინკევიჩმა კი 6 პროცენტი. ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეებს მისი გამარჯვების სამართლიანობაში ეჭვი არ ეპარებათ, თუმცა თვლიან, რომ ოპოზიციის მიერ მოგროვილი ხმების პროცენტი შეგნებულად შემცირებულია.

ევროპის კავშირმა და აშშ-მა არჩევნები ლეგიტიმურად არ ცნეს და ბელარუსის ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევაში, ოპოზიციის დევნასა და კენჭისყრის შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულეს.

მოგვიანებით, ევროკავშირმა სანქციები შემოიღო ბელარუსის ხელისუფლების წინააღმდეგ. კერძოდ შედგა ბელორუს ჩინოვნიკთა "შავი სია", რომლებსაც ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში შესვლა აეკრძალათ.

ოთხშაბათს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დებატებში მონაწილეობის მისაღებად ბელარუსის პარლამენტის სპიკერი ვლადიმერ კონოპლევი და ბელარუსის გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი ალექსანდრე მილინკევიჩი მიიწვია. თუმცა, სხვადასხვა მიზეზით, ისინი სტრასბურგში არ ჩასულან.

გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ასამბლეის იმ წევრ-ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში არ შედიან, მოუწოდა ბელარუსის მიმართ სანქციებს შეუერთდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ბაზები გადის - ზეიმობს ხელისუფლება, ბაზები რჩება - ბრაზობს ოპოზიცია





პირველი გვერდიდან

### ოპოზიციის რისხვა

ოპოზიცია საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის პროცესს მიესალმება, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველაფერი წყალში იყრება. ივლიანე ხაინდრავას განცხადებით, რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოში, ფაქტობრივად, ისევ დარჩებიან და მომავალში ისინი უკვე ანტიტერორისტული ცენტრის სახით იქნებიან წარმოდგენილნი. ოპოზიციონერი დეპუტატისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეიქმნას ასეთი ცენტრი მაინცადამაინც აჭარაში, თურქეთის - ნატო-ს წევრი სახელმწიფოს სიახლოვეს.

ივლიანე ხაინდრავა იმითაც არის უკმაყოფილო, რომ რატიფიცირებულ დოკუმენტში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები გუდაუთის სამხედრო ბაზა. **"სალომე ზურაბიშვილსა და სერგეი ლავროვს შორის მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებდა გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგს, რომელშიც გერმანიაც მიიღებდა მონაწილეობას. ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტი ხელშეკრულებიდან საერთოდ გაქრა და გუდაუთის მიმართულება დღეს უკვე აღარავის ახსოვს,"** - დასძენს ხაინდრავა. მისთვის ასევე "საინტერესოა", როგორ შეხვდება აზერბაიჯანი რუსეთისთვის სამხედრო ტვირთების ტრანზიტის უფლების მინიჭებას მაშინ, როდესაც ცხადია, რომ მოსკოვი ასეთი ტვირთების ტრანზიტს, ძირითადად, სომხეთში მოახდენს.

თავის შეფასებებში კიდევ უფრო მკვეთრია ხაინდრავას თანაფრაქციელი კობა დავითაშვილი. მისი აზრით, სოჭის შეთანხმება რუსეთისთვის იმდენად კარგი და მისაღები დოკუმენტია, რომ მას სახელმწიფო სათათბიროში წინააღმდეგობა არც კი შეხვდება.

**"ბათუმში ისევ რჩება რუსეთის სამხედრო ბაზა, მას მხოლოდ სახელი შეეცვლება და რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი დაერქმევა... სამხედრო დანიშნულების ტვირთის სომხეთში ტრანზიტი შევარდნაძის დროსაც კი არ ხდებოდა... ხელისუფლება მხოლოდ პიარზეა გადასული და არა საქმის კეთებაზე. მისთვის მთავარი იყო ეთქვა, რომ 2008 წლისთვის საქართველოში რუსეთის ბაზები აღარ იქნება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ბათუმში ბაზა რჩება, გუდაუთაზე კი ხმას არ ვიღებთ? ხელისუფლება საპარლამენტო უმრავლესობასა და საზოგადოების ნაწილს "აბოლებს", მაგრამ ჩვენთან ეს არ გაუვა,"** - ბობოქრობს დავითაშვილი.

### უმრავლესობის ნეტარება

სახელისუფლებო ფრაქციების წევრებს ოპოზიციის კრიტიკა სულაც არ უშლით იმაში ხელს, რომ თავი მშვიდად და ბედნიერად იგრძნონ.

**"ამ დოკუმენტის რატიფიცირება არის ისტორიული მომენტი ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მოხარული ვარ, რომ ეს ჩემი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს მოხდა,"** - აღტაცებას ვერ მალავს ნინო ბურჯანაძე.

**"ხელისუფლებას, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია, აქვს იმის ფუფუნების უფლება, რომ თვითკმაყოფილებას მიეცეს,"** – ერთობ კმაყოფილია ნიკა გვარამია.

**"ეს ის დოკუმენტია, რომლის დეტალებშიც ეშმაკი აღარ ჩანს,"** - დამშვიდებულია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

**"დოკუმენტის რუტინული განხილვა არც არის საჭირო, რადგან ამით საზეიმო განწყობა დაიკარგება,"** - საპარადო მუნდირის ჩაცმა ეჩქარება დავით ბაქრაძეს...

საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ ოპოზიციის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე არგუმენტირებული პასუხები აქვს.

**"მართალია, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცენტრი აუცილებლად შეიქმნება... რუსეთს, თავდაპირველად, შეიძლება, მართლაც ჰქონდა იმის ილუზია, რომ ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი საქართველოში არსებულ ერთ-ერთ სამხედრო ბაზას ჩაანაცვლებდა, მაგრამ ამ საკითხის აქტუალობა დღეს, ფაქტობრივად, ნულამდეა დასული,"** - ამტკიცებენ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები.

**"ეს არის კომპრომისული შეთანხმება, რომელშიც მაქსიმალურად არის დაცული საქართველოს სახელმწიფო ინტერესები,"** - მიიჩნევს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. მისივე თქმით, გუდაუთის ბაზის საკითხი სოჭში ხელმოწერილ დოკუმენტში იმიტომ ვერ მოხვდა, რომ მოლაპარაკებების დროს ის შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, თუმცა მინისტრის მოადგილე იქვე აცხადებს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას და შენიშნავს, რომ **"გუდაუთის ბაზა არ შეიძლება დახურულად ჩაითვალოს მანამდე, ვიდრე მისი ინსპექტირება არ მოხდება და შესაბამისი დასკვნა არ დაიწერება".**

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე გავლით რუსეთის სამხედრო ტვირთების ტრანზიტს, უმრავლესობის წევრები ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ. მათი თქმით, რუსეთს თავისი სამხედრო ტვირთები კალინინგრადის ოლქში ლიტვაზე გავლით შეაქვს, მაგრამ ამის გამო აღშფოთებას არავინ გამოთქვამს.

ასეთ ეიფორიასა და ერთსულოვნებაში საერთოდ დაიკარგა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის, იგორ პატარიძის მიერ გამოთქმული ეჭვი იმის შესახებ, რომ მაშინ, როდესაც რუსეთს საქართველოსთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია, რაღა მაინცადამაინც სოჭის შეთანხმებას შეასრულებს...

იმ პირობებში, როდესაც ოპოზიციამ უგულებელყო უმრავლესობის მოწოდებები ("ნუ გაემიჯნებით ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას") და რატიფიცირების პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა, "ისტორიული მომენტი", გარკვეულწილად, გაფერმკრთალდა.

ეს ნიუანსი პარლამენტის ხელმძღვანელობამაც "დაიჭირა". **"მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, სხდომათა დარბაზში ადეკვატური განწყობა ნამდვილად არ არის,"** - სინანულით შენიშნა ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

# მიღწეული და სასურველი

პირველი გვერდიდან

ექს-მინისტრი ირწმუნება, რომ პირადი წყენა აქ არაფერ შუაშია: **"აღიარებენ თუ არა ჩემს დამსახურებას რუსული ბაზების გაყვანის საქმეში, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ხომ გახსოვთ საბჭოთა დრო... მაშინ ბოლშევიკები სახელებს შლიდნენ ისტორიიდან და ისტორიის გადაკეთება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დღესაც ნეობოლშევიკები არიან. ასე რომ, ეს მოსალოდნელიც იყო,"** – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი და "სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ არსებულ საფრთხეებზე" ამახვილებს ყურადღებას.

**"ძველი დოკუმენტი არ ექვემდებარებოდა რატიფიკაციას. იგი განგებ იყო შედგენილი განცხადების ფორმით, რათა მისი რატიფიკაცია აუცილებელი არ ყოფილიყო. იმ დოკუმენტში ნათლად წერია, რომ მისი შესრულება ხელმოწერის დღიდან იწყება. ეს, ფაქტობრივად, მოხდა კიდეც, რადგან რუსული სამხედრო ტექნიკის პირველმა ნაკადმა უკვე დატოვა საქართველო იმ ვადებში და პირობებში, როგორც ეს დოკუმენტით იყო გათვალისწინებული,"** – აღნიშნავს ექს-მინისტრი.

მისი აზრით, ამჟამად მთავარი საფრთხე ის არის, რომ რუსეთის დუმამ შეიძლება საერთოდ უარი თქვას ახალი შეთანხმების რატიფიცირებაზე და სამხედრო ბაზების საკითხი დაბლოკოს. **"ასეთ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ?"** – იკითხა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ **"რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი".**

ექს-მინისტრი დიდ შინაარსობრივ განსხვავებას ხედავს მის მიერ ხელმოწერილ და პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტებს შორის. ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ბევრ ცვლილებას შეიძლება საკმაოდ არგუმენტირებული ახსნა ჰქონდეს. მაგალითად - ვადების საკითხს. თუმცა არის ცვლილებები, რაც საგარეო უწყების ყოფილი ხელმძღვანელისთვის გაუგებარი და მიუღებელია.

**"სად წავიდა გუდაუთა? აუცილებლად უნდა აგვიხსნან, რატომ არის ამოღებული გუდაუთა თავდაპირველი დოკუმენტიდან? თუ შენ ხელს აწერ დოკუმენტს, რომელსაც საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა ჰქვია, მაშინ რატომ არ არის იქ გუდაუთა? ამას ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: გუდაუთა არ არის სამხედრო ბაზა ან გუდაუთა არ არის საქართველოს ტერიტორია. მე არ მინდა, რომ ამოვირჩიო... ყველამ კარგად იცის, რომ გუდაუთაში რუსეთი კვლავ ინარჩუნებს ბაზას..."** – ამბობს ზურაბიშვილი.

რაც შეეხება რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეას, მისი თქმით, აღნიშნული ელემენტი ყოველთვის ფიგურირებდა ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში და ქართული მხარე ყოველთვის თანახმა იყო, ეს საკითხი განეხილა.

**"ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა დაკავშირებული იყო სამხედრო ბაზების საბოლოო გასვლასთან. ეს საკითხი მოითხოვდა ცალკე შეთანხმებას და სხვა დოკუმენტს. რამდენადაც ვიცი, ანტიტერორისტულ ცენტრთან დაკავშირებით დოკუმენტი ჯერ არც განიხილება და, ყოველ შემთხვევაში, ხელმოწერილი ნამდვილად არ არის,"** – აღნიშნავს ზურაბიშვილი.

დეტალებში ჩასაფრებული ეშმაკების თემა კვლავ აქტუალურია. თუმცა, ამჯერად სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ "ეს უკვე მისი ეშმაკები არ არიან" და, შესაბამისად, მათ შესახებ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს უნდა ვკითხოთ, ვინც სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

**"როცა მე მოვაწერე ხელი დოკუმენტს, იქ მე ეშმაკები ვერ დავინახე. ახლა ეშმაკებზე სხვამ უნდა ისაუბროს – იმან, ვინც ხელი მოაწერა ახალ დოკუმენტს,"** – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

31 მარტს სოჭში მიღწეული და პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შეთანხმების კომენტირებისთვის "24 საათი" დაუკავშირდა სამხედრო ექსპერტ კობა ლიკლიკაძეს. ლიკლიკაძე ამ ეტაპზე არ იზიარებს ოპოზიციის შეფასებას, რომ აღნიშნული დოკუმენტი **"უვარგისი და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნაღმებითაა სავსე".** ექსპერტი აქცენტს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნაზე აკეთებს.

**"ჯერჯერობით ცალსახა პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან არ ვიცი, კონკრეტულად რა შეთანხმებაზეა საუბარი და რისი გაკეთება სურთ საქართველოში რუსებს. თუკი ანტიტერორისტული ცენტრის სახელით საუბარია სახეცვლილ სამხედრო ბაზაზე, ცხადია, ეს სახიფათოა. ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეა იყო ერთგვარი რევერანსი საქართველოს მხრიდან, რათა დაჩქარებულიყო საქართველოდან ბაზების გაყვანის პროცესი. და ვფიქრობ, რომ ეს მართებული გადაწყვეტილება იყო.**

**შესაძლებელია, აქ მართლაც ბუდობდეს ეშმაკი, მაგრამ ამ ეშმაკის კუდიც, რქებიც და ჩლიქებიც მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით კონკრეტული მოლაპარაკებები დაიწყება,"** – აღნიშნავს ლიკლიკაძე.

# საგანგებო მდგომარეობა ყარაჩიში

პაკისტანის ხელისუფლებამ ქვეყნის სამხრეთში მდებარე უდიდესი ქალაქის ყარაჩის ქუჩებში გუშინ არმიის ქვედანაყოფები შეიყვანა. მათი ამოცანაა იმ მასობრივი უწესრიგობების აღკვეთა, რომელიც ქალაქში უკვე მესამე დღეა არ წყდება.

არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც სამშაბათს სუნიტთა რელიგიური დღესასწაულის დროს ბომბის აფეთქებისას 57 ადამიანი დაიღუპა. ტერაქტი კამიკაძე ტერორისტმა განახორციელა.

ყარაჩიში ჯარები პირველად 1990-იან წლებში შეიყვანეს, როცა ქალაქში შიიტურ და სუნიტურ დიასპორებს შორის შეტაკებები მასობრივად ხდებოდა.

გუშინ ყარაჩიში ზომიერი სუნიტური დაჯგუფების "თეჰრიქის" საი ლიდერი დაკრძალეს, რომლებიც ტერაქტის შედეგად დაიღუპნენ.

ოფიციალური პირების აზრით, ეს ორგანიზაცია სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ქვეყანაში, რაც კონსერვატორთა უკმაყოფილებას იწვევს. პაკისტანის ინფორმაციის მინისტრმა შეიჰ რაშიდ აჰმედმა დაადასტურა, რომ ტერაქტი "თეჰრიქის" დაჯგუფების ხელმძღვანელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

დაახლოებით ათი სუნიტური ორგანიზაციის ლიდერებმა პაკისტანელებს მოუწოდეს პროტესტის ნიშნად პარასკევს საერთოეროვნული გაფიცვა გამოაცხადონ.

სინდჰის პროვინციაში, რომლის დედაქალაქიც ყარაჩია, სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული.

*ინტერპრესნიუსი*




# რთული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი

პირველი გვერდიდან

ბირთვულ კლუბში გაერთიანების შესახებ ირანის პრეზიდენტის განცხადებას აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც გამოეხმაურა: **"მინდა ყველას შევახსენო, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ირანს უნდა შეეჩერებინა ურანის გამდიდრების პროცესი და მოლაპარაკებებს დაბრუნებოდა. ეს გადაწყვეტილება ნათლად გამოხატავდა მთელი მსოფლიოს შეშფოთებას ირანის ბირთვულ პროგრამის გარშემო მიმდინარე მოვლენებთან... ირანის ქმედებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ოფიციალური თეირანი გამდიდრებული ურანის არა სამოქალაქო, არამედ სამხედრო მილიტარისტული მიზნებისათვის გამოყენებას აპირებს."** სახელმწიფო მდივნის თქმით, აჰმადინეჟადის განცხადება ირანის ბირთვულ კლუბში გაწევრიანების თაობაზე არის ისლამური რესპუბლიკის კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგმული იზოლაციისაკენ.

**"აშკარაა, რომ ირანი ინდიფერენტულია საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნების მიმართ, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ დადგა მომენტი, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭომ უნდა გადადგას მკაცრი საპასუხო ნაბიჯები... ირანს არაერთხელ შესთავაზა ევროპამ და რუსეთმა საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა დიპლომატიური გზა, თუმცა ოფიციალურმა თეირანმა ამ შეთავაზებებზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა. შესაბამისად აშშ გარკვეულ კონსულტაციებს გაივლის თავის მოკავშირეებთან იმისათვის, რომ გადაწყდეს თუ რა ნაბიჯებს გადადგამს დასავლეთი ირანთან დაკავშირებით,"** – ამბობს კონდოლიზა რაისი.



*მაგატე-ს ხელმძღვანელის თეირანში ვიზიტს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.*

ირანის რადიკალი პრეზიდენტის განცხადებები დანარჩენი მსოფლიოს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ირანის კონფრონტაციულ ქმედებებს აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და მათ შორის რუსეთიც მკაცრად აკრიტიკებს და ირანს კონსტრუქციული მოლაპარაკებისაკენ მოუწოდებს. ჩინეთის ელჩმა გაერო-ში ვან გუანჯუამ მოუწოდა მხარეებს კონსტრუქციულად იმოქმედონ და არ გადადგან ისეთი ნაბიჯები, რაც საკითხს უფრო გაამწვავებს და მოლაპარაკებებს ჩიხში შეიყვანს.

მაგატე-ს ხელმძღვანელის თეირანში ვიზიტს ექსპერტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან სწორედ ბარადეიმ უნდა წარმოადგინოს აპრილის თვის ბოლოს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ირანი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნებს.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 30 მარტს გაერო-ს უშიშროების საბჭომ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხზე განცხადება მიიღო, რომლის მიხედვითაც მაგატე-ს მოთხოვნების შესასრულებლად ირანს ერთი თვე ეძლევა, იმ შემთხვევაში თუ ირანი მისთვის მიცემულ ვადაში არ შეწყვეტს ურანის გამდიდრების პროცესის შეჩერებას, მას სანქციები ემუქრება. აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციებს აქტიურად უჭერს მხარს, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე და ჩინეთზე, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დასავლეთის ასეთი ნაბიჯი არაეფექტური იქნება.

თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო არაფერს მოიმოქმედებს, მაშინ ევროკავშირი აქტიურად დაუჭერს მხარს აშშ-ს ცალმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების დაწესებას ირანის წინააღმდეგ. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას განცხადებით, ირანის წინააღმდეგ, შესაძლოა, მიღებული იქნეს ისეთი სანქციები, როგორიც არის ბირთვულ პროგრამაში ჩართული ირანელი სახელმწიფო მოხელეების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება. სანქციები ასევე შეეხება ირანელ სტუდენტებს, რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში "ბირთვულ" მეცნიერებებს ეუფლებიან. რასაკვირველია, შეზღუდვები შეეხება ირანთან ვაჭრობის სფეროსაც.

### მოკლედ

## "დანიური სახლი" დალუქულია

როგორც ფინანსური პოლიცია ირწმუნება, "დანიური სახლის" სავაჭრო ქსელის მაღაზიები საბაჟო წესის დარღვევის ბრალდებით დაილუქა. ამასთანავე, გამოძიება ვარაუდობს, რომ იქ გადასახადების დამალვასაც უნდა ჰქონდეს ადგილი.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ლევან მხეიძის თქმით, "დანიური სახლის" მაღაზიების ქსელი შპს D&G-ის ეკუთვნის. ამ ფირმას კი დიდი ოდენობით იმპორტი აქვს საქართველოში განხორციელებული.

მხეიძისვე განცხადებით, ერთ-ერთი საიმპორტო ოპერაციის გადამოწმებისას ლატვიის საბაჟოდან მიღებული ინფორმაციის შედეგად გაირკვა, რომ ფირმამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტს 17000 ლარი დაუმალა. სწორედ ამ აღმოჩენის შემდეგ გადაწყდა მაღაზიათა ქსელის შემოწმება. მხეიძის განცხადებით, ამ ეტაპზე მხოლოდ 25 დღის მაჩვენებლებია შემოწმებული; ნაპოვნია ე.წ. შავი ბუღალტერია, რითაც დასტურდება, რომ ამ 25 დღის განმავლობაში მაღაზიათა ქსელის რეალური ბრუნვა 2 მილიონ 500 000 ლარი იყო. თუმცა, "დანიურმა სახლმა" საგადასახადო საბუთებში მხოლოდ 400 000 ათასი ლარის ბრუნვა დააფიქსირა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ფინანსურ პოლიციაში ვარაუდობენ, თუ რა თანხებს უმალავდა "დანიური სახლი" ბიუჯეტს მთელი მისი მუშაობის განმავლობაში: უხეში გათვლით, მაღაზიათა ქსელი მხოლოდ რეალური ბრუნვის 10 პროცენტს უჩვენებდა.

ამჟამად გამოძიება გრძელდება. როგორც ლევან მხეიძემ განაცხადა, დადგება კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც "დანიური სახლის" ხელმძღვანელების, ასევე, ცალკეულ მებაჟეთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც შესაძლებელია.

*ინტერპრესნიუსი*

## არასრულწლოვანი კონტრაბანდისტები

ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ წითელი ხიდის საბაჟოს მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონაში, შემოვლით გზაზე დიდი რაოდენობით კონტრაბანდული, ძვირადღირებული მობილური ტელეფონები და აქსესუარები ამოიღეს. კონტრაბანდით დატვირთული სამი უზარმაზარი ჩანთა საზღვარზე სამ არასრულწლოვანს გადმოჰქონდა. ტვირთის გადმომტანთა დაკავება ვერ მოხერხდა, მათ ჩანთები მიატოვეს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავიდნენ. დადგენილია ორი მათგანის ვინაობა. ესენი არიან საქართველოს მოქალაქეები, მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანში მცხოვრებნი - 15 და 16 წლის ბამის და ელმინ ბაირამოვები. მესამეს ვინაობა კი უცნობია. ამ დროისათვის ამოღებულ კონტრაბანდულ საქონელს ექსპერტიზა უტარდება. "მისი ღირებულება და რაოდენობა ექსპერტიზის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი", - განაცხადა ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ ლექსო დალაქიშვილმა. მისივე თქმით, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა და ჯერჯერობით სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდის მუხლით არ არის აღძრული.

*ინტერპრესნიუსი*

## იუსტიციის მინისტრის მონიტორინგი

იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ სამინისტროს აჭარის ტერიტორიული სამსახურების მონიტორინგი დაიწყო. ქავთარაძე აჭარაში, ადგილზე ეცნობა ტერიტორიული სამსახურების მუშაობას. მან შემოწმება ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონებიდან დაიწყო.

მონიტორინგის მიზანი ტერიტორიულ ოფისებში არსებული სამუშაო პირობებისა და სამსახურების მუშაობის ეფექტურობის შემოწმება და, ასევე, მოსახლეობასთან შეხვედრაა.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ რეგიონული სამსახურების მუშაობის მონიტორინგი თებერვალში დაიწყო. ქავთარაძემ კახეთის რეგიონი შეამოწმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძემ - მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონები, ხოლო იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილმა - ქვემო ქართლი.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია სამოქალაქო რეესტრის სააგენტს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სააღსრულებო დეპარტამენტი, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი, სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოები, სახელმწიფო რეგისტრაციის, სახელმწიფო არქივების ტერიტორიული სამსახურები, ასევე - სასჯელაღსრულების დაწესებულებები და ნოტარიუსები.

*ინტერპრესნიუსი*

## პრეზიდენტის ძმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორია

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად 5 წლის ვადით აირჩიეს პრეზიდენტის ძმა დავით სააკაშვილი. სააკაშვილი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ აირჩია. თვით საბჭოს შემადგენლობა კი უზენაესი სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და გენერალური პროკურატურის მიერ წარდგენილი კანდიდატებით კომპლექტდება.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დანიშნულებაა საერთო სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა, ასევე - მოქმედი მოსამართლეების გადამზადება, სკოლაში მსმენელი კონკურსის წესით მიიღება. სწავლების კურსი 14 თვეს გრძელდება და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას ითვალისწინებს. სხვათა შორის, დავით სააკაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე, რამდენიმე წელია, მუშაობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სომხეთის საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე ოვანეს მანუკიანი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი დღეს ერევანში "თანამშრომლობისა და სამართლებრივი ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მემორანდუმს" მოაწერენ ხელს. ერევნის საკასაციო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, კონსტანტინე კუბლაშვილი ვიზიტის დროს სომხეთის იუსტიციის მინისტრსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც შეხვდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის მცხოვრები, რომელმაც თანამზრახველებთან ერთად თურქეთის რესპუბლიკიდან დეპორტირებულ ქალბატონს, თურქეთის რესპუბლიკაში არალეგალურად გადაყვანის სანაცვლოდ, 350 აშშ დოლარი გამოსძალა. რეგიონული სამმართველო "აჭარის" საგამოძიებო-ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა კი სოფელ გონიოში ერთ-ერთი საცხოვლებელი სახლიდან ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ყალბი პასპორტების დასამზადებელი ხელსაწყო (ლამინირების აპარატი), სხვადასხვა მოქალაქის პასპორტები და ფოტოსურათები.

*მედიანიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის კახეთის პრობაციის ბიუროს ოფიცერი გიორგი ლეგაშვილი გუშინ შს სამინისტროს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

გიორგი ლეგაშვილი თავის უფლებამოსილებას გურჯაანის რაიონში ახორციელებდა.

*ინტერპრესნიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ინფორმაციით, ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ბინის გაქურდვის ფაქტზე დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს - 33 წლის ედუარდ ჯაოღლი და 23 წლის დავით გაბუნია. ისინი ეჭვმიტანილები არიან თბილისში, დაახლოებით, 150 ბინის გაქურდვაში. დაკავებისას ეჭვმიტანილებმა პოლიციის თანამშრომლებს "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტიდან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. დავით გაბუნიას ბინიდან ამოღებულია ნაქურდალი ნივთები.

*ინტერპრესნიუსი*

# ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მასობრივი წმენდა

ქალაქის პროკურატურამ ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს 14 პოლიციელი დააკავა. როგორც ქალაქის პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, ამჟამად შემოწმდა ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა, რომელიც ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიმდინარეობდა.

პროკურორის თქმით, ადრე ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმებისას აღნიშნული რაიონის რამდენიმე თანამშრომელი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ამჟამად გაირკვა, მათ მიმართ ზომები არ მიუღიათ და ისინი რჩებოდნენ თანამდებობებზე; ამჟამად კი, პროკურატურის ბრალდების საფუძველზე, დააკავეს 14 თანამშრომელი, მათ შორის - ამავე რაიონის საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები. ღვინიაშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევა გამოვლინდა ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში, ამ რაიონის პოლიციის უფროსის გოჩა ალფაიძის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. დაკავებულები არიან: ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ივანე ქევხიშვილი, ამავე რაიონის კრიმინალური განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი კახა ტყეშელაშვილი, კრიმინალური განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლები ედუარდ ბაიაძე, დავით ტაბატაძე, მიხეილ გუნთაიშვილი, მალხაზ რეხვიაშვილი, ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი გიორგი კაციტაძე, ამავე სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი მამუკა მიგრიაული, მეორე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი იოსებ ჟორჟოლაძე, ამავე განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი დავით ბაძალაშვილი, მეხუთე განყოფილების უფროსი ზურაბ ქეშელაშვილი, მეხუთე განყოფილების უფროსის მოადგილე მალხაზ ვეფხვაძე, ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი გივი გოგოჭური და მეხუთე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი არჩილ რაზმაძე.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვაკე – საბურთალოს რაიონში ქრთამის აღების ფაქტზე სამი პოლიციელი დააკავეს. დაკავებულები არიან პოლიციელები: ნიკა ხაბულიანი, დათო გურიელი და ლევან კუსრაშვილი. ეჭვმიტანილებმა მოქალაქეს, საქმის მოგვარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 800 ლარი გამოსძალეს. თანხა ჩხრეკის შედეგად ერთ-ერთი სამართალდამცველის ავტომანქანიდან ამოიღეს. კანონით, ქრთამის აღება მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება და, დამტკიცების შემთხვევაში, ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

# „202"-ელთა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ადვოკატებმა გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი შეიტანეს.



შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე მათთვის გამოტანილ განაჩენს ასაჩივრებენ.

ადვოკატები გოჩა სვანიძე და დავით კორკოტაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 29 მარტის განაჩენს ასაჩივრებენ, რომლის საფუძველზეც, შალვა რამიშვილს, გამოძალვის ბრალდების გამო - 4 წლით პატიმრობა, ხოლო მასთან ერთად დაკავებულ დავით კოხრეიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროცესი მოსამართლისთვის საჩივრის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში უნდა დაინიშნოს. სხდომებზე ხელმეორედ მოხდება დაზარალებულად ცნობილი, ყოფილი პარლამენტარის, კობა ბექაურის დაკითხვა. ჩვენებებს მისცემენ მოწმეებიც, მათ შორის - ირმა სტეფნაძეც, ვის ბინაშიც მოხდა თანხის გადაცემა. შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 29 მარტს გამოტანილ განაჩენს "სამარცხვინოს" უწოდებენ. როგორც ცნობილია, "202"-ელთა დაცვის მხარემ, პროტესტის ნიშნად, პირველი ინსტაციის სასამართლო დატოვა, თუმცა, როგორც ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განაცხადა, ის და დავით კორკოტაშვილი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციებში ისევ გააგრძელებენ შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის დაცვას. გოჩა სვანიძის თქმით, სასამართლომ, დაზარალებულად ცნობილი ყოფილი პარლამენტარის კობა ბექაურის პროცესზე ხელმეორედ გამოცხადებაზე უარის თქმიდან დაწყებული, საპროცესო დარღვევებით დასრულებული, საბოლოოდ დაასამარა ქართული მართლმსაჯულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, რამიშვილი სასჯელს საერთო რეჟიმის სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დავით კოხრეიძე – მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

*24 საათი*

# ვალერი გელაშვილი ისევ აქტუალურია

*„რესპუბლიკური პარტიისა" და „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებმა გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს ვალერი გელაშვილისთვის პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების აღდგენის მოთხოვნით მიმართეს და სარჩელის დაკმაყოფილებასაც ელიან.*

საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის, „რესპუბლიკური პარტიის" წევრის, ვალერი გელაშვილისთვის დეპუტატის უფლებამოსილების აღდგენის მოთხოვნით, გუშინ შევიდა. მოსარჩელეები საკონსტიტუციო სასამართლოსგან პარლამენტის იმ დადგენილების არაკონსტუტუციურად ცნობას ითხოვენ, რომლის საფუძველზეც, ვალერი გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა. გარდა ამისა, ითხოვენ იმასაც, რომ აღნიშნული სარჩელი სასამართლომ რიგგარეშედ განიხილოს.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება 31 მარტს, საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ მისი ბიზნეს საქმიანობის შესწავლის შემდეგ შეუწყვიტა. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ვალერი გელაშვილი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, რაც პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონთან შეუთავსებელი საქმიანობაა. სწორედ ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევს ოპოზიცია ანტიკონსტიტუციურად.

**„გელაშვილს აბსოლუტურად უკანონოდ შეუწყდა უფლებამოსილება და ამიტომაც, საქმის ობიექტურად განხილვის პირობებში, მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება. ის მოტივი, რითაც უმრავლესობამ უფლებამოსილება შეუწყვიტა გელაშვილს, აბსოლუტურად უსუსურია",** - ამბობს „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი კახა კუკავა.

სამაგიეროდ, უმრავლესობის წევრის გიგა ბოკერიას თქმით, თავად ოპოზიციის არგუმენტებია უსუსური, რადგან გელაშვილმა თვითონ დაადასტურა, რომ მონაწილეობდა საკუთარი ბიზნესის მართვაში.

**„რაც შეეხება იმას, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო, ეს მხოლოდ საკონსტიტუციო მოსამართლეების გადასაწყვეტია",** - თქვა ბოკერიამ.

ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე, აპირებს დაელოდოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საზოგადოებასაც აქეთკენ მოუწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ წინასწარი კომენტარისგან მან თავი შეიკავა, მაინც აღნიშნა, რომ პატივს სცემს სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას შინაგანად.

მიუხედავად პარლამენტის თავმჯდომარის განწყობისა და მოწოდებისა, ვალერი გელაშვილის პერსონასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ბოლო ხანებში აჟიოტაჟი ნამდვილად ახლავს ხოლმე. გუშინაც გელაშვილის კუთვნილ ფირმა „ევრას" დალუქვა ხაშურის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატზე ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორების გაგრძელების ფაქტად იქნა აღქმული. დღის ბოლოს გაირკვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, ფირმაში ფინანსური პოლიციის შესვლის შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება, თუმცა ის ფაქტი, რომ „ევრას" თბილისში მდებარე სათაო ოფისი და გორში განლაგებული ობიექტები საგადასახადო ინსპექციამ დალუქა, ოპოზიციონერ დეპუტატთა მხრიდან განცხადებების შინაარსის შეცვლის მიზეზად არ ქცეულა.

თვით საგადასახადო ინსპექციაში ფირმა „ევრას" ობიექტების დალუქვას იმით ხსნიან, რომ ფირმის დირექტორის მეგი ლომიძის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია დარღვევებით იყო შევსებული; კერძოდ, როგორც გორის საგადასახადო ინსპექციაში აცხადებენ, დეკლარაციაში კორექტირებული იყო მონაცემები და მას თან არ ახლდა დანართი ამ მონაცემების თაობაზე. გორის საგადასახადოში არც იმას გამორიცხავენ, რომ საკონტროლო შემოწმების დასრულებმადე, შესაძლოა, დაილუქოს შპს "ევრას" კუთვნილი სხვა ობიექტებიც, რომლებიც თბილისში, გორში, ხაშურსა და ბათუმში მდებარეობს.

მომხდარის გამო, გუშინვე გააკეთა განცხადება ვილნიუსში მყოფმა ვალერი გელაშვილმაც.

**„ეს ყველაფერი "ნუცას სკოლას" წააგავს. რაც უნდათ, ის გააკეთონ. მე ვერც შემაშინებენ და ვერც მოლაპარაკებაზე წამოვლენ. საქართველოში განუკითხავი ხელისუფლებაა და ყველა ბიზნესი დატერორებულია",** - განაცხადა ბიზნესმენმა.

ვალერი გელაშვილის თქმით, ის მთავრობის მხრიდან ასეთ ნაბიჯებს ელოდა, ამიტომ, დაახლოებით, ერთი თვის წინ, 1995 წელს ხაშურში რეგისტრირებული შპს "ევრას" აქციები, ვილნიუსში რეგისტრირებულ ფირმა VG-ს გადასცა. ვალერი გელაშვილი ფირმა VG-ს აქციონერია. აქედან გამომდინარე, ბიზნესმენის თქმით, "ევრა" სხვა ქვეყნის იურიდიულ დაქვემდებარებაშია.

როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, შპს "ევრა" თბილისში ახალ სკოლას უშენებს ამერიკის საელჩოს და ფირმის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მშენებლობა არ შეჩერებულიყო.

**"ვნახავ, როგორ განვითარდება მოვლენები. მაქსიმალურად გამოვიყენებ ყველა საერთაშორისო ბერკეტს. ეს საერთაშორისო სკანდალი იქნება",** - განაცხადა ვალერი გელაშვილმა.

*24 საათი*

# რატომ მალავენ კანონს, რომელიც ხალხის მხარესაა?

პირველი გვერდიდან

მაგალითად, როგორც მოსახლეობა ამბობს, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, მებაჟეები და ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ხშირად არღვევენ ადამიანების უფლებებს. ეს აკრძალვები ხშირად მხოლოდ რიგით მოქალაქეებზე ვრცელდება, კონტრაბანდული საწვავი კი, შემოვლითი გზებით მაინც შემოდის. ოფიციალური სტრუქტურები ამას საზღვრების დაუცველობით ხსნიან. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ საქმიანობის მფარველობაზე, ხშირ შემთხვევაში, არც მავანი მოხელეები ამბობენ უარს.

**"საკუთარი თვალით რამდენჯერმე ვნახე, შემოვლით გზებზე როგორ გამოატარეს დატვირთული დიდი მანქანები. შემოდის დიდი რაოდენობით ტექნიკური საქონელიც. ისე ვართ გამწარებულები, რომ არავის დანდობას აღარ ვაპირებთ,"** - ჩივის აფენელი მაყვალა სოფრომაძე. ამ დღეებში ლაგოდეხის საბაჟოზე მოსახლეობის ხელისუფლებასთან სიტყვიერი დაპირისპირების მიზეზი ის გახდა, რომ მებაჟეები აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ მოქალაქეებს, ლამაის, პირადი ნივთების შემოტანასაც კი უკრძალავენ, მაშინ, როცა საბაჟო კოდექსის თანახმად, მოქალაქეს 50 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი და 300 ლარამდე ღირებულების არაერთგვაროვანი საქონლის შემოტანის უფლება აქვს. მოსახლეობის მტკიცებით, საბაჟო იგნორირებას უკეთებს კანონს. თავის დროზე საბაჟოზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული კანონის ის მუხლები, რომლებიც განბაჟების პროცედურებს ასახავს, დღეს უკვე ჩამოხსნილია. მოქალაქეებს კი მეზობელი რესპუბლიკიდან არანაირი ტვირთის შემოტანის უფლება არ აქვთ. კანონის იგნორირების ფაქტზე და ამის გამო შექმნილ დაძაბულ მდგომარეობაზე კომენტარს არც საბაჟო "ლაგოდეხის" და არც საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები აკეთებენ. ეს მაშინ, როცა საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი საბაჟო წესების გამარტივებაზე ჯერ კიდევ გასულ წელს საუბრობდა.

**"ტვირთის შემომტან ნებისმიერ პირს გაუმარტივდება პროცედურები. თუ აქამდე 14 საბაჟო რეჟიმი იყო, ახლა მხოლოდ რვა დარჩება,"** - აცხადებდა საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი კახა ჭაბაშვილი და აღნიშნავდა, რომ ხალხისთვის სასარგებლო და სასურველი საბაჟო კოდექსი, შესაბამისი ცვლილებებით, ძალაში 2006 წლის 1 იანვარს შევიდოდა.

ახალი წლიდან საბაჟო კოდექსში ცვლილებები არ შესულა, ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტურად ეს არავის გაუკეთებია. სამაგიეროდ, სიტყვიერი ბრძანებები საბაჟო "ლაგოდეხზე" დღეს ისევ ძალაში რჩება. მოთმინებადაკარგული ლაგოდეხელები არ გამორიცხავენ, რომ დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართონ.

**"ის საქონელი, რაც მე კანონიერი გზით, საბაჟო წესების დაცვით შემომქონდა, შემოვლით გზებზე "სამასვალებით" შემოაქვთ, ჩვენ კი კანონით სარგებლობის უფლებას არ გვაძლევენ. თუ რამე ცვლილება მიიღო პარლამენტმა, გვაჩვენონ ან თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან და ჩვენც აღარ ვიდავებთ, მაგრამ კანონი ხალხის მხარეზეა და ამიტომ მალავენ. აკრძალვა კი მხოლოდ იმიტომ დაიწყეს, რომ საქონელი თვითონ შემოიტანონ. როგორც ჩანს, საწვავი მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა ცხვირსახოცები და წინდებიც შემოაქვთ. ვფიქრობთ, დახმარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართოთ,"** - ამბობს ლაგოდეხელი მალხაზ ლობჟანიძე.

# A'γορ'

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com



# ფიქრები დედაენაზე: არჩევანი და არადანი

ასმათ პაპიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელი

არის საკითხები, რომლებზეც საუბარი და წერა ძალიან ძნელია და უხერხულიც არა იმდენად პრობლემის სირთულის გამო, არამედ იმის გამო, რომ იგი საზოგადოსთან ერთად ძალიან პირადულიცაა, ჩვენი არსებობის ფორმა და წესია, ყველაფერია ერთდროულად: წარსული, აწმყო, მომავალი ...

დედაენა გვაქვს მხედველობაში. მასზე საჯაროდ საუბარიც დიდი პატივი და ღირსებაა, ამასთანავე - უზარმაზარი პასუხისმგებლობა.

როდესაც ენას, რომელზედაც ჩვენს პირველ სიტყვებს წარმოვთქვამთ და მერე აზროვნებას ვიწყებთ, მშობლიურს, მით უფრო, დედაენას, ვუწოდებთ, ამით უკვე განვსაზღვრავთ, ერთი მხრივ, მის ფუნქციას ჩვენს ცხოვრებაში და, მეორე მხრივ, საკუთარ პასუხისმგებლობას მის მიმართ. მშობლისა და შვილის დამოკიდებულებაც ხომ მოვალეობა-პასუხისმგებლობაზე, მიღება-გაცემის განუყოფელ ერთიანობაზეა დაფუძნებული.

კარგა ხნის წინ საქართველოს ტელევიზიით გადიოდა გადაცემათა ციკლი, რომელსაც რუბრიკად ვაჟა-ფშაველას სიტყვები ჰქონდა: "ერი დედაა ენისა". თავდაპირველად მას ერქვა "ენა დედაა ერისა". შესწორება, ვგონებ, ვაჟას პატივისცემით გაკეთდა და არა შინაარსობრივი უზუსტობის გამო. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ორივე ფორმულა ერთნაირად მისაღებია. არც ერი არსებობს ენის გარეშე და არც ენა - ერის გარეშე. ორივე დედაა, მშობელი ერთმანეთისა და ამავდროულად - შვილი ურთიერთისა. ამიტომ როგორიცაა ერი, ისეთია ენა და, პირიქით, ენაში სარკესავით აისახება ერის ცხოვრების ავ-კარგი, მისი ზნეობა, კულტურა, პერსპექტივა...

როგორც წესიერი შვილისთვის არის შეურაცხმყოფელი მოწოდება, დედა უნდა გიყვარდესო, ისევე უხერხულია ნორმალური სამოქალაქო საზოგადოებისთვის დედაენისა და სამშობლოს სიყვარულზე საუბარი და, მით უფრო, მსჯელობა იმაზე, თუ რატომ უნდა გვიყვარდეს და ვზრუნავდეთ მათზე. მაგრამ დროდადრო მაინც ჩნდება ხოლმე ასეთ საკითხებზე მსჯელობის საჭიროება. ეს უმეტესწილად მაშინ ხდება, როცა ბზარი ჩნდება ამ ორთა: მშობელთა (თავისი ვიწრო და ფართო გაგებით) და შვილთა ურთიერთობაში, ან როცა რომელიმე მათგანს საფრთხე ემუქრება და შემოძახება სიფხიზლისა და სიფრთხილისათვის გვჭირდება.

უკანასკნელ ხანებში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი სოციოლინგვისტური კვლევისადმი. გლობალიზაციის ქარიშხალში მოყოლილი ენები "ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა" და მაინც სწორედ ისინი არიან ყველაზე უტყუარი და შესანიშნავი "მთხრობელები" ამ მსოფლიო პროცესებისა.

რას მოგვითხრობს ამ თვალსაზრისით ჩვენი ენა, მისი ამჟამინდელი ყოფა?

თავისუფლების ეიფორიით გაბრუებულმა (სიმართლე ვთქვათ, ეს თავისუფლებაც ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი) თითქოს როგორღაც მოვადუნეთ ყურადღება და ვერც ვიგრძენით, როგორ შეილახა ჩვენი უპირველესი განძი, რომლის დაცვასა და შენარჩუნებას მონობის ჯაჭვით შეკრულები მაინც ვახერხებდით. ახლა კი, ამ ჯაჭვის გაწყვეტის შემდეგ, თითქოს დავივიწყეთ მისი (ე.ი. ჩვენი!) არსებობა და მამულიშვილურ პასუხისმგებლობას მსოფლიო მოქალაქის ფარი მივაყუდეთ.

ამასთან, სიმართლე უნდა ვთქვათ, ამაში ბრალი ყველაზე ნაკლებად სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს მიუძღვით. ბრალი ჩვენშია და უპირველესად სწორედ ჩვენს თავში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმ გულგრილობისა (რბილად რომ ვთქვათ), რაც დღეს დედაენას დავმართეთ.

ჟარგონი ყველა ქვეყნისა და ყველა დროისთვის იყო და არის დამახასიათებელი, მაგრამ ის, რაც ქართულ ენობრივ სივრცეში ხდება, უკვე გასცდა არა მხოლოდ საკუთრივ ჟარგონს, არამედ საერთოდ ენობრივი კომპეტენციის საზღვრებს.

ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით დღეს ჩვენი საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი საუბრობს ძირითადად ჟარგონით, თავი მოაქვს ბილწსიტყვაობით და ამ გზით ცდილობს თვითდამკვიდრებას ან ახდენს სრული თავისუფლების (რასაკვირველია, მისი გაგებით), სილაღის, სიძლიერისა და ძველი სტერეოტიპების ნგრევის დემონსტრაციას. საზოგადოების მეორე ნაწილი ამ ყველაფერს ხედავს, ისმენს, გული სტკივა (ალბათ!) და... ხმას არ იღებს, ე.ი. ეგუება.

ილია ჭავჭავაძე "კაცია-ადამიანის" ერთ ადგილას ლუარსაბ თათქარიძეს ასე მიმართავს: "ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით - რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია- ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?" კითხვა, რასაკვირველია, მხოლოდ ლუარსაბისკენ არ არის მიმართული. ჩვენი გაჩუმებაც უკვე ცოდვისა და დანაშაულის ტოლფასი ხდება.

დღითიდღე ძნელდება მოზარდების საუბრის გაგება. ამისათვის "სპეციალური მომზადება" ხდება საჭირო. ეს ენა იმდენად იპყრობს მათ აზროვნებას, რომ თანდათან ავიწყდებათ მშობლიური ენის ლექსიკა, გამართული ქართულით ლაპარაკის სურვილის შემთხვევაშიც კი ხშირად უჭირთ ადეკვატური ლექსიკის მონახვა. ძალზე დამაფიქრებელი ფაქტია, რომ წლევანდელ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დადასტურდა ჟარგონის გამოყენების მრავალი შემთხვევა. ეს კი იმის მანიშნებელია, აღნიშნული ლექსიკა ახალგაზრდებისათვის უკვე ძალიან ორგანული გახდა.

სამწუხაროდ, ეს არაა მხოლოდ ზეპირმეტყველების პრობლემა. არც მარტო ჟარგონის მოჭარბებაზეა საუბარი. საგანგაშო ისაა, რომ სასაუბრო-ფამილარული სტილი, ჟარგონული ლექსიკა და ბარბარიზმები საკმაოდ აქტიურად მკვიდრდება ნაბეჭდ პროდუქციასა და რადიო-ტელევიზიის ენაში.

იბეჭდება მთლიანად სკაბრეზულ მეტყველებაზე აგებული მხატვრული ნაწარმოებები, ქვეყნდება ქუჩის ლექსიკით სავსე მოთხრობები და რომანები, ლექსები, რომელთა წაკითხვის შემდეგ გეჩვენება, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო მეტყველებისა და ცხოვრების ეს სტილი. როდესაც ტელევიზიის ჟურნალისტი იტყვის, სანამ რეპორტაჟს დავიწყებდეთ, **დავანიუსოთ** დღევანდელი ამბებიო, როცა ისევ ტელევიზიის გადაცემაში "ჰედლაინად" ცხადდება **მინახავხარ** ფორმა და ამაზე წამყვანი გულიანად ხარხარებს, როცა თანამედროვე საესტრადო სიმღერათა უმრავლესობის ტექსტების მოსმენა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს წესიერ ადამიანს, რა დედაენის სიყვარულზე შეიძლება ვილაპარაკოთ?

ძალიან კარგია უცხო ენების სწავლა, მაგრამ თუ ამ ცოდნას ახალ-ახალი ოდიოზური გამოთქმების შესაქმნელად გამოვიყენებთ (**წავლეცგოგდეთ, ვიდანსინგე, გადავუზვანოკე, დამინამიოკეს, ვიტანცავე, დენს-ვეშები, გაპრასვეტება...**), გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუ ვინმეს ძალაუნებურად გაუჩნდება პროტესტი ამგვარი ცოდნის მიმართ. ესეცაა, ვინც უცხო ენა მართლა კარგად იცის, ის ნაკლებად მიმართავს ამგვარ გამოთქმებს.

პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ ამ "ენაზე" მხოლოდ მოზარდები არ საუბრობენ. იგი იქცა შედარებით უფროსი თაობის, თანაც ხშირად ე.წ. ელიტარული საზოგადოების ენად. ცხადია, პოპულარობა ყოველთვის არ ნიშნავს საუკეთესოს, გამორჩეულს, მაგრამ დღეს ძნელი ხდება პოპულარობის მოპოვება ამგვარი ენობრივი ღალატის გარეშე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ახალი, ფსევდოელიტა, რომელიც, სამწუხაროდ, დღევანდელი პოპულარული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და არა ძველი ინტელიგენცია, "სავსე ქართული სიდარბაისლით", რომელიც დღეს, თითქმის ყველასაგან მივიწყებული, თვითონაც ჩრდილში მიმდგარა, გაყუჩებულა.

ესეცაა, ძალიან პოლიტიკურები გავხდით და ამ პოლიტიკომანიამ დაგვავიწყა ზოგი არსებითი საკითხი. პრობლემებმაც იმატა, მაგრამ რაზეც დღეს ვსაუბრობთ, არც ესაა რაიმეზე ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემა. მით უფრო, რომ მის მოგვარებას თანხები კი არ სჭირდება, არამედ მხოლოდ ჩვენი კეთილი ნება. არადა გვჯერა, თუ დღევანდელ ენობრივ სიტუაციას წავუყრუებთ და მას მშვიდად მივიღებთ, როგორც სოციოკულტურულ ცვლილებათა შედეგს ან როგორც გარდატეხის ასაკის თავისებურებას, მაშინ ჩვენ გავხდებით ხელშემწყობი იმ ზნეობის დამკვიდრებისა, რისი გამომხატველიც არის დღეს თავად ეს ლექსიკა.

ძალიან კარგია, რომ სახელმწიფო ცდილობს ქართული ენის ფუნქციონირების გაძლიერებას არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში, მაგრამ სამწუხაროა, როცა ამის პარალელურად ჩვენ, ხალხი, ვქმნით "ახალ ენას", რომლითაც ძირს ვუთხრით "ძველს", ნამდვილს.

ეს არაა სახელმწიფო დონეზე გადასაჭრელი საკითხი. ეს თითოეული ჩვენგანის ზნეობრივი დანიშნულებაა. ეს ახალგაზრდები ხომ ჩვენი შვილები, შვილიშვილები, ჩვენი მოსწავლეები და სტუდენტები არიან. მათი დახმარება ჩვენი მოვალეობაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ "ენობრივ ვაკხანალიაში" რომ არ ჩართულიყო ჩვენი მასმედია, მწერალთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი, ზოგი თეატრი და სხვა სზოგადოებრივი დაწესებულებები, პროცესები ალბათ ასეთ მასშტაბს არ მიიღებდა და იგი მართლაც გარდატეხის ასაკის მოსახდელ სენად დარჩებოდა.

დღეს ქართველი ხალხი ზეიმობს ქართული ენის დღეს - 14 აპრილს. ყველას კარგად მოეხსენება ამ დღის ისტორია, როცა ცხოვრებამ კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო ქართველ ხალხს, - იყო თუ არა მზად, დაეცვა თავისი ენა, თავისი თვითმყოფადობა, თავისი სიცოცხლე და, შესაბამისად, არსებობა. ზეიმი შემთხვევით არ გვიხსენებია. დიახ, ჩვენ ვიზეიმებთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ჩვენი დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ ზეიმის მორალურ უფლებას გვაძლევდეს.

ამას წინათ ქართული კულტურითა და ისტორიით მოხიბლულმა ერთმა უცხოელმა ქართველოლოგმა საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას ძალზე საინტერესო და საყურადღებო რამ თქვა: აქ, საქართველოში, ჩემი სამშობლო ხელახლა აღმოვაჩინე და მისკენ მიმავალი გზები ვიპოვეო. რამდენადაც სასიამოვნოა ამის მოსმენა, იმდენად გულსატკენიცაა იგი. უცხოელ კაცს საქართველო აწყებინებს თავისი სამშობლოს სხვაგვარად აღქმას და მის აღმოსაჩენ სხვა თვალსა და გზებს უხსნის. ჩვენ კი ჩვენსავე ქვეყანაში ჩვენსავე ქვეყანას ვკარგავთ.

ეპოქალური ცვლილებები იწვევს ღირებულებათა გადაფასებას, ფასეულობათა შეცვლას, მაგრამ არის ღირებულებები, რომლებიც არ შეიძლება ემორჩილებოდნენ ამ პროცესებს. ესაა ერთგულება რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნული თვითშეგნებისა და დედაენისა, ანუ იმისა, რაც ილიამ უკვდავი ტრიადის სახით ჩამოაყალიბა: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ერი საკუთარ თავს პატივს სცემს, თუ მას მომავლის პრეტენზია აქვს, მაშინ მისმა თითოეულმა წევრმა არც ის პასუხისმგებლობა უნდა დავივიწყოთ, რაც ამ ტრიადის მიმართ გვაქვს. დედაენაზე ზრუნვა, უპირველესად, ესაა ზრუნვა საკუთარ თავზე, საკუთარ მომავალზე, ესაა ჩვენი ერად დარჩენისა და გადარჩენის შანსი.

ჩვენ ყველანი მართლაც ბავშვობიდან მოვდივართ და რა მიმართულებას, რა გზას მივცემთ ჩვენს ბავშვებს ("დიდ ბავშვებსაც", რასაკვირველია), იმავე გზას მივცემთ ჩვენს ცხოვრებასაც, ჩვენს მომავალს. არ მეგულება უფრო აზრიანი, ლაკონური და ყველაფრის დამტევი ფორმულა ახალგაზრდების აღზრდის მიმართულებისა, ვიდრე დავით გურამიშვილის სიტყვებია: "ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო".

სიდამ მოვსულვართ, - ვიცით; სად ვართ, - თითქოს ესეც გარკვეული გვაქვს; სად წავალთ, - ამ არჩევანს მხოლოდ ბედის ანაბარა ნუ შევატოვებთ მსოფლიო ქარიშხლებს. არჩევანიც ჩვენია და არადანიც!

# ეროვნული ხელისუფლება + მუზეუმიფიკაცია?

დავით ანდრიაძე
სახელმწიფო მუზეუმის - "საქართველოს ეროვნული გალერეის" არტ„დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოცრეალიზმის მეტრს, დმიტრი ნალბანდიანს ერთი კურიოზული სურათი აქვს. ამ ტილოზე დიდი ლენინია გამოსახული, "სიქსტეს მადონათი" რომ ტკბება. მაგრამ რაშია კურიოზი? რაში და, ბელადს ეს სურათი არასოდეს ენახა... უბედურება ისაა, რომ დიდმა სტალინმაც დაკარგა რაფაელის შედევრით ტკბობის შანსი... რატომ? ახლავე მოგახსენებთ.

ჯერ კიდევ გაგანია ომის დროს, 1944 წლის მარტში დაიგეგმა მოსკოვში მსოფლიო მუზეუმის დაარსება. ეს სუპერმუზეუმი Храм Христа Спасителя -ს ნანგრევებზე "იტალიელი" იოფანის პროექტით ასაგები კოსმიური მასშტაბის "საბჭოების სასახლის" კომპლექსში უნდა ჩართულიყო. მანამდე ფაშისტურ გერმანიაში შემუშავდა ე.წ. "ლინცის საიდუმლო მისია" - პროვინციულ ავსტრიულ ქალაქ ლინცში, დუნაის ნაპირებზე უნდა აეგოთ "ფიურერის მუზეუმი". ორგანიზაციულ საქმეებს მარტინ ბორმანი განაგებდა, არქიტექტორი კი ჰიტლერის განუყრელი ფავორიტი ალბერტ შპერი იყო. ეს მუზეუმი არა მხოლოდ მესამე რაიხის სავიზიტო ბარათად, არამედ სვასტიკის ქვეშ გაერთიანებული ევროპის სიმბოლოდაც იყო ჩაფიქრებული. ჰიტლერი არ აპირებდა იმ ქვეყნების სამუზეუმო კოლექციების ხელის ხლებას, რომელთაც დასავლური ცივილიზაციის ნაწილად თვლიდა. ხელუხლებელი რჩებოდა ლუვრი, არც ვენისა და ბერლინის კოლექციების ლინცში გადაზიდვას აპირებდა ფიურერი. რაღა დარჩა? "ნაცის მტრებისა" და "არასრულფასოვან ხალხთა" კონფისკირებული ქონება. ექსპოზიციის ჩამოყალიბებაც დაიწყეს წყეულმა ნაცისტებმა, თანაც ისეთი ექსპოზიციისა, რომელშიც თვალსაჩინოდ აისახებოდა "არიული სულის გადამწყვეტი ზეგავლენა", იქნებოდა ეს ანტიკური ქანდაკებები თუ ვან ეიკის სურათები. ლინცის სუპერმუზეუმის ექსპონატთა შერჩევისას თავად მხატვარ ჰიტლერის გემოვნებაც არცთუ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. მსოფლიო ხელოვნების უმაღლეს მიღწევად ფიურერი ე.წ. დიუსელდორფის სკოლას მიიჩნევდა-სკოლას, რომლის მოსაწყენი სურათებიც გვიანდელ პერედვიჟნიკთა წყალწყალა ოპუსებს მოგვაგონებს.

სუპერმუზეუმის მოდელი რაიხსკანცელარიაში ინახებოდა. უყვარდა თურმე ჰიტლერს ამ ვირტუალურ პროექტთან განმარტოება. როგორც ამბობენ, თავის პირმშოსთან უკანასკნელად თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე უნახავთ.

მოსკოვურ სუპერუზეუმთან შედარებით "ფიურერის მუზეუმი" საბრალო ოინბაზობად აღიქმებოდა. სტალინისეულ ჰიპერმუზეუმს იქვე, მეზობლად მყოფი პუშკინის მუზეუმი უნდა დასდებოდა საფუძვლად, ყველა დანარჩენი კი, "ტრეტიაკოვკას" გამოკლებით, უნდა გაუქმებულიყო და ამ მონსტრს შერწყმოდა.

მოლოტოვმა მოიწონა პროექტი. მაშინდელმა ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, როგორც დღეს იტყვიან – კულტურის მინისტრმა ხრაპჩენკომ კი საბჭოთა მთავრობას ერთი წლის შემდეგ ჩააბარა პატაკი, რომ დრეზდენის გალერეისა და პუშკინის შეერთებით სულ მალე ლუვრისა და ბრიტანეთის მუზეუმებზე არანაკლები მუზეუმი ექნებოდა საბჭოთა იმპერიის დედაქალაქს.

გავიდა კიდევ ერთი წელი და პუშკინის მუზეუმის თანამშრომლებმა ნაალაფარი შედევრებისაგან შერეული ექსპოზიცია მოამზადეს. ვერნისაჟის დღეც დაინიშნა. მოსაწვევებიც დაისტამბა, მაგრამ რად გინდა?! ბოლო მომენტში ცეკადან აწკრიალდა ტელეფონის ზარი, ზარი კი არა, საგანგაშო სიგნალი და ექსპერიმენტული ექსპოზიციის გახსნაც გადაიდო. რჩეული ექსპონატებით მაინც დაკომპლექტდა "მუზეუმი მუზეუმში"- რამდენიმე დარბაზი, სადაც მხოლოდ საბჭოთა ელიტას შეესვლებოდა, თანაც პოლიტბიუროს წევრის, ვოროშილოვის საგანგებო ნებართვით. სხვათა შორის, იმხანად კულტურას რატომღაც ეს მარშალი კურირებდა. სულ მალე საიდუმლო მინისუპერმუზეუმს პოსტკრებიშევი ეწვია. წინდახედულ პუშკინელებს ემცხეთათ ამ საშიში კაცის მოულოდნელი ვიზიტი -სტალინის პირადი მდივანი კაი საქმისთვის არ მოცდებოდა. ამ ვიზიტის შემდეგ ხსენებული ექსპოზიცია სამუდამოდ გასაიდუმლოებული დარჩა. 1949 წელს პუშკინის მუზეუმიც დახურეს, მის ნაცვლად კი სტალინის "საჩუქრების" გამოფენა მოაწყვეს. ამასობაში საბჭოების სასახლის მშენებლობაც შეჩერდა. რა მოხდა, რა ბზიკმა უკბინა ბელადს? სუპერმუზეუმის იდეა ერთობ დასავლურად ხომ არ მოეჩვენა? ანდა ეს გრანდიოზული ჩანაფიქრი კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლას ხომ არ ემსხვერპლა? ვინ იცის?! ნაპოლეონმა აჯობა ყველას - ლუვრი გვიანდერძა, სტალინმა კი საჩუქრების გამოფენა გვისახსოვრა. მე ისევ იმაზე მწყდება გული, მსოფლიო ხალხთა დიდმა ბელადმა საკუთარი (დასავსები) თვალებით რომ ვერ იხილა "სიქსტეს მადონა". აი, ლენინმა კი იხილა... ნალბანდიანის სურათზე.

მუზეუმი, როგორც კულტურული ინსტიტუცია, იმთავითვე ძალაუფლების ნების გამომხატველი იყო. იმავე საბჭოთა კავშირში მუზეუმიც და ხელისუფლებაც ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. აი, პოსტსაბჭოთა საქართველოში თუ ახდენს მუზეუმი ხელისუფლების ინტერესების დემონსტრაციას? საქმეც ესაა! ვის სცხელა ახლა საქართველოში მუზეუმებისათვის? ერთხმად იკითხავენ ლამისაა დესოციალიზებული ინტელიგენტებიცა და ნუვორიში "ახალი ქართველებიც". ვის სცხელა და ხელისუფლებას! შესაძლოა, ამ უკანასკნელს არც ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რას წარმოადგენს ეს რაფინირებული ინსტიტუცია. იქნებ, ხელისუფლებას ვერც ის წარმოუდგენია, თუ, სახელდობრ, როგორ შეუძლია გამოიყენოს მუზეუმის პროპაგანდისტული მექანიზმი.

მუზეუმი, როგორც ასეთი, წარმოიშვა, როგორც საჯარო სივრცე. არსებობს "ლუვრის ქრონოტოპი", რომელიც განსხვავდება ბუდაპეშტის მუზეუმის ქრონოტოპისაგან. დავკვირვებულვარ: ერმიტაჟში სხვანაირად მოვქცეულვარ, ვიდრე რუსულ მუზეუმში, "პუშკინში" სხვანაირად გამივლია, ვიდრე "ტრეტიაკოვკაში"... ნაციონალური მხატვრობის უმთავრესი მოტივები, ისტორიული თუ ფოლკლორული ხატები, ამ ტიპის მუზეუმებს რომ ავსებენ, სწორედაც მოქალაქეობრივი თვითშეგრძნებას აქტიურებენ მნახველში. ნაციონალური მუზეუმის დამთვალიერებელი მოქალაქეა და არა - ტურისტი-ექსკურსანტი, რომელიც ე.წ. კოსმოპოლიტური მუზეუმის სტუმარია.

ხელოვნება და პოლიტიკა იმთავითვე ალიანსში მოიაზრებოდა. ამის ნიმუშია 1791 წლის 21 ოქტომბერს პტი ოგიუსტენის მონასტერში გახსნილი მუზეუმი - ფრანგული რევოლუციის პირმშო, ახალგაზრდა მხატვარმა ალექსანდრ ლენუარმა რომ დააპროექტა. ეს იყო წმინდა ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობის პირველი მუზეუმი. მასში თავმოყრილი ეროვნული სიმდიდრე თანამედროვეთა მიერ არ აღიქმებოდა მხატვრულ ფასეულობად. მე-18 საუკუნის მიწურულამდე ამგვარად ითვლებოდა ნაწარმოები, რომელსაც საერთაშორისო აღიარება ჰქონდა მოპოვებული. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ, სიტყვაზე, პუსენი იტალიაში ცხოვრობდა, რუბენსი კი ერთხანს საფრანგეთის მეფის კარზე მუშაობდა. ისინი უნიკალურ ფასეულობებს ქმნიდნენ - მორჩა და გათავდა! აი, რატომ არ შეეხო მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ შედევრებს რევოლუციის მსახვრალი ხელი. ლუვრის კოლექციებიც იმიტომ გადარჩა, რომ ისინი მარადიულ ესთეტიკურ ღირებულებებს განასახიერებდნენ და პოლიტიკისაგან შორს იდგნენ. ვინ გაანადგურებდა, ვთქვათ, ტიციანს? რატომ? რისთვის? ის ფაქტი, რომ ხელოვნება, რომელსაც არ გააჩნია უნივერსალური ღირებულება, თავს იყრის სამუზეუმო კოლექციაში, სიმპტომატური აქტია. ეს უკვე არისტოკრატული კოსმოპოლიტიზმისა და ნაციის თვითდამკვიდრების ნიშანია.

ახლა ისევ ჩვენს ყოფილ დედინაცვალს, რუსეთს დავუბრუნდეთ. 1882 წელს სტასოვმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით "Двадцать пять лет русского искусства". რატომ ოცდახუთი წელი? რუსული მხატვრული კრიტიკის მამამ ნაციონალური რუსული ხელოვნების წელთაღრიცხვა საკუთრივ ტრეტიაკოვის ინიციატივიდან აითვალა—იმ ტრეტიაკოვისა, რომელმაც კოლექციის შეგროვება 1856 წელს დაიწყო. ამ სტატიიდან გამომდინარე, რუსეთის ხელოვნების ისტორია შემოკლდა, რადგან სტასოვის აზრით რუსული ხელოვნება ვიწრონაციონალური თემატიკის რეალისტური ათვისებით დაიწყო. რეალიზმის მხარდამხარ გაჩნდაო ჩვენში ნაციონალურობის მოთხოვნილება—იტყვის იგი და, მართალიცაა! მანამდე კი რუსი მხატვრები გულგრილნი იყვნენ თემატიკის თუ სიუჟეტის შერჩევაში. ასეთი გულგრილობა ხელოვნებაში კოსმოპოლიტიზმის ნიშანია, როცა ღირებულება განისაზღვრება არა სიუჟეტიკით, არამედ მხატვრული თვისებრიობით. მას შემდეგ, რაც ფერწერაში დომინირებას ნაციონალური სიუჟეტი იწყებს, იგი კარგავს უნივერსალურ ღირებულებას და პროვინციალიზდება; და იმავდროულად, პოლიტიზირდება კიდეც.

ახალი ქართული მხატვრობაც იმავე კონტექსში იკითხება. გაბაშვილის, მრევლიშვილის, თოიძისა და სხვა ლოკალურ კლასიკოსთა ოპუსების ნაციონალური სიუჟეტიკა გამორიცხავს მხატვრულ—კულტურულ უნივერსალიებთან თანაზიარობას. ფიროსმანი სულ სხვა ფენომენია. მისი ნაციონალიზაცია და, შესაბამისად, პოლიტიზაცია, "გარედან" მოხდა. გენიალური პრიმიტივისტი სწორედ თავისი "ისტობის" გამო ფლობს კოსმოპოლიტურ ღირებულებას. კაკაბაძისეული "იმერეთი" რაღა არის—პროვინციის ლანდშაფტიზაცია თუ ლანდშაფტის პროვინციალიზაცია, ანდა, "რიონჰესი" რაღაა—პროვინციული ლანდშაფტი პლუს ელექტროფიკაცია?!

საჯარო ნაციონალურ კოლექციათა წარმოშობის კვალობაზე მასობრივი მაყურებლისთვის განკუთვნილი ხელოვნება კი "იხსნება", მაგრამ საკუთრივ ხელოვნების ჰორიზონტი "იხურება". და მუზეუმიც ნაციონალური და ოფიციოზური პოლიტიკის იდეოლოგიურ "სანაშენე ფერმებად" გარდაიქმნება. რუსეთის იმპერიის პროვინციებში ნაციონალური და კოსმოპოლიტური ხელოვნება ერთ ტაფაში აღმოჩნდა. ასე მოექცა ქართული "ტრეტიაკოვკა" და ქართული "ერმიტაჟი" საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

არადა, დიმიტრი შევარდნაძეს მთლად ასე არ უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებული სურათების გალერეა. ეს უკანასკნელი მოიაზრებოდა, როგორც კულტურული სცენა, სადაც უნდა გათამაშებულიყო უახლესი ქართული მხატვრობის სპექტაკლი. დღეს გაჩნდა შანსი, დავუბრუნდეთ ეროვნული გალერეის მთავარ მოწოდებას და იგი იმავდროულად ვაქციოთ თანამედროვე ქართული მხატვრობის ჯერ ვირტუალურ, შემდეგ კი რეალურ მუზეუმადაც - ოღონდ არა მუზეუმად, როგორც "კულტურის სასაფლაოდ". დადგა დრო, "რუსეთის სამხედრო დიდების მუზეუმი" იქცეს ქართული "სამხატვრო დიდების" მუზეუმად, ოღონდ ისე, რომ მან შეიძინოს ქართული ვიზუალური კულტურის დინამიური ინსტიტუციის სტატუსი.

ჩვენს ყოფილ "სამშობლოში" თუ დავბრუნდებით, "ტრეტიაკოვკა" იყო საბჭოთა სახელმწიფო კულტურული პოლიტიკის ფორპოსტი და არა "ერმიტაჟი". ქართულ სინამდვილეში სწორედ ეროვნული გალერეა უნდა მნიშვნელობდეს, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ინსტიტუცია. საბჭოთა კავშირისთვის საქართველო აღიქმებოდა, როგორც ერთ-ერთი მხარე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიც ამიტომ შეიქმნა, როგორც იმპერიის ერთ-ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. რაც შეეხება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს (დღევანდელი გაგებით), ეს უკვე ეროვნული ხელოვნების ნიმუშთა საცავია - მსოფლიო (კოსმოპოლიტური) ხელოვნების უფასო დანამატით. მით უფრო გაუგებარია ხელოვნების მუზეუმის ეროვნული მუზეუმის ფილიალად ჩამოქვეითება.

ქართული "ტრეტიაკოვკა" ჯერაც შესაქმნელია. დღესდღეობით კიდევ არა გვაქვს ნაციონალური მუზეუმი, ანუ იმგვარი ინსტიტუცია, რომლის ჩარჩოებშიც ხორციელდება სოციუმის დარაზმვა. ეს სიტყვა – "დარაზმვა", ცოტა არ იყოს, მილიტარისტულ ასოციაციებს იწვევს, ჩვენ კი საომარი არავისთან გვაქვს.

ომი არა, მაგრამ პოლიტიკა ნამდვილად გვჭირდება, პოლიტიკა - თუნდაც ხელოვნების იდეოლოგიურ პროვინციალიზმთან რომაა ჯვარდაწერილი. პოლიტიკურ დიდაქტიკასთან განქორწინებული ავანგარდი კი, უნივერსალურ კულტურულ პოლიგამიას რომ ელტვის, ნაციონალური პოლიტიკის მიერ ძნელი სამართავია. პოლიტიკური დაბეგვრის სანაცვლოდ ავანგარდი იმით ჯარიმდება, რომ მას მუზეუმის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუციის კედელზე ადგილს აღარავინ მიუზომავს. არც უნდა მოუზომოს, რადგან ნაციონალურ მუზეუმში კოსმოპოლიტური ხელოვნების ექსპონირება ინსტიტუციონალური ქაოსის საწინდარია; ავანგარდის ადგილი სხვა კულტურულ სივრცეშია.

ხელოვნების მუზეუმი, დიახაც, ადგილობრივი, რეგიონალური, ნუ შეცბებით და, მეორეხარისხოვანი მუზეუმია, ჩვენს შემთხვევაში "სამ გენერალსა" თუ "მცხეთობას" კულტურის "ძალოვანი სტრუქტურების" მეშვეობით რომ მიაწერს შედევრების სტატუსს - შედევრებისა, რომლებიც სახელმწიფო საზღვრიდან სამიოდ კილომეტრზე აღარ იკითხებიან, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ტექსტები. მოკლედ, როგორი გეოპოლიტიკური ამბიციებითაც არ უნდა იყოს აღჭურვილი ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკა, არსით იგი პირწმინდად ნაციონალურია. ნაციონალური, ანუ სახელმწიფოებრივი.

ასეა, კულტურას თავისი მექანიზმები აქვს; სახელმწიფო პოლიტიკასაც თავისი ანგარიშები აქვს კულტურასთან. აი, რატომაა მუზეუმი პოლიტიკური ინსტიტუცია.

**P.S.** ჟორჟ ბატაის უთქვამს: "ლუვრი - ესაა ლუდოვიკო XVI-ის მოკვეთილი თავის სუბსტიტუტიო".

ჩვენს ნაციონალურ მუზეუმში ბინადრობს პალეოიდიოტთა "პირველი ევროპული" წყვილი – ზეზვა და მზია... ისინი პირველი ევროპელები არიან. მათ უნდა თქვან: მე ვარ პირველევროპელი, მაშასადამე – ქართველი.

ჩვენი ნაციონალური მუზეუმი რაღა გამოდის? ზეზვა + მზია = ნაციონალურ მუზეუმს!

მოკლედ

## მესი "მილანთან" ვერ ითამაშებს

ესპანეთის "ბარსელონას" არგენტინელი ფორვარდი ლიონელ მესი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ მატჩს "მილანის" წინააღმდეგ, რომელიც მომავალ კვირაში მილანში გაიმართება. ამის მიზეზი ბარძაყის ტრავმაა, რომელიც ფეხბურთელმა "ჩელსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მატჩში მიიღო. ესპანური კლუბის განცხადებით, მესი მანამდე არ ივარჯიშებს, სანამ ბოლომდე არ გაუვლის ტკივილი და კუნთს ბოლომდე არ აღიდგენს.

## ეშლი კოული "არსენალს" დატოვებს

ლონდონის "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების მცველი ეშლი კოული აპირებს გუნდიდან წასვლას იმ შემთხვევაშიც კი, თუ "მეთოფეები" ჩემპიონთა ლიგას მოიგებენ. გაზეთ "სანის" ცნობით, კოული არასოდეს არ აპატიებს "არსენალის" ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დეინს ხელფასის შემცირებას 60 ათასი ევროდან 55 ათასამდე. თავის მხრივ, არსენ ვენგერი ამბობს: აზრი არა აქვს შეგონებებს, რომ კოულმა გადაწყვეტილება შეიცვალოს და გუნდში დარჩეს. ფეხბურთელზე მადრიდის "რეალი" და ლონდონის "ჩელსი" აცხადებენ პრეტენზიას.

## კემპბელი მზად არის დასაბრუნებლად

ლონდონის "არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მცველი სოლ კემპბელი მწყობრშია და გუნდს მალე შეუერთდება. ამასთან, ვენგერმა აღნიშნა, რომ კემპბელს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აღარა აქვს. პირველი თებერვლის შემდეგ მცველი პირველად დაუბრუნდება მინდორს. მაშინ "ვესტ ჰემთან" მატჩში (2:3) ის პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ამის შემდეგ კემპბელს კოჭი და ფეხის თითი დაუზიანდა. მერე კი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ შექმნეს დაცვის ცენტრში გაუვალი ზღუდე კოლო ტურემ და ფილიპ სენდეროსმა.

## ტოტი თითქმის მწყობრშია

"რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი "ემპოლის" წინააღმდეგ თებერვლის მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ თანდათან ფორმას აღდგენს. ვარაუდობდნენ, რომ იტალიელი მოტეხილ ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სამ თვეს დაკარგავდა და მსოფლიო ჩემპიონატზე მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

ცნობა იმის შესახებ, რომ ტოტიმ ვარჯიში დაიწყო, "რომასთვის" კარგი სიახლეა. კლუბი იბრძვის მეოთხე ადგილისთვის, რომელიც მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. "დარწმუნებული ვართ, რომ უკვე აპრილის ბოლოს ტოტი შეძლებს ძირითადი დატვირთვების გადატანას, - განაცხადა პროფესორმა მარიანიმ, რომელმაც ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთა.

## რონალდოს ტრავმა სასარგებლოა

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა აცხადებს, რომ რონალდოს ტრავმა, რომელიც ბრაზილიელმა "რეალისა" და "სოსიედადის" შეხვედრაში მიიღო, ფეხბურთელისა და ნაკრებისთვის სასარგებლოა.

"რონალდო სამი კვირით დაისვენებს, ძალებს აღიდგენს და ბრაზილიის ნაკრებს საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში შეუერთდება", - ამბობს პარეირა.

## არავითარი ტურნეები

ინგლისის "ლივერპულის" ესპანელმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა უგულებელყო ყველა შესაძლებელი ტურნე სხვადასხვა კონტინენტებზე გუნდის საზაფხულო შეკრების დროს. "ჩვენ უკვე გვაქვს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ სად და როდის წავალთ ზაფხულში, - განაცხადა ბენიტესმა, - თუმცა იმის გამო, რომ ფეხბურთელთა უმეტესობა მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობს, ეს გეგმები მნიშვნელოვნად შეიზღუდება. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელ სტადიამდე მიაღწევენ მათი ნაკრები გუნდები. მაგალითად, თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ინგლისი და ესპანეთი შეხვდებიან ერთმანეთს, მაშინ "ლივერპულის" ფეხბურთელებს მეტი დასვენება დასჭირდებათ. ამიტომ არავითარ ოკეანის გაღმა ტურნეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ისინი უბრალოდ ასეთი მატჩების შემდეგ ძალების აღდგენას ვერ მოასწრებენ. მათ 15-20 დღე მაინც დასჭირდებათ".

## წაიყვანეთ ოლივეირა

ესპანეთის "ბეტისის" ბრაზილიელი ფორვარდი რიკარდუ ოლივეირა იჯარით ბრაზილიის "სან-პაულუს" გადაეცემა, რათა მომავალი სეზონისთვის უკეთ მოემზადოს. 25 წლის ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში თავის გამოჩენა მოახერხა და ერთადერთი გოლი გაუტანა ბელგიის "ანდერლეხტს" ჯგუფურ ეტაპზე. 2004-2005 წლების სეზონში მან ესპანეთის პრიმერადივიზიონში 37 მატჩი ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა. თუმცა პირველ ნოემბერს ფორვარდმა მარჯვენა მუხლის მყესების სერიოზული ტრავმა მიიღო. "ბეტისმა" ოლივეირას საშუალება მისცა სამშობლოში ემკურნალა. მის შემცვლელად კი დიეგო ტარდელი გადაიბირა. რიკარდო ოლივეირა, რომელიც უკვე ხუთი თვეა მინდორზე არ გამოჩენილა, "სან-პაულუს" ღირსებას დაიცავს, ხოლო 10 აგვისტოს ესპანეთში დაბრუნდება.

## აველანჟს ოპერაცია გაუკეთეს

ფიფას ყოფილ პრეზიდენტ ჟოაო აველანჟს ელექტროკარდიოსტიმულატორის იმპლანტაციის ოპერაცია გაუკეთეს. 89 წლის პაციენტი მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც არითმიის დიაგნოზი დაუსვეს. ექიმები ამბობენ, რომ მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ როდის გამოვა აველანჟი საავადმყოფოდან, ამას ვერ ვარაუდობენ. შეგახსენებთ, რომ 1974 წლიდან 1998 წლამდე აველანჟი ფიფას პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობდა.

## 17 წლის კოლუმბიელი ვარჯიშზე გარდაიცვალა

კოლუმბიურ კლუბ "ენვიგადოს" 17 წლის რეზერვისტი ვიქტორ ალფონსო გერერო "მედელინის" სტადიონზე თავისი კლუბის ვარჯიშისას გარდაიცვალა. ვარჯიშის დაწყებიდან 10-15 წუთის შემდეგ ფეხბურთელმა გონება დაკარგა, ხოლო საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. "როგორც კი წაიქცა, მყისვე მასთან გავჩნდით და ვცდილობდით გონზე მოგვეყვანა, მაგრამ ის არ რეაგირებდა" - განაცხადა გუნდის ექიმმა კარლოს ფალკონმა. ამ დღეებში გერეროს გაკვეთენ და გარდაცვალების მიზეზს დაადგენენ. ექიმის თქმით, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მავნე ჩვევები არ ჰქონდა. "ჯერჯერობით მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო გულის შეტევა ან ტვინის უჯრედების ანევრიზმა", - დაასკვნა ფალკონმა.

## იაო მინი 6 თვეს დაისვენებს

"ჰიუსტონ როკეთსის" ჩინელმა ცენტრმა იაო მინმა მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და იძულებულია საოპერაციო მაგიდაზე დაწვეს. ამის შემდეგ კალათბურთელი 4-დან 6 თვემდე დაისვენებს. ჩინელმა, რომლის სიმაღლე 229 სანტიმეტრია, იუტელ "ჯაზმენებთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა. სამედიცინო შემოწმებამ მოტეხილობა გამოავლინა. "ამ პრობლემას ორი გამოსავალი აქვს. შეიძლება ფეხი თაბაშირში ჩაისვა და ძვლები თვითონ შეეზრდება ერთმანეთს ან ოპერაცია გაიკეთო. პირველ ვარიანტში მინმა შეიძლება მთელი ცხოვრება დისკომფორტში გაატაროს, ამიტომ ასეთ დროს უმრავლესობა მეორე ვარიანტს ირჩევს", - განაცხადა "რაკეტების" გენერალურმა მენეჯერმა კეროლ დოუსონმა. ამასთან, ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა მინი თამაშს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 19 აგვისტოს იაპონიაში დაიწყება.

ფეხბურთი

# ავსტრალიელები ჰიდინკის შემცვლელს ეძებენ

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი ეროვნული ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის ძიება დაიწყო, რადგან ეს პოსტი გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ვაკანტური გახდება. "მწვანე კონტინენტის" ეროვნული გუნდის ამჟამინდელი თავკაცი, ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი, არსებული კონტრაქტის შესაბამისად, მუნდიალის დასრულებისთანავე დატოვებს პოსტს და სამწვრთნელო კარიერას ჩრდილოეთში, კერძოდ, რუსეთში გააგრძელებს.

"გვჭირდება სპეციალისტი, რომელიც მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე კი არ ეწვევა ჩვენს ქვეყანას, თავისი დროის უმეტეს ნაწილს ავსტრალიაში გაატარებს. სასურველი იქნება, მოვძებნოთ ისეთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეზე - ავსტრალიის ნაკრების გაწვრთნაზე იქნება კონცენტრირებული", - განაცხადა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ჯონ ბოულტბიმ.

ბოულტბიმ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი საკლუბო საქმიანობით არ უნდა იყოს დაკავებული. ეს პირობა, როგორც ჩანს, ჰიდინკს არ ეხებოდა, რადგან იგი ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის პარალელურად "ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელიც იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ორივე საქმეს ბრწყინვალედ გაართვა თავი - "ეინდჰოვენი" ქვეყნის ჩემპიონი გახადა, ხოლო ავსტრალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური




ჰიდინკი რუსეთის ნაკრებთან კონტრაქტს დღეს მოაწერს ხელს.

მოაპოვებინა.

ბოულტბიმ ისიც აღნიშნა, რომ შეეცდება მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სპეციალისტი მიიწვიოს.

ამასობაში რუსები ჰიდინკთან კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადებიან. რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ჰოლანდიელი სპეციალისტი კონტრაქტზე ხელის მოსაწერად მოსკოვს ხვალ ეწვევა. გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება და კონტრაქტზე ხელის მოწერის უფლებამოსილება თავის პრეზიდენტს, ვიტალი მუტკოს მიანიჭა. ხელშეკრულების გაფორმების ოფიციალური ცერემონიალის დასრულებისთანავე გაიმართება მუტკოსა და ჰიდინკის ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელზეც კონტრაქტის დეტალები გახდება ცნობილი. წინასწარ კი ცნობილია, რომ სამწვრთნელო შტაბში ჰიდინკის გარდა კიდევ სამი ჰოლანდიელი სპეციალისტი იმუშავებს.

ამასთან, მუტკომ აღნიშნა, რომ კონტრაქტის მიხედვით ჰიდინკი ორ წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა განაცხადა: "ჩვენ ჰიდინკს ხელფასს სრულიად ოფიციალურად გადავუხდით და ყველა გადასახადს გადავრიცხავთ ბიუჯეტში".

მუტკომ არც ის დამალა, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტისთვის ასეთი მეფური ხელფასის გადახდა ფონდ "ფეხბურთის ნაციონალური აკადემიის" წყალობით გახდა შესაძლებელი. ამ ფონდთან კი პირდაპირი კავშირი აქვს რუს მილიარდერს რომან აბრამოვიჩს.

თავად ჰიდინკს უნდა, რომ რუსეთის ნაკრები ამსტერდამიდან მართოს, რუსეთში კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჩავიდეს. მწვრთნელის თქმით, მას სამწვრთნელო შტაბის ჩამოყალიბებისა და თამაშის კონსტრუირების საქმეში სრული თავისუფლება მისცეს. სამწვრთნელო შტაბის შემადგენლობაში შევლენ როგორც ჰოლანდიელი, ისე რუსი სპეციალისტები.

ერთგვარად განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს ვიტალი მუტკო: "ჰოლანდიელი მწვრთნელი დროის უმეტეს ნაწილს რუსეთში გაატარებს. იგი მუდმივად ჩართული იქნება სასელექციო პროცესში, მონაწილეობას მიიღებს რუსული საფეხბურთო მეურნეობის მშენებლობაში და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში". როგორც ჩანს, მწვრთნელის მუშაობის განრიგი ის გამონაკლისი პუნქტია, რომელზეც ორმხრივი შეთანხმება საბოლოოდ არ არის მიღწეული და ეს საკითხი კონტრაქტზე ხელმოწერამდე გადაწყდება.

1998 წელს ჰიდინკმა ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ იგივე შედეგი გაიმეორა სამხრეთ კორეის ნაკრებთან ერთად.

კრივი

# ალიმ სახელი გაყიდა

*კასიუს კლეის სახელით დაბადებულმა და მუჰამედ ალის სახელით მონათლულმა ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ და ცოცხალმა ლეგენდამ საკუთარი სახელისა და სურათის გამოყენების უფლება 50 მილიონ დოლარად სალიცენზიო ფირმა CKX გადაულოცა. დღეის იქით CKX აქვს უფლება ალის სახელი საკუთარი ფირმის ბიუჯეტის გასამდიდრებლად გამოიყენოს.*

კომპანიის განცხადებით, 64 წლის ალი და მისი მეუღლე ვალდებულებას იღებენ "აქტიურად ითანამშრომლონ CKX-თან, რათა ამ უკანასკნელმა მოკრივის მემკვიდრეობას მთელ მსოფლიოში გაუწიოს პროპაგანდა".

ამ ფირმას უფლება აქვს ელვის პრესლის მუსიკაზე და მის სახელზე, ასევე ტელეშოუზე "American Idol" ("ამერიკელი კერპი") და "Pop Idol" ("პოპ-კერპი"), რომელთა მეშვეობით მუსიკალური სამყაროსთვის ახალ ვარსკვლავებს ეძებენ.



სალიცენზიო ფირმამ მუჰამედ ალის სახელთან დაკავშირებული საქმიანი ოპერაციებისთვის შექმნა ახალი კომპანია "Greatest Of All Time" ("ყველა დროის საუკეთესო").

ფირმასა და ალის ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით მოკრივის ოჯახი კომპანიაში 20-პროცენტიან წილს მიიღებს, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტი CKX-ის საკუთრებაში აღმოჩნდება. ამასთან, კომპანია მიიღებს ალის სახელის გამოყენებასთან არსებული ლიცენზიების წილს.

ეს მოკრივის სახელის გამოყენების პირველი შემთხვევა არ არის. მუჰამედ ალის ყოფილ მეტოქეს ჯორჯ ფორმენს ასევე გაუყიდია საკუთარი სახელი ფირმის ინტერესების სასარგებლოდ.

1999 წელს კომპანია Salton-მა, რომელიც სამზარეულოს საგნებს აწარმოებს, გრილისთვის, რომელიც ხორცის ცხიმიანობას ამცირებს, ფორმენის სახელის გამოყენებისთვის ვეტერან მოკრივეს 146,5 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ფორმულა 1

# შუმახერმა გაუტია - რვაგზის ჩემპიონობა უნდა

*სამეფო რბოლათა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ბევრ მითქმა-მოთქმას ფორმულა 1-დან შესაძლო წასვლის თაობაზე წერტილს უსვამს. გაისადაც აქ იქნებაო, ამბობს გერმანული გამოცემა Welt am Sonntag-ი, რომელიც, თავის მხრივ, "ფერარის" საჯინიბოს წყაროს ეყრდნობა.*

მიხაელ შუმახერი ჯერ კიდევ გასულ სეზონში, რომელიც მისთვის და მისი გუნდისთვის აშკარად წარუმატებელი გამოდგა, აცხადებდა, კარიერას მალე დავასრულებო. ახალი სეზონის დაწყებამდე კი არ გამორიცხავდა "ფერარიში" დარჩენას, რაც თავისთავად კარიერის გაგრძელებას ნიშნავდა.

საგულისხმოა მარტის ასევე გერმანული გამოცემის Bild-ის მსჯელობა იმაზე, რომ უახლოეს მომავალში უფროსი შუმახერი სკუდერიელებთან კიდევ ორი სეზონით გააგრძელებდა თანამშრომლობას. ოღონდ მაშინ Bild-ის ასეთი განცხადება კატეგორიულად უარყო როგორც მიხაელმა, ისე მისმა აგენტმა ვილი ვებერმა - ზაფხულზე ადრე ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვითო.




"ფერარის" პირველ ნომერს კიდევ ორი წლით მოემსახურებიან

გერმანელი მრბოლის თქმით, ბევრი რამ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებოდა "ფერარი" მიმდინარე სეზონში.

და აი, ახლა ისევ ამბობენ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი კვლავაც გააგრძელებს კარიერას "ფერარიში". ოფიციალურად ახალი შეთანხმების თაობაზე შუა ჩემპიონატში გახდება ცნობილი.

ერთ-ერთი გერმანული გამოცემის თანახმად, "ფერარიში" შუმის ბოლომდე არ ამოუწურავს საკუთარი შესაძლებლობები.

გარკვეულწილად ამას ადასტურებს თავად მიხაელიც, რომელმაც მელბურნში ასპარეზობის შემდეგ დააიმედა საკუთარი გულშემატკივრები.

"ჩემპიონატებში მრავალი სასიამოვნო წელიწადი გავატარე, მაგრამ ასაკთან ერთად ახალი მიზნები მოდის. თუმცა აქვე უნდა ვთქვა: სპორტიდან მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონის სახელით უნდა წავიდე. ასე რომ, ჩემს მეტოქეებს ბოლო რბოლამდე დიდი ჯაფა დაადგებათ, - აცხადებს მიხაელი და იქვე მომავალ, "სან მარინოს დიდ პრიზზეც" საუბრობს, - სან მარინოს ეტაპზე რაიმეს წინასწარ განჭვრეტა ძნელია, თუმცა ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მანქანა ძალზე სწრაფი იქნება".

მისივე თქმით, მეოთხე ეტაპზე ჩემპიონატის ლიდერთან, "რენოს" ესპანელ მრბოლ ფერნანდო ალონსოსთან სერიოზულ გაჯიბრებას აპირებს.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# ერთი დღის ქრონიკა



გაზაფხული დადგა! ოპოზიცია გაიფიცა, ხელისუფლების პირველი პირები თბილ ქვეყნებში გადაფრინდნენ, დებატები ტელევიზორში გაცამტვერდა, მათ ნაცვლად ჩიტების ჭიკჭიკი ისმის, ქართული ღვინო სულ ჩვენ დაგვრჩა დასალევად, მიზანი მიღწეულია! რა დავწერო, არ ვიცი! ამიტომ ჩემი შთაბეჭდილებების ჩანაწერს გავაკეთებ.

დილით ადრე ჩიტების ჟღურტულმა გამაღვიძა. მზიანი დარი იდგა. ქუჩაში გავედი "ფიქრთ გასართველად". რა აღარ ვიფიქრე: სამშობლოზე, საკუთარ თავზე, მეგობრებზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, დიდსა და პატარა ქვეყნებზე... მერე დიდი რუსეთი გამახსნედა, რომელმაც ქართულ ღვინოს ბოიკოტი გამოუცხადა. ღმერთო დიდებულო, სად არიან ის "კარგი რუსები", ქართველები და ქართული კულტურა ასე რომ უყვართ. "ბოჟე მოი", რა... რა კარგი იყო, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, საუბრები ლიტერატურაზე, ოჰ, ბელა გამახსენდა, ბელა ახმადულინა, რა ქალი იყო (მგონი, ახლაც ცოცხალია), ლექსების კრებულს "სიზმრები საქართველოზე" დაარქვა, მეტი რა უნდა ქნას რუსულმა ინტელიგენციამ. რა მჭიდროდ და ტკბილად ვიყავით. ჩვენი ბუბა და ნანი ისევ იქ მღერიან. ნანისნაირად რუსულ რომანსებს მაინც არავინ მღერის! ასეთი დუენდე არავის აქვს! ეს არის ცხოვრება?! იმის მაგივრად, გაგრძელებულიყო ეს გენეალოგია, ამას წინათ გავიგე, ნანის გოგოს დაბადების დღე "ზასტი ბუბუში" გადაუხდია. აი, სადამდე მიგვიყვანა რუსულ-ქართულმა კონფლიქტმა! არადა, როგორ ვიყავით! მახსოვს, ერთხელ მოსკოვში, ტაქსიდან უზარმაზარი აფიშა დავინახე: "პოიოტ ტამარა გვერდწითელი". მძღოლს ამაყად ვუთხარი: "ონა მოია ზემლიაჩკა". მახსოვს, არ გადამახდევინა – როგორ გეკადრებათ, ქართველებს ფულს არ ვართმევო. რა დიდებული ურთიერთობა გვქონდა. ახლა რომ არის მატვეი განაპოლსკი, ასე ეძახიან – მატვეი! და ეკითხებიან, რას ფიქრობს ქართველებზე, საქართველოზე. ასე იყო მაშინ მთელი რუსეთი, მარტო მატვეი კი არა.

ოჰ, ღმერთო ჩემო! უცებ მარცხნივ გავიხედე და რას ვხედავ! დიდებულია, ეს საზიზღარი შუშის სახლი ჭავჭავაძის პროსპექტზე დაუნგრევიათ. როგორც იქნა! როგორ ამახინჯებდნენ შევარდნაძის დროს ქალაქს, თანაც დედაქალაქს. ჰოდა, რაზე ვფიქრობდი? რუსებზე, რუსებზე კი არა, კარგ რუსებზე! მაგრამ ჩემს პრეზიდენტს მაინც არავისში არ გავცვლი. ვენაცვალე, იმ დღეს ვუყურებდი, ჩინეთის პრეზიდენტი რავა მისდევდა კუდში. რა ჩქარი სიარული იცის მაინც, მაგ ოხერმა! სიმბოლურია, ზუსტად მისი ნაბიჯების ტემპში ვითარდება ჩემი ქვეყანა და შენდება ახალი სახელმწიფო! მალე ნატოშიც შევალთ, მერე გვიყაროს კაკალი რუსეთმა! მაგრამ ბელას რა ვუყო, ბელას?! მატვეი რას იტყვის?!

ნეტავ, რას ფიქრობენ ქართველი თავად-აზნაურები რუსულ-ქართულ ურთიერთობასთან დაკავშირებით?! რას ფიქრობენ, რა ენაზე უნდა წააკითხონ რუსული ლიტერატურა ბავშვებს?! რაღაც თავადური გამოსავალი ექნებათ ნაპოვნი. ნეტავ, კიდევ ერთი კრება მოიწვიონ ამ საკითხთან დაკავშირებით. იმ დღეს ტელევიზორში ვნახე. თავადური, არისტოკრატული იერი კი აქვთ.

რატომ არ შეიძლება დავრჩეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და ვიყოთ კეთილი მეზობლები. როგორც ჩვენ ვხვდებით ხელგაშლილები რუსულ ინტელიგენციას, ისე დაგვხვდნენ ისინი. ის ოქროს კაციც მალე დაგვიდგამს 30-მეტრიან მონუმენტს, თავისუფლებისა და გამარჯვების სიმბოლოს, თბილისის ცენტრში. რა კარგი მერი გვყავს მაინც, რა კარგად მოიფიქრა, ვენაცვალე. თბილისელებს მარტო იმიტომ დაამახსოვრდებათ, რომ ასეთი საჩუქარი მიუძღვნა. ლუჟკოვის მეგობარია და მონუმენტი მარტო გამარჯვების სიმბოლო კი არა, ჩვენს დედაქალაქებს, მოსკოვსა და თბილისს შორის ახალი ზავის დადება იქნება. მაინც რა სულელები არიან ეს ჟურნალისტები, "რატომ ოქროსფერი წმინდა გიორგიო", ეკითხებიან. რად უნდა მაგას კითხვა! რასაკვირველია, იმიტომ, რომ არსებობს გამოთქმა "ჩემო ოქრო". თანაც, გამოცხადება ჰქონია ზურაბ წერეთელს, მგონი ამას წინათ ნოე ჟორდანია გამოეცხადა, "იქ დაუდგი ქართველ ხალხს ოქროსფერი წმინდა გიორგიო". აი, ნამდვილი შემოქმედი, ზურაბ კანსტანტინოვიჩი, მხოლოდ გამოცხადებულთა მითითებებს ასრულებს! ვიღაცები კი პრუტუნებენ - არ ვარგა, არ არის კარგი მოქანდაკე, რაღა დროს ქვის ამხელა მონუმენტია, 21-ე საუკუნეაო. ვითომ ჩვენმა ოქროს კაცმა არ იცის, რომელი საუკუნეა?! თანაც ეს მაღალი, ცაში ატყორცნილი მონუმენტი ქვეყანაში ავტორიტარიზმის დამკვიდრების სიმბოლოაო. რა იციან მაგათ, რას ნიშნავს ავტორიტარიზმი, ანდა ჰგონიათ, ჩვენმა მერმა ან პრეზიდნეტმა არ იციან?! ღვთის მადლით, კაი ხალხიც არსებობს, ზურაბ კანსტანტინოვიჩის შემოქმედების დამცველები. იმასაც არ ფიქრობენ, რომ ეს რუსულ-ქართული ურთიერთობის დასათბობად ერთი დიდი და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ლუჟკოვსაც გაეხარდება, კადიროვსაც ზეციურ რუსეთში, ასლან აბაშიძეც დიდი მეგობარი და დამფასებელი ყოფილა ამ ჩვენი "ზემლიაკი" ოქროს კაცისა, ისიც გაიხარებს და ინანებს - თავის დროზე როგორ არ დავდგი ეს ოქროსფერი წმინდა გიორგი ბათუმის ცენტრშიო. არ მესმის, მეტი რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ?! მაინც არ იღებენ ქართულ ღვინოს და ბლოკადაში მოგვაქციეს! თავდაცვის მინისტრი თუ მოაგვარებს ამ საქმეს, თორემ მგონი, ბელა ახმადულინა დაბერდა და მატვეიმაც ზურგი შეგვაქცია.

რაც ყველაზე მთავარია, "ცუდი რუსების" მთავარი ინფორმატორი დავაკავეთ, საინფორმაციო წყარო ჩავუკეტეთ. დანარჩენი ჯაშუშებიც მალე ჩაბარდებიან, პირველ მაისამდე ჯერ კიდევ დროა. ჩვენი ვალია დავუჯეროთ და ვირწმუნოთ ხელისუფლების, ჩვენი პრეზიდენტის, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შევაფასოთ მოვლენები და იბერიაც გაბრწყინდება.

**P.S.** ნეტავ, ასეთია "პოლურუსკოიაზიჩნი", "კარგი ქართველების", "კარგი ინტელიგენტების", "ნაღდი თბილისელების", "კაი ოჯახიშვილების" ფიქრები ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში სეირნობისას?

# კალიზის ჩაუქრობელი ვარსკვლავი

სოფიო პეტრიაშვილი



ცნობილი ფრანგი მომღერალი კალიზი საქართველოს პირველად ესტუმრა. ჯერ კიდევ სამი წლის წინ საქართველოში საფრანგეთის საელჩოს კულტურული განყოფილებისა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილმა პროექტმა, რომელიც მისი და ქართველი მსმენელის შეხვედრას ისახავდა მიზნად, ხორცი შეისხა. რამდენიმე დღის განმავლობაში ფრანგი მომღერალი ბათუმელი და ქუთაისელი აუდიტორიის წინაშე გამოდიოდა, დამაგვირგვინებელი კონცერტი კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

**- კალიზ, როგორც ცნობილია, კავკასიაში ეს თქვენი მეორე საგასტროლო მოგზაურობაა...**

- დიახ. 2003 წელს აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოში გახლდით მიწვეული საგასტროლოდ. იქ ხუთი დღე გავატარე, რამაც ამ ულამაზეს ქალაქში დაბრუნების სურვილი აღმიძრა. მახსოვს, მაშინდელი პროექტი საქართველოში ჩამოსვლასაც ითვალისწინებდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვეღარ მოხერხდა. მიხარია, რომ რამდენიმე წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევძელი თქვენი ქვეყნის მონახულება.

**- საქართველოში სამი ფრანგი მუსიკოსის თანხლებით ჩამობრძანდით. ისინი თქვენი ჯგუფის წევრები არიან?**

- დიახ, მე წარმოვადგენ ფრანგული შანსონის კონცერტს სამი ფრანგი მუსიკოსის თანხლებით. კრისტოფ ჟოდე (კონტრაბასი) და პასკალ კენეჰენი (გიტარა) დახვეწილი ოსტატები და არაჩვეულებრივი პროფესიონალები არიან. თითქმის ათი წელია, რაც ფართო აუდიტორიის წინაშე მათთან ერთად გამოვდივარ. თავს ბედნიერად ვთვლი, ამ ორ ვირტუოზთან მუშაობის შესაძლებლობა რომ მომეცა. პირველად ჩემი საკონცერტო მოღვაწეობის განმავლობაში ჩვენს ტრიოში მოვიწვიე 15 წლის მევიოლინე ვიოლეტ ლარიე, რომელიც ამავე დროს ჩემი ქალიშვილიც გახლავთ. სწორედ ეს ადამიანები არიან ჩემი მუსიკალური კოლექტივის ერთგული წევრები, თუმცა, როდესაც განსხვავებული ხასიათის ბერძნულ კონცერტს ვმართავ, იქ სხვა მუსიკოსები არიან დაკავებულნი და ინსტრუმენტებიც, შესაბამისად, განსხვავებულია. მაგალითად: მანდოლინა, განსაკუთრებული სტილის გიტარა, მანდოლონსელი (დიდი მანდოლინა), რომელიც ღრმა და უჩვეულო ბგერებით გამოირჩევა. არსებობს წარმოდგენის კიდევ ერთი სახე, როდესაც ჩემს სიმღერას თან ახლავს დეკლამატორი მსახიობი, რომელიც ფრანსუა ვიიონისა და სხვა დიდი ფრანგი პოეტების ქმნილებებს კითხულობს. შესაძლოა, ამ დროს მოვისმინოთ თურქული პოეზია, ფედერიკო გარსია ლორკას შემოქმედება ან რომელიმე უცნობი ავტორის უძველესი ბალადა... დამეთანხმებით, მსოფლიო ლიტერატურა შესაძლო ვარიაციების დიდ არჩევანს გვთავაზობს.

**- როგორც მომღერალი, ბევრს მოგზაურობთ. ცხოვრობდით საბერძნეთში. ალბათ ამ ქვეყნის კულტურამ გარკვეულწილად თქვენს შემოქმედებაზეც მოახდინა გავლენა.**

- დაახლოებით ერთი წელი ვცხოვრობდი კუნძულ კრეტაზე. შედეგად შეიქმნა ახალი წარმოდგენა "ნაღვლიანი სამშობლოს პატარა პოემები" მიკის თეოდორაკისის მუსიკაზე და მეოცე საუკუნის დიდი ბერძენი პოეტის იანის რიცოსის ლექსების მიხედვით, რომლებსაც ბერძნულ ენაზე ვასრულებ. საერთოდ, ამ ქვეყანასთან ღრმა გრძნობები მაკავშირებს და ხშირადაც ჩავდივარ. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ ჩემი წინაპრები, საკმაოდ რეალური ლეგენდის თანახმად, მრავალი წლის წინ საბერძნეთიდან წამოვიდნენ და იტალიაში, ქალაქ ნეაპოლთან მდებარე კუნძულ იშქიაზე დასახლდნენ. იქ დღემდე უამრავი კალიზი ცხოვრობს. kalos ბერძნულად კარგს ნიშნავს. სწორედ ეს არის ჩემი გვარის ფუძე, რომელიც ჩემს სასცენო ფსევდონიმად იქცა. ცხოვრებაში კი უბრალოდ ჟენევიევ კალიზი მქვია.

**- რეპერტუარის შერჩევისას რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ?**

- როგორც შემსრულებელი, ძალიან უბრალო ვარ - მხოლოდ საუკეთესოს ვირჩევ. ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმულ ტექსტსა და მუსიკას. მთავარია, რომ მათ შეგძრან თავისი სინატიფით, მკაცრი სინაზით, სიძლიერით, ტრაგიზმით... მაგალითად, ჩემს რეპერტუარში არის ერთი სიმღერა "მარცხენა ხელით" (ავტორი დანიელ მესია სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა), რომელმაც პირველი მოსმენისთანავე ენით აუწერელი ემოცია გამოიწვია ჩემში. ყოველთვის, როდესაც მას ვასრულებ, ძალიან განვიცდი, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოს თანაზიარი ვხდები... ჩემს პროგრამაში შესული ბარბარას, ჟაკ ბრელის, ჟანა მოროს, შარლ ტრენეს, დანიელ მესიას, მორის ფანონის და სხვა ცნობილი ავტორების ულამაზესი სიმღერებიდან მილიონობით საათის სიჩუმე და მარტოობა გამოსჭვივის. ისინი ცაზე მოკიაფე მიუწვდომელ ვარსკვლავებს მაგონებენ, რომლებიც ჩაუქრობელი ციმციმით ადამიანებს ცხოვრების გზას უნათებენ.

**- თქვენი აზრით, უნაკლო საშემსრულებლო ტექნიკისა და ხმის იოგების გარდა, რას უნდა ფლობდეს ჭეშმარიტი მომღერალი?**

- პირველ რიგში, საკუთარ ინდივიდუალურ ანაბეჭდს. მნიშვნელოვანია პიროვნული ხიბლი, ნებისყოფა, შინაგანი ინტუიცია, იმპროვიზაციის უნარი – თუმცა, მისი ქაოსთან გაიგივება არამც და არამც არ შეიძლება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გემოვნებას და ზომიერების გრძნობას. პირადად ჩემთვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია სულიერი განწყობა, მღელვარება, რომელიც ყოველი გამოსვლის წინ მიპყრობს და რომელსაც აღვიქვამ არა როგორც დამაბნეველ ემოციას, არამედ გრძნობას, რომელიც ამა თუ იმ სიმღერის უკეთ შესრულებაში მეხმარება. როგორც ჟანა მორო ამბობს: მომღერალი მხოლოდ სახმო სიმებით კი არა, პირველ რიგში სულით მეტყველებს... პირადად მე, როგორც ფრანგული ბაროკოს ეპოქის მუსიკის მომღერალმა, ისე დავიწყე ჩემი კარიერა, რაც კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ მხოლოდ კლასიკურ ბაზაზე შეიძლება ჩამოყალიბდე ნამდვილ პროფესიონალად... საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ყოველი ადამიანი, მით უმეტეს, ხელოვანი, ტრადიციის, მუსიკისა და რეალობის ნაწილი უნდა იყოს. და თუ შენ ჭეშმარიტად შეესაბამები დროს, ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად კარგი მომღერალი ხარ.

**- როგორც მომღერალს, ქართულ ფოლკლორზე თუ გსმენიათ რამე?**

- სანამ ჩამოვიდოდი, მეგობრებისგან შევიტყვე, რომ საქართველო საოცარი ხმების ქვეყანაა. გამოგიტყდებით, მანამდე ქართული ხალხური სიმღერა და გალობა არასოდეს მომესმინა. აქ ეს ღვთიური მადლით სავსე საოცრება აღმოვაჩინე: იდუმალი, მგრძნობიარე, ცოცხალი... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ ულამაზეს მელოდიებს ყველა ქართველი დაბადებიდანვე გულით ატარებს. საერთოდ, თქვენთან უამრავი არაჩვეულებრივი რამ ვნახე, შევიგრძენი და ამით ერთბაშად უდიდესი სულიერი საგანძურის მფლობელი გავხდი. ნაწილობრივ უკვე ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის ისტორიაც შევისწავლე, ამ ქალაქების კულტურული ცხოვრების ზოგიერთ საინტერესო დეტალსაც გავეცანი. თუმცა, ის ფაქტი, რომ 1965 წლის ოქტომბერში საქართველოს დედაქალაქს სახელგანთქმული ბელგიელი მომღერალი, პოეტი და კომპოზიტორი ჟაკ ბრელი თავისი კონცერტებით სტუმრობდა, ჩემთვის მანამდეც ცნობილი იყო. ბოლოს, რაკი შესაძლებლობა მომეცა, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოში საფრანგეთის ელჩს ბატონ ფილიპ ლეფორს, საფრანგეთის საელჩოს თითოეულ თანამშრომელს და განსაკუთრებით კულტურის განყოფილებას ბატონი ფრანსუა ლორანის ხელმძღვანელობით. ამ ადამიანებმა რეალობად აქციეს ჩემი დიდი სურვილი საქართველოში ჩამოვსულიყავი. რაღა თქმა უნდა, ასევე უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავ ქართველი ხალხის, ჩემი ბათუმელი, ქუთაისელი და თბილისელი მსმენელის მიმართ, რომელთან ერთად მე კიდევ ერთხელ განვიცადე და ვიდღესასწაულე ჩემი თითოეული სიმღერა.






მოკლედ

### დოკუმენტური ფილმების პროექტების კონკურსი

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" საუკეთესო დოკუმენტური ფილმების პროექტების გამოსავლენად კონკურსს აცხადებს. კონკურსის შედეგად გამოვლინდება ორი საუკეთესო პუბლიცისტური, დოკუმენტური ფილმის პროექტი, რომელთაც ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა დააფინანსებს. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ სტუდიებს.

"დოკუმენტური ფილმის პროექტის შინაარსობრივი თემატიკა აქტუალური და თანამედროვე ქართული სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს. ამავე დროს ფილმების თემატიკა უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვას", - განმარტავენ ფონდში.

ერთი ფილმის მომზადებისთვის 8 ათასი აშშ დოლარი გამოიყოფა. ფონდი ასევე იზრუნებს, რომ ფილმები სატელევიზიო ეთერით გადაიცეს.

კონკურსში განაცხადები მიიღება 4 მაისამდე. ***მედიანიუსი***

### ფოტოგამოფენა უკრაინაში მცხოვრები ქართველების შესახებ

უკრაინაში მცხოვრები ქართველების მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნება დღეს თბილისის სასულიერო აკადემიაში. როგორც უკრაინაში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია "მზიურის" ხელმძღვანელმა მადონა მებონიამ თქვა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 140 ფოტოსურათი, რომლებზეც ქართველების უცხოეთში ცხოვრება და საქმიანობაა გადმოცემული. გამოფენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ეწყობა.

ასოციაცია "მზიური" 1997 წელს ქალაქ სუმში უკრაინაში მცხოვრებ ქართველთა გაერთიანების მიზნით დაარსდა. ***პრაიმ-ნიუსი***

### "დისნეი" ტელეშოუს ინტერნეტში გაუშვებს

კომპანია "უოლტ დისნეიმ" განაცხადა, რომ თავისი რამდენიმე პოპულარული ტელეშოუს ინტერნეტში უფასოდ გაშვებას გეგმავს. ამან კომპანიის აქციების ფასი მაშინვე გაზარდა. ტელექსელი, რომელიც ამ კომპანიას ეკუთვნის, ოთხი პოპულარული სერიალის, მათ შორის "სასოწარკვეთილი დიასახლისების" ქსელში გაშვებას აპირებს, თუმცა მომხმარებელი ტელესერიალს რეკლამების გარეშე ვერ იხილავს. სპეციალისტთა განცხადებით, ასეთი დამოკიდებულებით ტელეკომპანია მაყურებლის აუდიტორიასაც გაზრდის და რეკლამებიდან შემოსავალსაც.

### დედაენის დღისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია

დღეს საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის საექსპოზიციო დარბაზში დედაენის დღისადმი მიძღვნილი სპეციალური ექსპოზიცია გამოიფინება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ერისათვის ძვირფასი ყველა მოღვაწის ხელნაწერი უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით. "ხელნაწერთა ინსტიტუტი რეგულარულად აწყობს ამა თუ იმ თარიღისადმი მიძღვნილ თემატურ გამოფენებს, რომელზეც დამთვალიერებელს, კონკრეტული თემის გარშემო, ინსტიტუტში დაცულ ყველა ხელნაწერს წარვუდგენთ. 26 მაისს გაიამართება ექსპოზიცია, სადაც მეფეთა, დედოფალთა, სარდალთა, სახელმწიფო მოღვაწეთა ხელნაწერები, სახელმწიფო მნიშვნელობისა და სამართლის დოკუმენტები იქნება წარმოდგენილი", – განაცხადა ინსტიტუტის დირექტორმა ზაზა ალექსიძემ.

### სამხრეთელები ნიუ იორკს იპყრობენ

ლათინური "გრემი" მართალია, ყოველთვის მაიამისთან ან ლოს ანჯელესთან ასოცირდებოდა, მაგრამ მომავალი "გრემი" პირველად ისტორიაში ნიუ იორკში გაიმართება.

ქალაქის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა უკვე სიამაყით განაცხადა, რომ "ნიუ იორკს ყველაზე მრავალფეროვანი ესპანური მოსახლეობა ჰყავს და რომ ეს ქალაქის სიამაყის საგანია". ამ მიზეზით 2 ნოემბერს მედისონ სქვეარ გარდენში ლათინური მუსიკის მოყვარულები და შემსრულებლები შეიკრიბებიან.

შარშანდელი შოუ ტრადიციულად ლოს ანჯელესში გაიმართა და პირველად ისტორიაში მთლიანად ესპანურ ენაზე Univision-ის ეთერით გადაიცა. ეს გადაწყვეტილება შოუს ორგანიზატორებმა მაყურებლების მიზიდვის მიზნით მიიღეს. შედეგმაც არ დააყოვნა, შარშანდელ ლათინურ "გრემის" 9 მილიონმა ამერიკელმა მაყურებელმა უყურა, ანუ 2 მილიონით მეტმა წინა წლებთან შედარებით, როცა შოუს CBS-ი გადასცემდა ხოლმე ინგლისური თარგმანით.

ლათინური "გრემის" ცერემონიალი პირველად 2000 წელს გაიმართა და მაიამისა და ლოს ანჯელესში იმართებოდა ხოლმე. თუმცა, 2001 წელს საღამო საერთოდ ჩაიშალა – 11 სექტემბერს დანიშნული "გრემი" არ ჩატარდა – სწორედ იმ დილას მანჰეტენზე "ტყუპები" აფეთქდა...

წელს შოუს ნიუ იორკში გამართვით, ორგანიზატორები ნიუ იორკის მზარდი ესპანური მოსახლეობის ყურადღების მიპყრობას შეეცდებიან.

# განათებული სხეულები ბნელ სარდაფში

## დაკონსერვებული მოძრაობის ალტერნატივის ძიებაში

სოფო კილასონია



ხელები, ფეხები, სახე, მუცელი, - ამ ყველაფერს დღეს და ხვალ თეატრალური სარდაფის მაყურებელი სცენაზე იხილავს, სცენაზე წარმოდგენილ ეკრანებზე კი – ცალ-ცალკე. ავსტრიულ თანამედროვე ბალეტს თბილისში, ვაკის თეატრალურ სარდაფში, სულ სამი ადამიანი წარმოადგენს. ქორეოგრაფმა ანა სრეფლიმ განმარტა, რომ ეს არის სანახაობა, რომელიც ბალეტსა და პანტომიმას აერთიანებს. ავსტრიული მოძრაობის თეატრი ქორეოგრაფიული სანახაობის სახით ორ ეტიუდს "FAKTS", "BITS AND PIECES" წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ბალეტის ქორეოგრაფებს, როგორც წესი, ბევრი საუბარი არ უყვართ და ამ თვალსაზრისით არც ეს მცირე დასია გამონაკლისი, სიტყვა მაინც ბევრია, ოღონდ ტექსტი თავად ცეკვასა და მუსიკაშია განთავსებული.

"ვამოძრავებ თავს, მერე ფეხებს, ისევ ხელებს და ა.შ." - ისმის ტექსტი და მოცეკვავე ქალიც ამ დანიშნულებას იმეორებს. მთლიანობაში დადგმები უბრალო ასოციაციებია, დაკვირვება სხეულზე, საკუთარ სუნთქვაზე, მიმიკაზე და ყველაფერზე, რასაც თითქოს მნიშვნელობა არ უნდა ენიჭებოდეს.

ავსტრიული დასისთვის თბილისში ჩამოსვლა პირველი გასტროლია, თეატრალური სარდაფისთვის კი – პირველი წარმოდგენა, რომელსაც უცხოური ქორეოგრაფიული დასი მის სცენაზე მართავს. პროექტის განხორციელება ვენის კულტურის დეპარტამენტისა და ავსტრია-საქართველოს საელჩოს ინიციატივა გახლავთ. თუ სარდაფში გამართული "ჩვენებით" ვიმსჯელებთ, წარმოდგენის შემდეგ რამდენიმე კადრი რჩება გონებაში, მომენტები, როცა "შიშველ" სცენაზე მკრთალი შუქით განათებული სილუეტები იყინებიან.

არ ვიცი, რამდენი ადამიანი მივა ამ დღეებში სარდაფში, მაგრამ თუ უკვე არსებულ პრეცედენტებს გავითვალისწინებთ, თანამედროვე ბალეტის ნახვის სურვილი ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად აქვს და ვინც მივა, ყველა დიდი ინტერესით დააკვირდება სცენაზე განვითარებულ მოქმედებას. სხვა საკითხია, თუ რამდენად საინტერესო იქნება წარმოდგენა, რომელიც პირველი ნამუშევარი უნდა იყოს დამწყები ქორეოგრაფისთვის, მაგრამ ის, რომ ამ სფეროში რაღაც ვითარდება და თანაც ძალიან საინტერესოდ და აქტიურად, აშკარაა. ისიც ფაქტია, რომ ჩვენ ამ პროცესებიდან ძალიან შორს ვართ დარჩენილნი, იმდენად შორს, რომ თანამედროვე ქორეოგრაფიის შესახებ წარმოდგენაც კი არა გვაქვს. არ ვიცით ან არ გვესმის. ქართული ბალეტი ჯერ ისევ რუსულ ბალეტთან ასოცირდება. ამ ბოლო დროს აქტიურად ეწევიან მის პროპაგანდას, რაც, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ალტერნატივისა და თანამედროვე ევროპული ქორეოგრაფიის ნიშნების ჩვენთან გაჩენის პერსპექტივას მთლიანად სპობს. ბალეტს ჩვენ ჯერ მხოლოდ კონსერვატორულ, რომანტიკულ, დიდი-დიდი, ნეოკლასიკურ სტილში ვხედავთ, ხოლო ქორეოგრაფიის უსაზღვრო შესაძლებლობებსა და მნიშვნელობას თანამედროვე კულტურისთვის ვერ აღვიქვამთ.

სულაც არ ვფიქრობ, რომ ავსტრიული ბალეტის ის პატარა წარმონაქმნი, რომელიც დღეიდან კიდევ ორი დღე ვაკის თეატრალურ სარდაფში გათამაშდება, ძალიან ბევრს ამბობს იმ სფეროს შესახებ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით, მაგრამ თუ ცეკვით ვერა, საუბრით ხომ მაინც უნდა ვისაუბროთ?!

# ეკა და კომპანიები

ფმ უცნობი 92.0

გადაცემა ეთერშია ყოველდღე 20.00 საათზე, შაბათ-კვირის გარდა

**ეკა კვესიტაძე:** დღეს "დიალოგების" თემაა გაზის, ნავთობის საერთაშორისო კომპანიებისა და "საქნავთობის" გაერთიანება. გადაცემის სტუმრები არიან დამოუკიდებელი ექსპერტი გია ხუხაშვილი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და "რესპუბლიკელთა" პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი. რატომ ხედავთ ამ სამი კომპანიის გაერთიანებაში საფრთხეს?

**გია ხუხაშვილი:** საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც მთელი სექტორი ერთიანდება ერთი ქუდის ქვეშ, ამას თან უნდა ახლდეს სერიოზული სამოტივაციო საბუთი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. ძირითადი საფრთხე ის არის, რომ სამივე ეს კომპანია პრობლემურია. ისინი დაფუძნდნენ ძველი ხელისუფლების დროს და იმართებოდნენ მის მიერვე. დაგროვილია უამრავი პრობლემა, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოვლენილა. გარდა ამისა, სამივე კომპანიას აქვს კონტრაქტები, მათ შორის საერთაშორისოც, რომლებიც პარლამენტში რატიფიცირებულია. რომელიმე კომპანიას რომ შეექმნას პრობლემა, რისკის ქვეშ დგება ფაქტობრივად მთელი ნავთობისა და გაზის სექტორი.

**ეკა კვესიტაძე:** რაში ხედავთ რისკს?

**გია ხუხაშვილი:** მთავარი რისკი ის არის, რომ თუ პრობლემა შეიქმნება, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სამივე კომპანია აღმოჩნდეს რუსეთის მფლობელობაში, რადგან რუსეთის იარაღი სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

**ეკა კვესიტაძე:** არღვევენ თუ არა კონსტიტუციას მთავრობის წევრები?

**ლევან ბეჟაშვილი:** ჩემი აზრით, არავითარ დარღვევასთან არ გვაქვს საქმე. კანონის საფუძველზე მთავრობის წარმომადგენლებს ლეგიტიმური უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო საქმიანობაში.

**ეკა კვესიტაძე:** თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?

**დავით უსუფაშვილი:** როცა სახელმწიფო რომელიმე საწარმოს აქციათა პაკეტის თუნდაც ერთადერთი მფლობელია, ეს მაინც არის საწარმო, რომელიც მუშაობს მოგების მიღებაზე და ექვემდებარება იმ კანონმდებლობას, რომელიც დადგენილია სამეწარმეო საქმიანობისთვის თავისი საგადასახადო და ბევრი სხვა თვალსაზრისით. ის, რომ სახელმწიფოს აქვს წილი რომელიმე საწარმოში, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, კანონით დაშვებული და ამაზე არავითარი პრეტენზია არ გვაქვს. მაგრამ როდესაც სახელმწიფო თავის ქონებას გამოყოფს და გადასცემს საწარმოს, გნებავთ, საწესდებო კაპიტალის ფორმით, მაშინ ეს ქონება უკვე ამ საწარმოს ეკუთვნის. აქ სხვა პრობლემაა. სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, აქვს უფლება თავისი წარმომადგენელი დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოში. აქ საუბარია იმაზე, ვინ შეიძლება იყოს ეს წარმომადგენელი.

**ეკა კვესიტაძე:** არის თუ არა ეს კანონში განმარტებული?

**დავით უსუფაშვილი:** რა თქმა უნდა, არის და ჩამოთვლილია ის თანამდებობის პირებიც, ვის აქვს უფლება და ვის არა.

**ეკა კვესიტაძე:** ვის არა აქვს უფლება?

**დავით უსუფაშვილი:** კონსტიტუცია, რომელიც უზენაესი კანონია და რომლის ჩანაწერსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ნებისმიერ სხვა კანონში არსებულ ჩანაწერთან შედარებით, გვეუბნება, რომ თანამდებობის პირები იმავდროულად არ შეიძლება იკავებდნენ სხვა თანამდებობებს ან ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას.

**ეკა კვესიტაძე:** რას აპირებთ ამ შემთხვევაში, გაასაჩივრებთ?

**დავით უსუფაშვილი:** რა თქმა უნდა, ვერ გავასაჩივრებ, რადგან ეს საიმპიჩმენტო საკითხია, ის შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პრეზიდენტმა ან პარლამენტმა.

**ეკა კვესიტაძე:** თქვენი აზრით, რატომ დაინიშნენ ეს ადამიანები?

**დავით უსუფაშვილი:** მათივე განმარტებით, უბრალოდ, ზურაბ ნოღაიდელი უკეთესად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რაშიც მე, ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება.

TV5MONDE

## 14 აპრილი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 16.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ევროპის ფაუნა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.35** გადაცემა: გურმანი. **12.15** ექ.ჟან-ივ ნევე - მეტრი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ჩინელი ქალი. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-ლუკ გოდარი. 1967. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.35** მკვლელობის ღამე. ტელესერიალი. **23.00** ცრუ. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დომინიკ დე ლა როშფუკო. 2003. **01.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.

ცენტრ პოინტ ჯგუფი

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**
**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**
**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

# ზურაბ წერეთელს მსოფლიო ხელოვნების აკადემიის შექმნა სურს

რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი მსოფლიო ხელოვნების აკადემიის ინიციატივით გამოდის.

წერეთლის განცხადებით, იგი დეტალურ პროექტს დსთ-ს ქვეყნების შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის პირველ ფორუმს გააცნობს, რომლიც 14-15 აპრილს მოსკოვში გაიმართება.

პროექტის თანახმად, მსოფლიო ხელოვნების აკადემია ყველაზე მსხვილმასშტაბიანი არასამათავრობო, არაკომერციული სტრუქტურა იქნება, რომელიც რეალურად შეძლებს დსთ-ს ქვეყნებს შორის კულტურათა დიალოგის გაღრმავებას. ამისათვის წერეთელი არა მარტო დსთ-ს შემოქმედებითი ელიტის მოწვევას, არამედ დასავლეთის ცნობილი ხელოვანების მოზიდვასაც გეგმავს.

მსოფლიო აკადემიის შემადგენლობაში მხატვრების გარდა ხელოვნების სხვა დარგების წამომადგენლები – მუსიკოსები, რეჟისორები, მსახიობები და ჟურნალისტებიც უნდა გაერთიანდნენ, თვლის წერეთელი. მისი განცხადებით, აკადემია იუნესკოს ეგიდით იმოქმედებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კონსტანტინე გამსახურდიას წიგნის პრეზენტაცია

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დღეს პარტია "თავისუფლების" ლიდერ კონსტანტინე გამსახურდიას წიგნის პრეზენტაცია გაიმართება.

წიგნი "წერილები უცხოეთიდან" საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ასახავს.

პრეზენტაციას ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ისტორიკოსები და პოლიტოლოგები დაესწრებიან. "წერილები უცხოეთიდან" კონსტანტინე გამსახურდიას მეშვიდე წიგნია. ის საქართველოში დაიბეჭდა და მისი ტირაჟი 2 000-ია.

*ინტერპრესნიუსი*

# "ბრიტფესტი" ყოველ წელს

ბრიტანული კინოს კვირეული "ბრიტფესტი" ყოველწლიურ მოვლენად გადაიქცევა საქართველოში, სადაც მხატვრული ფილმების გარდა, ნაჩვენები იქნება ბრიტანეთში შექმნილი დოკუმენტური, ანიმაციური, მუსიკალური ნაწარმოებები, ვიდეო და "დი-ვი-დი" ფილმები, - ამის შესახებ განაცხადეს ორგანიზატორებმა.

მათივე განცხადებით, ყოველი ჩვენება დასრულდება ღია დისკუსიით, შეხვედრებით, ცნობილი კინორეჟისორების, მსახიობების, კინოკრიტიკოსებისა და კინომცოდნეების მსჯელობით ბრიტანული კინოს თანამედროვე მიმდინარეობებსა და ტენდენციებზე.

როგორც რობერტ სტურუა მაყურებელს დაჰპირდა, კვირეულზე წარმოდგენილი იქნება ფილმები, რომლებიც დღევანდელი მსოფლიო კინოხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად არის აღიარებული. ლენა მილოშევიჩმა კი ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო-ბრიტანეთის კინემატოგრაფსა და თეატრს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს.

ორგანიზატორთა განცხადებით, პირველად ლიცენზიით წარმოდგენილი იქნება თანამედროვე კლასიკოსად მიჩნეული ხუთი კინორეჟისორის ნამუშევარი: მაიქლ უინთერბოთომის "24-საათიანი მოგრიალე ხალხი", ქენ ლოუჩის "ეს მშვენიერი თექვსმეტი წელი", მაქლ ლის "ვერა დრეიქი", სალი ფოთერის "დიახ" და პიტერ გრინუეის "რვანახევარი ქალი".

"ბრიტფესტი" გაერთიანებული სამეფოს ნაციონალური თეატრის RNT Connections პროგრამის ხელმძღვანელ სიუზი გრეჰემ-ადრიანის და მსოფლიოში ცნობილი დრამატურგის მარკ რევენჰილის სტუმრობით გაგრძელდება.

კვირეულს დაასრულებს Theatre de Complicit-ის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერის პიტერ ბრუკის პროტეჟეს საიმონ მაკბერნის ორკვირიანი შემოქმედებითი სემინარი რუსთაველის სახელობის თეატრში.

ფესტივალი "ბრიტფესტი" საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, ქართულ-ბრიტანული კულტურის პლატფორმის, ბრიტანეთის საბჭოსა და ბანკ "რესპუბლიკას" ფინანსური მხარდაჭერით ტარდება.

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





24 საათი
BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

**კი** **არა**

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

**კი** **არა**

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

**კი** **არა**

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

**კი** **არა**

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

**საქართველოს პარლამენტის აპარატი 20 ერთეული საოფისე მაცივრის (მოცულობა - არაუმეტეს 120 ლიტრი) შესყიდვაზე აცხადებს კონკურს**

მოსაწოდებელ საქონელს უნდა გააჩნდეს მწარმოებლის ან მიმწოდებლის გარანტია, მოწოდება უნდა მოხდეს ოპერატიულად შემსყიდველის მისამართზე, სასურველია უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. წინადადება,
3. ინფორმაცია გარანტიისა და მომსახურების შესახებ.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 20 აპრილის 1500-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09.



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



"Nokia-მ ახალი ელიტარული მობილური ტელეფონი გამოუშვა

აზიელები ევროპულ ავტობაზარს "უტევენ"



B3

დაპირისპირება აქციზის გამო

საქართველოს მთელი ტურისტულ-ეკონომიკური იმედები აჭარას უკავშირდება

B4

## დაარღვიეს თუ არა კანონი პრემიერმა, ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებმა?



ზურაბ ნოღაიდელი



ნიკა გილაური



ირაკლი ჩოგოვაძე

B2

## რუსეთი "სომხური ღვინის ამარა"

ანა შარვაშიძე

*მოსკოვს ქართული ღვინის არ სჯერა. ეს გუშინ რუსეთის დედაქალაქში დაწყებულ მოლაპარაკებებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა - სასტუმრო "შერატონში", შემდეგ კი ერთ-ერთ რუსულ რესტორანში მისულ ქართველ მეღვინეებს შენობაში ღვინის შეტანის და დეგუსტაციის უფლება არ დართეს. ამასობაში კი სომხეთი დროს არ კარგავს და რუსეთს ბაზარზე საქართველოს წილის დაკავებას სთავაზობს.*

ღვინის ქართველი მწარმოებლები რუს პარტნიორებთან მოლაპარაკებებს დღესაც გააგრძელებენ. როგორც "24 საათთან" საუბარში მოსკოვში მოლაპარაკების მიზნით ჩასულმა "თბილღვინოს" დირექტორმა ზურაბ მარგველაშვილმა განაცხადა, შეხვედრებზე რუსმა ღვინის იმპორტიორებმა სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის აკრძალვით თავად რუსმა მეწარმეებმაც სერიოზულად იზარალეს.

ოფიციალური მოლაპარაკებების პარალელურად, ქართველი და რუსი მეღვინეები საერთო ინტერესების განხორციელების მიზნით ინდივიდუალურ კონსულტაციებს გააგრძელებენ. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეები, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, დეპუტატები, ღვინის მწარმოებლები და ექსპერტები შედიან.

სომხურ ღვინოს რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ჩანაცვლების სრული პოტენციალი გააჩნია. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმს" სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარემ ავაკ არუთუნიანმა განუცხადა. მისი განმარტებით, რუსეთის მიერ ქართულ და მოლდავურ ღვინოებზე ემბარგოს დაწესება სომხეთისთვის ხელსაყრელია და მას სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში ღვინის რუსულ ბაზარზე ქართული ნიშის დაკავება შეუძლია.

**"სომხეთის მთავრობამ, შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფის გზით, სომხეთის ღვინის ექსპორტიორების სტიმულირება უნდა დაიწყოს.**

B2

## ვისი მეგობარია ინსპექტორი?




საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის განხორციელება დაიწყო.

- მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყანაში მოქმედი კომპანიების 97 პროცენტს შეადგენს. თუმცა მათი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ძალზე დაბალია - საქართველოში ის მხოლოდ 10 პროცენტია, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 60 პროცენტს აღწევს.
- თუ ინსპექტორი მეწარმესთან დამეგობრებას ვერ ახერხებს, მაშინ კარგი იქნება, თუ იმდენს მაინც მოახერხებს, რომ ხალხის მტერი არ გახდეს. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ ინსპექტორის მიმართ შიშის ფაქტორი უნდა მოიხსნას, და კომპანიების დალუქვა და დახურვა დასრულდეს.

B2

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3341 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0059 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4958 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8210 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8468 |
| 1 ბულგალური ლეი | BGL | 1,1312 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,2965 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3174 |
| 1 ევრო | EUR | 2,2122 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4142 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3502 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3569 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1540 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1900 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1994 |
| 10ი სლანდიური კრონი | ISK | 0,2449 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,3970 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,5891 |
| 1 ლატვური ლატი | LVL | 3,1397 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,3946 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3997 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2824 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5641 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6118 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1271 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4034 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5666 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4985 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6024 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8364 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2357 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1416 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2375 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4053 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2275 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,234 |



## ეროვნულ ბანკს ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე შეძენის უფლება აღარ ექნება

საქართველოს პარლამენტმა "ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში ცვლილებები შეიტანა. გუშინ პარლამენტის პლენარულმა სხდომამ პირველი მოსმენით მიიღო კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. კანონპროექტს მხარი 127 დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა.

პროექტის შესაბამისად, კანონიდან ამოღებული იქნება ის პუნქტები, რომლითაც განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ ფინანსთა სამინისტროზე სესხის გაცემის წესი და პირობები. ეროვნულ ბანკს უფლება აღარ ექნება, ფასიანი ქაღალდები პირველად ბაზარზე შეიძინოს. აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს დავალიანება, რომელიც სახელმწიფოს საშინაო ვალს წარმოადგენს, დაფარული იქნება ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ახალი ფორმა შემოდის

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ახალი ფორმა დამკვიდრდება. პარლამენტის პლენარულმა სხდომამ პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. როგორც პლენარულ სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზაზა ჭელიძემ განაცხადა, ამჟამად არსებული პრივატიზაციის ოთხ ფორმას დაემატება კიდევ ერთი ფორმა - პირობებიანი აუქციონი.

"პრივატიზაციის ამ ფორმის შემოღების შემთხვევაში, ქონების პრივატიზაციის დროს ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, აუქციონის პირობების გათვალისწინებით უპირატესობა მაღალ ფასს მივანიჭოთ, თუმცა, ამავდროულად, პრივატიზაციით დაინტერესებულ პირს გარკვეული პირობებიც წავუყენოთ," - განაცხადა ჭელიძემ.

ამჟამად, საქართველოში პრივატიზაციის ოთხი ფორმა მოქმედებს - აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა, იჯარა-გამოსყიდვა და კონკურსი. აღნიშნული კანონპროექტი, აგრეთვე, ითვალისწინებს პრივატიზაციის დროს გამარჯვებულთან ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებას.

როგორც ჭელიძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინვესტორთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის ხელისუფლებას 20-დღიანი ვადა გააჩნია, თუმცა როცა საქმე დიდი ობიექტების პრივატიზაციას ეხება, ხელშეკრულების გაფორმება მცირე ვადაში საკმაოდ რთულია, ამიტომ სამინისტრო პალამენტს სთხოვს, კანონში ცვლილება შევიდეს და აღნიშნული ვადა სამ თვემდე გაიზარდოს. პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას მხარი დაუჭირა. კენჭისყრა, სავარაუდოდ, დღესვე გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## Fitch-მა "საქართველოს ბანკს" "სტაბილური" რეიტინგი მიანიჭა

როგორც Fitch-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ბანკს დეფოლტური ემიტენტის რეიტინგი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში "B-", მოკლევადიანი რეიტინგი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში "B", ხოლო ინდივიდუალური რეიტინგი "D" მიენიჭა. Fitch-ში აცხადებენ, რომ აღნიშნული რეიტინგები ბანკის საკრედიტო რისკებს ასახავენ, რაც საქართველოში საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში დაკრედიტების ზრდის მაღალი ტემპებით არის განსაზღვრული.

"იმავდროულად, "საქართველოს ბანკს დიდი საკლიენტო ბაზა აქვს და მთავარი საქმიანობიდან მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს, ბანკს კარგად მოფიქრებული, მაგრამ აგრესიული სტრატეგია გააჩნია, რომელიც 2004 წელს საერთაშორისო საბანკო სისტემაში მოღვაწეობის დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერთა ახალმა გუნდმა დასახა," - ნათქვამია დოკუმენტში. როგორც Fitch-ში აღნიშნავენ, "საქართველოს ბანკი" აქტივების მოცულობით სიდიდით მეორე ბანკია საქართველოში და მისმა მაჩვენებელმა 2006 წლის 1 კვარტალში 606,3 მილიონი ლარი შეადგინა. ის მომსახურებას, როგორც კორპორატიულ, ისევე ფიზიკურ პირებს უწევს, თუმცა, უმეტესად მიკრო საკრედიტო სესხების გაცემაზეა ორიენტირებული.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ბანკის კლიენტურა მას შემდეგ გაიზარდა, რაც "საქართველოს ბანკმა" "ინტელექტბანკის" აქტივები და პასივები შეისყიდა. Fitch-ში აცხადებენ, რომ ბანკი დსთ-ის ქვეყნებში, მათ შორის, უკრაინაში, სხვა ბანკების აქტივების შეძენასაც აპირებს, თუმცა, ეს არა "საქართველოს ბანკის", არამედ ჰოლდინგის ბალანსზე დაირიცხება. აღსანიშნავია, რომ "B" რეიტინგი უკვე რამდენიმე ქართულ ბანკს მიენიჭა, მათ შორის, "თიბისი ბანკსა" და "პროკრედიტბანკს". **ჯი-ეიჩ-ენი**

## რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე იზრდება

რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე იზრდება. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, რკინიგზაზე საკონტაქტო ქსელის ლითონის კოროზირებული ანძები ახალი რკინაბეტონის ანძებით იცვლება. რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისა და სიჩქარის ზრდის მიზნით საკონტაქტო ქსელის რეკონსტრუქცია განხორციელდა ჩაქვი-მახინჯაურის, ხარაგაულისა და ბორჯომი-ბაკურიანის გადასარბენებზე, სადაც ლითონის 11 კოროზირებული ანძა ახალი რკინაბეტონის ანძით შეიცვალა.

მატარებელთა სიჩქარის ზრდის მიზნით, ასევე, 17 ახალი ანძა დაიდგა ქვალონი-ჭალადიდის გადასარბენზეც. ამ მიმართულებით მუშაობას საქართველოს რკინიგზის ელექტრომომარაგების სამსახური ახორციელებს. **ინტერპრესნიუსი**

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსება იზრდება

ბაქოში დიდი ნავთობსადენის პროექტის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც გადაწყდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსება გაიზრდება. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, მოამზადოს წინადადებები ამ პროექტისთვის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ.

პროექტის დაფინანსების გაზრდის ხარჯებს ყველა მონაწილე კომპანია თანაბრად გაიღებს, განსხვავებით პროექტში მათი ნაწილობრივი ოდენობისა. "ჩვენ გვეგონა, რომ ნავთობსადენის მშენებლობა მალე დასრულდებოდა, მაგრამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის თურქეთის მონაკვეთზე მშენებლობა შეფერხებით მიმდინარეობს, ამიტომაც საჭირო გახდა პროექტის ხარჯის გაზრდა," - ამბობს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობფონდის დირექტორი სამირ შარიფოვი. **მედიანიუსი**

# ვისი მეგობარია ინსპექტორი?

თინა შავაძე

განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ზრდის საფუძველი უნდა გახდეს. მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყანაში მოქმედი კომპანიების 97 პროცენტს შეადგენს. თუმცა მათი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ძალზე დაბალია - საქართველოში ის მხოლოდ 10 პროცენტია, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 60 პროცენტს აღწევს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. შემცირდა ან გაერთიანდა მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ბევრი ორგანო. ამ ეტაპზე საჭიროა საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფო მოხელისა და მეწარმის ურთიერთობაში. ექსპერტები ამბობენ, რომ სახელმწიფო მოხელე შემოწმების დროს არაგამჭვირვალე პროცედურებითა და ბუნდოვანი მოთხოვნებით ხელმძღვანელობს, რაც ხშირად საწარმოზე საჯარიმო სანქციების დაწესებით მთავრდება. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ნებართვების და ლიცენზიების პროცედურები.

არსებული ბიზნესწინააღმდეგობების შესამცირებლად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (**IFC**) საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ძირითადი მიმართულებებია: ბიზნესისთვის რეგულირების ტვირთის შემცირება; მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემოს მონიტორინგი, კვლევა და ბიზნესის ინფორმირების გაუმჯობესება.

გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გელა ლეჟავამ განაცხადა, რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობები დღემდე ვერ ჩამოყალიბდა. მისი აზრით, თუ ინსპექტორი მეწარმესთან დამეგობრებას ვერ ახერხებს, მაშინ კარგი იქნება, თუ იმდენს მაინც მოახერხებს, რომ ხალხის მტერი არ გახდეს. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ ინსპექტორის მიმართ შიშის ფაქტორი უნდა მოიხსნას, და კომპანიების დალუქვა და დახურვა დასრულდეს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერი გიორგი გელოვანი ამბობს, რომ სამი წლის განმავლობაში, ქართველი და უცხოელი გამოცდილი ექსპერტები ბიზნესისთვის ბარიერების მოხსნას საქართველოს მთავრობასთან და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობით შეეცდებიან. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და წამლის დამზადების სააგენტოსთან თანამშრომლობა. საცდელი პროექტი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო მოხელეებმა საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით ლიცენზირებისა და ნებართვების თანამედროვე პროცედურები შეისწავლონ. ამავე დროს, პროექტის ფარგლებში მომზადდება გამარტივებული მასალა, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელო გახდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესების შესასრულებლად.

პროექტი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**CIDA**), **BP**-სა და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. გელოვანის განმარტებით, პროექტის განსახორციელებლად IFC, BP და სხვა დონორი ორგანიზაციები 1,5 მლნ დოლარს დახარჯავენ.

# დაარღვიეს თუ არა კანონი პრემიერმა, ეკონომიკის და ენერგეტიკის მინისტრებმა?

ეთერ მამულაშვილი

*საქართველოს პრემიერ-მინისტრს სამ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოს სამართავად აბარებენ. ახლად დაფუძნებულ შპს "გაზისა და ნავთობის კორპორაციაში", რომელიც "გაზის საერთაშორისო კორპორაციას", "საქნავთობსა" და "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას" აერთიანებს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ზურაბ ნოღაიდელი დანიშნეს, რითაც პოლიტიკურ ოპოზიციას ხმაურისა და ხელისუფლების გაკრიტიკების საშუალება კიდევ ერთხელ მიეცა.*

იმ დროს, როცა ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოთა უმრავლესობას თავიდან "იშორებს" და ნაწილსაც საპრივატიზაციოდ ამზადებს, მის მიერ ახალი შპს-ს დაფუძნება, ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს. თუმცა, როგორც ხელისუფლებაში ამტკიცებენ, "საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია" სერიოზული მიზნებით ფუძნდება.

### რისთვის იქმნება ახალი სახელმწიფო შპს?

შპს "საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციაში" სამი 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილის მქონე კომპანია გაერთიანდა. სამეთვალყურეო საბჭოში წევრის სტატუსით ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილური დაინიშნენ, ახლად შექმნილ შპს-ს გენერალურ დირექტორად კი დავით ინგოროყვა აირჩიეს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას" ხელმძღვანელობდა.

ირაკლი ჩოგოვაძის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში სულ შვიდი წევრი გაერთიანდა.

ამ ეტაპზე ახალი შპს-ს საწესდებო კაპიტალი 101 მილიონ 107 ათას 690 ლარით განისაზღვრა. 20 აპრილს აქციონერები შეკრებას აპირებენ, სადაც ჰოლდინგის რეორგანიზაციაზე იმსჯელებენ. სამივე კომპანიის გაერთიანების პროცესი, სავარაუდოდ, მაისში დასრულდება.

ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებით, სამი სახელმწიფო კომპანიის ერთ სტრუქტურად გაერთიანების მთავარი მიზეზი იყო ქვეყნისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების პროცესის კოორდინაცია.

ახალი შპს-ს შექმნა მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოში შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის შემოსვლასაც უკავშირდება. როგორც ცნობილია, 2006 წლის ოქტომბერში ექსპლუატაციაში შევა შაჰ-დენიზის გაზსადენი, საიდანაც საქართველო კუთვნილ ბუნებრივ აირს მომავალი წლის მიწურულს მიიღებს.

**"ამ სამი კომპანიის გაერთიანება აუცილებელი იყო, რათა მომხდარიყო ქვეყნის გაზის რესურსების ერთი ქუდის ქვეშ თავმოყრა და, ამით, არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროების მოძებნა. ამ ორგანიზაციების გაერთიანებით ზუსტად გვეცოდინება, საიდან და რა რაოდენობის ბუნებრივი აირის მიღება შეგვეძლება კონკრეტულ პერიოდში. ახალი უწყება ბუნებრივ აირზე ქვეყნის მოთხოვნილების შესწავლასა და მისი მიწოდების საუკეთესო გზების მოძიებას შეძლებს,"** - განუცხადა ენერგეტიკის მინისტრმა "24 საათს".

კორპორაციის მიზანი ასევე ნავთობისა და გაზის მოპოვება, მისი ტრანსპორტირება, სადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელება იქნება.

### რა პრეტენზიები აქვს ოპოზიციას?

"საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციაში" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ნოღაიდელის, ხოლო წევრებად ჩოგოვაძისა და გილაურის დანიშვნას პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან ხმაურიანი კრიტიკა მოჰყვა. ოპონენტების მტკიცებით, ქვეყნის მთავარმა ჩინოვნიკებმა საქართველოს კონსტიტუცია და მთელი რიგი კანონები დაარღვიეს.

"რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი ლიდერი, იურისტი თინა ხიდაშელი ირწმუნება, რომ კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, მინისტრებს რაიმე თანამდებობის დაკავება, გარდა პარტიულისა, კატეგორიულად ეკრძალებათ. **"სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა და, მით უმეტეს, თავმჯდომარეობა დაუშვებელია, რასაც მეწარმეთა შესახებ კანონი და სხვა კანონებიც ადასტურებს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ხიდაშელმა.

"რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი ლიდერი ინტერესთა კონფლიქტზეც საუბრობს. მისი თქმით, კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღების დროს ობიექტურები ვერ იქნებიან. **"პირველივე სხდომაზე, როდესაც თავმჯდომარედ ნოღაიდელი იყო არჩეული, მათ აირჩიეს გენერალური დირექტორი. დირექტორის არჩევა - ეს ისეთი ტიპის საქმიანობაა, რომ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი შპს-ს საქმიანობის დასაწყისში არაფერი ხდება. ანუ ამით შენ შპს-ს პოლიტიკას, მიმართულებას განსაზღვრავ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავისი მაღალი თანამდებობის პირებით კერძო სამართლის სუბიექტის საქმიანობაში ერევა. ამას გარდა, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საწარმოს ბედს. მაგალითად, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება მას ამა თუ იმ ინვესტორთან, კონტრაქტორთან? ის განსაზღვრავს, დაუდოს თუ არა კონტრაქტი, მიიღოს თუ არა რაღაცაში მონაწილეობა, იყოს თუ არა თანადამფინანსებელი და ა.შ."** - ამბობს თინა ხიდაშელი

ბუნებრივია, ხელისუფლება ოპონენტების ამ ბრალდებებს აბსურდულს და "თითიდან გამოწოვილს" უწოდებს. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ამბობს, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება საჯარო მოხელეს, მათ შორის, მინისტრებს, ამ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშვნის უფლებას აძლევს. **"გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა თანამდებობა არ არის. ესეც რომ არ იყოს, ახალი კანონი ჩვენ ამის უფლებას გვაძლევს. ასეთი უსუსური და უაზრო არგუმენტი ჩვენი ოპონენტებისგან მე ჯერ არ მომისმენია. არაფერი ხელმოსაკიდი მათ არ გააჩნიათ და რაღაც უაზრო ხავსს ეჭიდებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ხმაური ატეხონ. ეს არის ერთადერთი მიზეზი და მიზანი. იხმაურონ, ბატონო... მაგათი საქმე ეგ არის. ჩვენი საქმეა, საქმე ვაკეთოთ, ჩვენს შორის განსხვავება ეგ არის. ჩვენ გავაგრძელებთ საქმის კეთებას და მაგათ გააგრძელონ ინტრიგანული ხმაური,"** - ასე ეხმაურება ოპონენტთა ბრალდებებს მინისტრი გილაური.

### რას ამბობენ ექსპერტები?

ცალკეული ექსპერტები ამ შემთხვევაში, სამართლებრივზე და იურიდიულზე მეტად, აქცენტს სხვა საკითხზე აკეთებენ. "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე დავით ნარმანია ამბობს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობა და წევრობა მართლაც თანამდებობად ითვლება, თუმცა ამ პოსტზე მინისტრების დანიშვნით საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ბოლო ცვლილებების თანახმად, კანონი არ დარღვეულა.

**"ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, საკითხი სხვანაირად დგას: ნორმალური და ჭკვიანი ხალხი ამ ქვეყანაში დაილია, ამ თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრი რომ არ დაენიშნათ? რა პრემიერ-მინისტრის საქმეა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობა? მას კომპანიის სამართავად და რაღაც გადაწყვეტილების მისაღებად არ უნდა ეცალოს. ის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით უნდა იყოს დაკავებული,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ნარმანიამ.

# რუსეთი "სომხური ღვინის ამარა"

პირველი გვერდიდან

**ექსპორტიორებს ეს თანხები რუსეთში სარეკლამო კამპანიების ჩასატარებლად და სატრანსპორტო დანახარჯების დასაფარად ესაჭიროებათ. იმ შემთხვევაში, თუ სომხეთის მთავრობა ამ ნაბიჯებს დღეს არ გადადგამს, ხვალ გვიან იქნება,"** - მიაჩნია არუთუნიანს.

ავაკ არუთუნიანის აზრით, ქართული ღვინო სომხური ღვინის უშუალო კონკურენტს წარმოადგენს, როგორც ფასის, ასევე ხარისხის მიხედვით. **"სომხური ღვინო არასდროს აცხადებდა პრეტენზიას დაბალფასიანი ღვინოების ბაზარზე საკუთარი ნიშის დასაკავებლად, ვინაიდან მისი ფასი, მაღალი სატრანსპორტო დანახარჯების გამო, რუსეთის ბაზარზე მაღალია. სომხური ღვინო ქართული, საშუალოფასიანი ღვინის უშუალო კონკურენტია,"** - განაცხადა არუთუნიანმა.

ტაჯიკეთის საგარეო უწყება კი რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ტაჯიკურით ჩანაცვლების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ამის შესახებ ტაჯიკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა იგორ სატაროვმა განაცხადა. მისი თქმით, ტაჯიკეთის მთავრობას ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა არც განუზრახავს.

რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინოების ტაჯიკურით ჩანაცვლების სურვილის შესახებ ტაჯიკური კორპორაცია "ხუროკვორის" მეღვინეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პირმახმად დოსტიევმა განაცხადა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გამოეხმაურა. მან ტაჯიკეთს და, მთლიანად, დსთ-ს ქვეყნებს ქართულ მხარის სოლიდარობისკენ მოუწოდა, და აღნიშნა, რომ საკუთარი ინტერესების რეალიზება ყველა ქვეყნის უფლებაა, თუმცა ამის სხვის ხარჯზე მიღწევა არაკორექტულია.

აპრილის მეორე დეკადიდან მოლდავური ღვინის ქარხნები 25-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობენ. ამის შესახებ რუსულ საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსს" მოლდოვის ღვინის სახელმწიფო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ვალერი მირონესკუმ განუცხადა. მისი განმარტებით, რუსეთის მიერ მოლდავურ ღვინოზე ემბარგოს დაწესების გამო მოლდავური ღვინის კომპანიების მიერ მიღებული ზარალი ჯერჯერობით დათვლილი არ არის.

მირონესკუს განცხადებით, რუსეთის მთავარ სანიტართან გენადი ონიშენკოსთან შესახვედრად გამართული მისი ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა. **"გენადი ონიშენკომ და მისმა მოადგილეებმა ჩვენს დელეგაციასთან შეხვედრა და მოლდავური ღვინოების ლაბორატორიული შემოწმების შედეგების წარმოდგენაც არ ისურვეს,"** - განაცხადა მირონესკუმ.

## "ბი-პიმ" კასპიაზე წყალქვეშა მილსადენების განლაგება დაასრულა

"შაჰ-დენიზის" გაზის საბადოს გადამუშავების ოპერატორმა კომპანიამ "ბი-პიმ" კასპიაზე წყალქვეშა მილსადენების განლაგება დაასრულა. აღნიშნული სამუშაოები 2005 წლის სექტემბერში დაიწყო. პროგრამა "სტადია-1" "შაჰ-დენიზის" სამი წყალქვეშა მილსადენის განლაგებას ითვალისწინებდა: თითოეული მილსადენის სიგრძე 90 კილომეტრია. მილსადენების განლაგების სამუშაოებს სპეციალური ხომალდი "ისრაფალ ჰუსეინოვი" ატარებდა. **მედიანიუსი**

## რუსეთი FAO-ს სრულუფლებიანი წევრია

რუსეთის ფედერაცია გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის FAO-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია გაეროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ელჩმა ისრაელში ალექსეი მეშკოვმა FAO-ს გენერალურ დირექტორს ჟაკ დიუფუს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის წერილი გადასცა შეტყობინებით რუსეთის FAO-ში გაწევრიანების შესახებ.

FAO 1945 წელს დაფუძნდა კვების ხარისხის ასამაღლებლად, აგრარულ სექტორში წარმოების გასაზრდელად, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. მისი წევრები არიან მსოფლიოს 189 სახელმწიფო და ევროპული საზოგადოება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია

ერთ ბარელი AZERI LT-ის სახეობის ნავთობის ფასი 12 აპრილს გაიზარდა და $69,43 შეადგინა, რაც $1,14-ით მეტია წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებულთან შედარებით. AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,9 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14 პროცენტი .

URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე $64,08 შეადგინა ($1,09-ით მეტი). URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 32 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,3 პროცენტი. Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე $69,53 შეადგინა ($1,19-ით მეტი). Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტი. AZERI LT-ის კოტირება ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასს ხმელთაშუა ზღვის პორტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია გადაზიდავს სუფსას ტერმინალიდან. URAL-ის კოტირება ნავთობის ნოვოროსიისკის პორტში გადაზიდული ნავთობის ფასს ასახავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანი მზადაა, საქართველოს კვირაში 6 ათასი ტონა ბენზინი მიაწოდოს

საქართველოში აპრილის დასაწყისიდან 2,5 ათასი ტონა საავტომობილო ბენზინის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან სახნავთობკომპანიასა და ქართულ "საქნავთობტრანსს" შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, - აცნობეს სააგენტო ტრენდს სახნავთობკომპანიაში. აღნიშნული ბენზინი ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში იწარმოება.

სახნავთობკომპანია ამჟამად მზადაა, საქართველოს კვირაში 6 ათასი ტონა ბენზინი მიაწოდოს, თუმცა "საქნავთობტრანსს" ასეთ მოთულობაზე განაცხადი ჯერ არ გაუკეთებია. ამის მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია ამ პროდუქტის დეფიციტი, ვინაიდან ბაქოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მიმდინარე გადაიარაღების პერიოდში საქართველომ ბენზინი თურქმენეთიდან და ბათუმის პორტის გავლით მოიმარაგა.

ბაქოს ნავთობის გადამამუშავებელმა ქარხანამ 2006 წლის პირველ კვარტალში 26,8 ათასი ტონა ბენზინის ექსპორტი განახორციელა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**



### Nokia-მ ახალი ელიტარული მობილური ტელეფონი გამოუშვა

კომპანია “Nokia”-მ ელიტარული ავტომობილების მწარმოებელ კომპანია “Aston Martin”-თან ერთად ექსკლუზიური მობილური ტელეფონი - “Nokia 8800 Aston Martin Edition” გამოუშვა. ახალი პრემიუმ-კლასის მობილური ტელეფონი “Aston Martin”-ის ფირმის სტილშია გაფორმებული. ტელეფონის მეტალის მოძრავ პანელზე ლაზერით ამოტვიფრულია კომპანია “Martin”-ის ლოგო. ტელეფონის მენიუც პარტნიორი კომპანიის სტილს შეესაბამება. უფრო მეტიც, ტელეფონის ზარზე მოწყობილია მელოდია, რომლის ხმაც უტოლდება 380 სიმძლავრიანი “Vantage V8” მოტორის ხმას. ახალი ელიტარული მობილური ტელეფონი ბაზარზე საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით გამოვა. ახალი “Nokia”, “Aston Martin”-ის ავტომობილების ღირებულებასთან შედარებით საკმაოდ იაფია. მისი ფასი სულ რაღაც 1400 აშშ დოლარია.

### Ericsson-მა უკრაინულ kievstar -თან ხელშეკრულება გააფორმა

შვედურმა სატელეკომუნიკაციო კომპანია “Ericsson”-მა მობილური კავშირის უკრაინულ კომპანია “KievStar”-თან სამწლიანი ჩარჩო-კონტრაქტი გააფორმა. გარიგების თანხაზე კომპანიები ჯერ არ შეთანხმებულან.

დადებული ხელშეკრულება “KievStar”-ის “GSM/GPRS/EDGE” მომსახურების სფეროების გაფართოებასა და მომსახურების ტექნიკური მხარის სამომავლო განვითარებას შეუწყობს ხელს. კონტრაქტის პირობების თანახმად, “Ericsson”-ი უკრაინული მობილური კავშირის კომპანიას თანამედროვე რადიოქსელის მოწყობილობებით უზრუნველყოფს. კონტრაქტი ასევე, პერსონალის სწავლას, არსებული აპარატურის “GSM/GPRS/EDGE” ქსელის შესაბამისი პროგრამებით უზრუნველყოფას, ოპერატორების პროფესიონალური მომსახურების გაფართოებას და მარკეტინგის სფეროში სერიოზული ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. პარტნიორი კომპანია “Ericsson”-ი “KievStar”-ის აბონენტებისთვის ხმოვან და ასევე არახმოვან მომსახურებას საკმაოდ მიმზიდველსა და ეფექტურს გახდის.

### ნოუთბუქები გაიაფდება

მსოფლიოში უმსხვილესი ნოუთბუქების მწარმოებელი კომპანიები, მათ შორის “Dell”-მა და “Hewlett-Packard”-მა კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელ ტაივანურ კომპანიებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად ნოუთბუქები უახლოეს მომავალში გაიაფდება. 2006 წლის იანვრიდან მარტამდე, მსოფლიოში ნოუთბუქებზე მოთხოვნილებამ საგრძნობლად დაიკლო, რამაც აღნიშნული პროდუქციის ფასის დაწევა განაპირობა. ტაივანური კომპანიების ძალისხმევის შედეგად, აპრილიდან, ნოუთბუქებისა და “Li-Ion” ბატარეების ღირებულება 10%-ით შემცირდება.

### General Motors-ი Isuzu-ში თავის წილს ყიდის

კონცერნი “General Motors”-ი იაპონურ ავტომწარმოებელ კომპანია “Isuzu Motors Ltd.”-ში თავისი წილის გაყიდვას აპირებს. კონცერნის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 7,9 პროცენტიანი პაკეტი 300 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდება. კონცერნის მიერ გაკეთებულ განცხადებას უკვე გამოეხმაურნენ მყიდველი კომპანიები - “MitsubiShi”, “Itochu” და “ Mizuho Corporate bank”. პირველმა ორმა კომპანიამ აქციების 3,5% შეიძინა, “Mizuho Corporate Bank”-მა კი - დარჩენილი 0,9%. “General Motors”-ისა და “Isuzu”-ს ალიანსი უკვე 35 წლისაა. მეგობარი კომპანიები თანამშრომლობის შედეგად კომერციულ ავტომობილებსა და დიზელის ძრავებს აწარმოებდნენ. საკუთარი პროდუქციის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელსაც “Isuzu” “GM”-ს აწვდის, ყოველდღიურად დაახლოებით 1,54 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც იაპონური კომპანიის საერთო შემოსავლის 20%-ია. “General Motors”-ში აცხადებენ, რომ აქციების გაყიდვა მათ თანამშრომლობაზე არ იმოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ დიზელის მიმწოდებელი ამერიკულ კონცერნ “Isuzu”-ზე მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ დიდია. ამასთან, “General Motors”-მა საკუთარი აქციები, კიდევ ორ იაპონურ კომპანიაში- “Suzuki”-სა და “Fuji Heavy Industries”-შიც გაყიდა.

# აზიელები ევროპულ ავტობაზარს “უტევენ”

აზიური საავტომობილო კომპანიები დასავლეთ ევროპის ავტობაზარზე მორიგ ექსპანსიას იწყებენ, რისთვისაც ისინი მალე აამოქმედებენ აღმოსავლეთ ევროპაში მშენებარე ახალ ქარხნებს.

აღნიშნულ რეგიონს აზიური კომპანიები იმისათვის ირჩევენ, რომ იქ ავტომობილების წარმოება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს კი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს. შედეგად, აზიელები ევროპის ბაზრის სულ უფრო დიდ წილს ისაკუთრებენ და ამით საგრძნობლად ასუსტებენ ადგილობრივ კომპანიებს.

ამ საუკუნის პირველი დეკადის ბოლოს აზიური კომპანიები, აღმოსავლეთ ევროპაში წარმოებულ ასეულობით ათას ავტომობილს შეიტანენ დასავლეთ ევროპაში. მათი წარმოების ზრდის ტემპი გაცილებით მეტია ბაზრის ზრდის ტემპზე, რასაც შედეგად უახლოეს მომავალში ევროპის ბაზარზე კონკურენციის უაღრესად გამწვავება მოჰყვება.







კორეული ავტოგიგანტი “ჰიუნდაი” იმედოვნებს, რომ მალე მსოფლიოს უდიდეს ავტომწარმოებელთა მოწინავე ხუთეულში შევა. მანამდე კი, მისი მიზანი დასავლეთ ევროპის ავტობაზრის 5 პროცენტის გაკონტროლებაა. თუმცა, ისინი მზად არიან იმისათვის, რომ ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმეწლიანი დაუღალავი შრომა და მკაცრი კონკურენციის გაძლება მოუწევთ.

დღეისათვის კორეული ავტოგიგანტი ევროკავშირის ქვეყნების, ნორვეგიის, შვეიცარიისა და ისლანდიის ავტობაზრის 2.1 პროცენტს აკონტროლებს. მაგრამ ეს წილი აუცილებლად გაიზრდება მას შემდეგ, რაც ცენტრალური ევროპის რომელიმე ქვეყანაში (სავარაუდოდ, ეს ჩეხეთი იქნება) ამოქმედდება “ჰიუნდაის” ახალი ქარხანა. კომპანიის მენეჯერები უკვე აწარმოებენ მის მშენებლობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას ჩეხეთის მთავრობასთან. წინასწარი შეფასებით, ქარხნის მშენებლობა და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა დაახლოებით მილიარდი დოლარი დაჯდება. თუ მშენებლობა დროულად დაიწყო და დასრულდა, ის 2008 წელს ამუშავდება და წლიურად 300 000 ავტომობილს გამოუშვებს.

ამ ქარხანაში “ჰიუნდაი” საშუალო კლასის ავტომობილების წარმოებას გეგმავს, რომლებიც დასავლეთ ევროპის მყიდველისთვის იქნება გათვალისწინებული. “ჰიუნდაის” პროგნოზით, წელს გაყიდვების მცირე ზრდაა მოსალოდნელი, თუმცა სიტუაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს 2007 წლიდან, როცა კომპანია ყოველწლიურად მინიმუმ ერთ ახალ ავტომობილს წარუდგენს პოტენციურ მყიდველს.

უფრო მეტიც, კომპანიას განზრახული აქვს მისთვის ჯერაც აუთვისებელ, ლუქსის კლასის სეგმენტში შეღწევა, თუმცა წინდაწინ აცხადებს, რომ მისი შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ დარჩება საშუალო და მცირე ზომის ავტომობილების წარმოება.

“ჰიუნდაის” შვილობილი კომპანია, ასევე კორეული “კია მოტორზი” შარშან ევროპის ბაზარზე ყველაზე სწრაფად მზარდ კომპანიად იქნა აღიარებული. უფრო მეტიც, კომპანია კვლავაც განაგრძობს ზრდას. მისი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2008 ან 2009 წლისთვის “კიას” ევროპული გაყიდვების მოცულობა კიდევ ნახევარი მილიონი ავტომობილით გაიზრდება.

ამ პროგნოზებს რეალური საფუძველი გააჩნია - ამ წლის ბოლოს სლოვაკეთში დასრულდება ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც, კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ყველაზე დიდი იქნება ევროპაში. 2008 წელს ამ ქარხნის წარმადობა 200 000 საშუალო ზომის ავტომობილი იქნება, 2009 წლიდან კი წარმოების მოცულობა 300 000 ავტომობილს მიაღწევს.

“კიამ” ჟენევის ავტოსალონზე წარადგინა კონცეპტუალური მოდელი “ს’იიდ”, რომელიც ახლო მომავალში კომპანიის სამოდელო გამაში საშუალო ზომის სეგმენტში დაიკავებს ადგილს. კომპანია პარიზის ავტოსალონზე წარადგენს წარმოებისთვის მომზადებულ, ხუთკარიან “ს’იიდს”, მერმის კი ბაზარზე სამკარიანი ჰეჩბეკიც გამოჩნდება.

სხვათა შორის, “კია” არ გეგმავს ევროპაში წარმოებული ავტომობილების სხვა კონტინენტების ბაზრებზე გატანას. ამასთან, სლოვაკეთში წარმოებული ავტომობილების დაახლოებით 10-15 პროცენტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიყიდება, დანარჩენს კი დასავლეთ ევროპელები მიიღებენ.

ევროპაში ექსპანსიას ზრდის მსოფლიოში სიდიდით მეორე ავტოკომპანია “ტოიოტაც”, რომელიც ჩეხეთში მდებარე ქარხანაში, ფრანგულ კომპანია “პეჟო/სიტროენთან” ერთად შარშან შეუდგა მცირე ზომის მოდელ “აიგოს” წარმოებას. წარმოების დაწყებიდან, იაპონელებმა უკვე 23 000 “აიგოს” რეალიზება შეძლეს, წელს კი იმედოვნებენ, რომ გაყიდვები დაგეგმილ 100 000 ავტომობილს მიაღწევს. სხვათა შორის, ამ პატარა ავტომობილს ჯერჯერობით უფრო დასავლეთ ევროპის ბაზრებზე სწყალობენ.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კორეული კომპანიების წარმოების ზრდა სულაც არ აშფოთებს სხვა აზიელ ავტოკომპანიათა ხელმძღვანელობას. ისინი თვლიან, რომ კორეელები ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნიან მაღალი ხარისხის ავტომობილების მწარმოებლების იმიჯით. ამიტომ, მხოლოდ მცირე ფასის ხარჯზე მყიდველის მიზიდვა ძალიან ძნელი იქნება.

იაპონურ კომპანია “ნისანის” ევროპული შტოს სტრატეგიისა და მარკეტინგის დივიზიონის ვიცეპრეზიდენტი პოლ უილკოქსი ამბობს, რომ კორეელებს ბევრი რამ აქვთ შესაცვლელი, სანამ ისინი რეალურ ხიფათს შეუქმნიან დასავლეთ ევროპის ბაზარზე დამკვიდრებულ კონკურენტებს. თუმცა, იგი დასძენს, რომ მათი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა.

“კიას” დასავლეთევროპული შტოს ვიცე-პრეზიდენტ ჟან-შარლ ლივენსის თქმით, ჟენევაში წარმოდგენილი ექსპონატები მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ევროპის ბაზრის ასათვისებლად აუცილებელია სამოდელო გამის მნიშვნელოვნად გაფართოება. სხვანაირად, ადგლობრივ კომპანიებთან კონკურენცია ძალიან გაძნელდება.

ამასთან, ლივენსი იმასაც აღნიშნავს, რომ კონკურენციის გამკაცრებას შედეგად მოჰყვა ახალი მოდელების სასიცოცხლო ციკლის შემცირება. ეს კი იწვევს დანახარჯების ზრდას არსებული მოდელების მოდერნიზაციისა და ბაზარზე ახალი მოდელების წამოწევისთვის.

# “Morgan Chase” “Bank of New-York”-თან ითანამშრომლებს

“Citigroup”-ისა და “Bank of America Corp.”-ის შემდეგ კაპიტალიზაციის სიდიდით მესამე ადგილზე მყოფი ამერიკული ბანკი “J.P. Morgan Chase” გავრცელებული ინფორმაციით, თავის აქტივებს “Bank of New-York Co.(BONY)-ის გაუცვლის. გარიგების შედეგად, “J.P.Morgan”-ს ნიუ-იორკის ბანკი - “BONY” საცალო ქვეგანყოფილებებს გადასცემს, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მომხმარებელს და მცირე ბიზნესს. ამასთან აღრიცხავენ ნიუ-იორკის 300 ოფისს, 15 მილიარდ დოლარიან დეპოზიტებს და მცირე ბიზნესის 8 მილიარდ დოლარიან საკრედიტო პორტფელს. შეთანხმების მსვლელობისას, საცალო ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფდა ბანკის ბრუნვის 15%-ს 2,3 მილიარდ დოლარად შეაფასეს. ნიუ-იორკის ბანკი კი თავის მხრივ 2,15 მილიარდ დოლარად შეფასებულ სატრასტო ბიზნესის შეძენასაც აპირებს. ასე, რომ “J.P.



Morgan Chase”-ს პარტნიორისთვის კიდევ 150 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბანკებს შორის სტრატეგიული პროგრამების ფარგლებში დადებული გარიგება ცალკეული ოპერაციების რეფორმირებს ითვალისწინებს და ამ მხრივ, “J.P. Morgan Chase”-ის მიერ გადაგმული ნაბიჯი საკმაოდ ლოგიკურია.

ამასთან, ნიუ-იორკის ბანკი, რომელიც სატრასტო ოპერაციების ლიდერია გეგმაზომიერად გააფართოებს ბიზნესის ამ მიმართულებას. ამ ეტაპზე, ნიუ-იორკის ბანკი ფასიანი ქაღალდების, გარკვეული ოპერაციების მხარდაჭერისა და აქტივების მართვის ფარგლებში მოგების ძირითად ნაწილს მიიღებს.

“BONY” “private- banking”-ის ბიზნესის გაფართოებასაც აპირებს და თან, 60 მილიარდ დოლარად შეფასებულ მომხმარებელთა აქტივებსაც მართავს.

### აშშ-ს ბირჟაზე ინდექსთა ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ამის მიზეზი ნავთობის ბაზარზე ვნებათა ღელვის ოდნავ ჩაცხრობის შემდეგ გავრცელებული დამაიმედებელი კორპორაციული ინფორმაცია გახლდათ.

კერძოდ, გუშინ უმსხვილესმა მრავალპროფილიანმა კორპორაციამ General Electric-მა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნა. მისი სუფთა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა და 4,305 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ ციფრებმა ანალიტიკოსთა მოლოდინს გადააჭარბა.

გარდა ამისა, ჩინეთთან გაფორმებული უმსხვილესი ხელშეკრულების შემდეგ Boeing-ის აქციების ფასი 3,28 პროცენტით გაიზარდა და 83,21 დოლარს მიაღწია, რაც სარეკორდო მაჩვენებელი გახლავთ. 4,21 პროცენტით, 20,03 დოლარამდე გაიზარდა General Motors-ის აქციები, რისი მიზეზიც გახდა გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საავტომობილო გიგანტის მთავარი მომწოდებელი კომპანია Delphi ამერიკულ ქარხნებში გაფიცვას თავიდან აირიდებს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,36 პროცენტით, 11.129,97 პუნქტამდე გაიზარდა, Nasdaq Index-მა 0,19 პროცენტით, 2.314,68 პუნქტამდე მოიმატა, ხოლო 0,12 პროცენტით გაზრდილმა S&P 500 Index-მა 1.288,12 პუნქტი შეადგინა.

### AMD-ს სუფთა მოგება 185 მილიონი დოლარია

კომპიუტერების პროცესორების მწარმოებელი კომპანია Advanched Micro Devices Inc (AMD)-ის მიმდინარე წლის პირველი კვარტლის სუფთა მოგებამ 185 მილიონი დოლარი (აქციაზე 0,38 დოლარი) შეადგინა. და ეს მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიამ 17,4 მილიონი დოლარის (აქციაზე 0,04 დოლარი) წაგება იწვნია.

ამგვარი წარმატების მიზეზი კომპანიის პროდუქციის გაყიდვის 8,6 პროცენტით, 1,33 მილიარდ დოლარამდე გაზრდა გახდა. ბაზარზე AMD-ს წილის ზრდა აშკარა იყო და კომპანიის წარმატებას ექსპერტები ვარაუდობდნენ, თუმცა, წარმოდგენილმა ციფრებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

### რუსეთის ოქროსა და სავალუტო მარაგმა 201,8 მილიარდს მიაღწია

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ოქროსა და სავალუტო მარაგი 2005 წლის 18 ნოემბრის შემდეგ გამუდმებით მატულობს. ამ ხნის განმავლობაში იგი 45 მილიარდი დოლარით, ანუ 27,5 პროცენტით გაიზარდა და 201,8 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც რუსეთის ფედერაციის და სსრკ-ს ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. ამგვარი ზრდის მიზეზი ცენტრობანკის მიერ შიდა ბაზარზე ამერიკული დოლარის გამალებული შეძენა გახდა. მაგალითად, მარტო 8 თებერვალს ცენტრალურმა ბანკმა 5,8 მილიარდი დოლარი იყიდა. ამ დროისათვის ოქროსა და სავალუტო რეზერვების მიხედვით რუსეთს მსოფლიოში მეხუთე ადგილი უკავია. ჩინეთს, იაპონიას და ტაივანს იგი საკმაოდ ჩამორჩება, სამხეთ კორეის გადასწრება და მეოთხე ადგილზე გადანაცვლება კი მალე შეუძლია.

### გაზპრომმა ახალი სიმაღლეები დაიპყრო

“გაზპრომის” აქციების ფასმა 7%-ით მოიმატა. რუსული ბუნებრივი აირის გიგანტის კაპიტალიზაცია ამ ეტაპზე, 230 მილიარდ დოლარს შეადგენს. მსგავსი მაჩვენებლისთვის ჯერ არც ერთ რუსულ კომპანიას არ მიუღწევია. “გაზპრომი” კი ამ მხრივ, მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა.

კაპიტალიზაციის მოცულობის მიხედვით, ბუნებრივი აირის რუსულმა გიგანტმა ისეთი კომპანიები ჩამოიტოვა, როგორიცაა “Royal Dutch Shell” da “Bank of Amerika”.

დღევანდელი მონაცემებით, რუსული კონცერნის საბაზრო ღირებულება მსოფლიოში ცნობილ კომპანიებს “Total Chevron”-სა და “Conoco Phillips”-საც კი უსწრებს.

ექსპერტები “გაზპრომის” აქციების კურსის ზრდას აშშ-ს ფასიანი ქარალდების კომისიაში ამ რუსული ბუნებრივი აირის კომპანიის აქციების დარეგისტრირებას უკავშირებენ.

### Google კონკურენტების მოედანზე თამაშობს

კომპანია “Google” საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებასა და კონკურენტი კომპანიების მოედანზე თამაშის დაწყებას აპირებს. სულ ცოტა ხნის წინ, კომპანიამ მომხმარებლებს მომსახურების ახალი ფორმა - “Google Calendar” შესთავაზა. აღნიშნული სერვისი მომხმარებლებს, როგორც ცალკეული დღეების დაგეგმვაში, ასევე საერთო გეგმების კოორდინირებაშიც დაეხმარება. მომსახურების ახალ ფორმაზე გადასვლისთვის კომპანიამ თავისი საფოსტო “Gmail”-ში გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

ანალიტიკოსების აზრით, სიახლეები “Google”-ში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის აღარ იქნება უბრალოდ საძიებო პორტალი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე “Google”-მა ინტერნეტ-ბაზარს ბევრი სიახლე შესთავაზა, რის გამოც იგი თამამად ითვლება ისეთი კომპანიების კონკურენტებად, როგორიცაა “Yahoo!” და “Microsoft” ბიზნეს-ინტერნეტი”. ახალი სერვისი, რომელიც “Google”-მა შეიმუშავა “Yahoo!”-ს 1998 წლიდან აქვს. ბაზრის სპეციალისტების აზრით, “Google”-ის პოპულარობას ხელს ის გარემოებაც შეუწყობს, რომ სერვისის დიდი ნაწილი მომხმარებლებისთვის ადვილად მისაწვდომია, რადგან მხოლოდ ერთი საიტის ფარგლებშია განთავსებული და არ იწვევს მომხმარებლების გადამისამართებას სხვადასხვა რესურსზე. ეს პრივილეგია კი კომპანიას სარეკლამო კომპანიების მიზიდვაში დაეხმარება, რაც “Google”-ს საბოლოო ჯამში დიდ მოგებას მოუტანს.

## ბათუმს წელს საკურორტო სეზონზე ათამდე საკრუიზო გემი მოინახულებს

ბათუმს 2006 წლის საკურორტო სეზონზე ათამდე კრუიზული გემი მოინახულებს. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი თავართქილაძემ განაცხადა, უცხოურ ტუროპერატორებთან ამ დროისთვის უკვე ექვსი კონტრაქტია დადებული.

"ბათუმის პორტში ექვსი გემი შემოვა, მათგან 2 თურქული და 4 ბრიტანული იქნება, მათ ბორტზე კი არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ ამერიკელები, გერმანელები და სხვა ევროპული ქვეყნის წარმომადგენლები იქნებიან. "ვიზიტორი" გემების რიცხვი, სავარაუდოდ, 10-მდე გაიზრდება," - განაცხადა თავართქილაძემ. მისი თქმით, შარშანდელი წელი საკმაოდ წარმატებული იყო, რადგან აჭარას 10 კრუიზული გემი ეწვია, კიდევ ორმა კი უამინდობის გამო ბათუმის პორტში შემოსვლა ვერ შეძლო. "ეს წინა წლებთან შედარებით 1000 პროცენტით მეტია," - განაცხადა დეპარტამენტის თავმჯდომარემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საიუველირო ქარხნის პრივატიზების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხუთშაბათიდან შპს "თბილისის საიუველირო ქარხნის" პრივატიზების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო. როგორც სამინისტროში განაცხადეს, ქარხნის გაყიდვის წესი აუქციონია, ხოლო მისი საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 2 მლნ აშშ დოლარია.

სამინისტროს ინფორმაციით, ქარხნის პროფილია საიუველირო ნაკეთობათა დამზადება და რეალიზაცია. მისი საწესდებო კაპიტალი 8,7 მლნ ლარს, ხოლო სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში - 100 პროცენტს შეადგენს. საწარმოს გააჩნია 11 190 ლარის დებიტორული და 89 298 ლარის კრედიტორული დავალიანებები.

თბილისის საიუველირო ქარხნის შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 9 064 კვადრატული მეტრია, მიწის ფართობი - 26 795 კვადრატული მეტრი.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ქარხნის შეძენის მსურველთა განაცხადებს სამინისტრო 16 მაისამდე მიიღებს, ხოლო ქარხნის გასაყიდი აუქციონი 16 მაისს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## BlueOrchard Microfinance Security-მა აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკს საკრედიტო ხაზი გამოუყო

აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკმა შვეიცარიულ ფონდ BlueOrchard Microfinance Security-თან $4-მილიონიანი საკრედიტო ხაზის გამოყოფაზე ხელშეკრულებას ხელი ხუთშაბათს მოაწერა. როგორც სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკიდან შეატყობინეს, ბანკი საკრედიტო ხაზს კერძო სექტორის დასაფინანსებლად გამოიყენებს.

ეს ფინანსური სახსრები საობლიგაციო ფონდის გაყიდვიდან და აქედან მიღებული $120 მილიონი საკრედიტო ფინანსური ორგანიზაციებისკენ მიიმართა. მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში 10000 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს, შვეიცარიული BlueOrchard Microfinance Security თავის გათვლას უმაღლესი კლასის კომპანიებზე აკეთებს, ითვალისიწნებს მათ რენტაბელობას, თვითგანვითარებისა და მუშაობის მაღალი ხარისხის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ფონდი მუშაობს მსოფლიოს მხოლოდ 22 მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან. ამ კომპანიებს შორის მოიაზრება აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკი.

აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკი ერთ-ერთი ლიდერია აზერბაიჯანის საკრედიტო ბაზარზე. ბანკს დღემდე გაცემული აქვს $52 მილიონის ღირებულების დაახლოებით 20 ათასი კრედიტი. ამასთანავე, აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკი თავის კლიენტებს სთავაზობს არა მარტო კრედიტებს, არამედ საბანკო მომსახურების ფართო სპექტრსაც.

აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ბანკში შექმნაში მონაწილეობა მიღებული აქვს 5 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი (KFW) და გერმანული კონსალტინგური კომპანია LFS Financial Systems GmbH. ბანკს ასევე მხარს უჭერს ევროკავშირი და გერმანული ფონდი GTZ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 14/04 | 15/04 | 16/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 10 | 10 | 12 |
| რიგა | 8 | 6 | 10 |
| ვილნიუსი | 2 | 1 | 8 |
| მოსკოვი | 9 | 7 | 7 |
| მინსკი | 7 | 4 | 8 |
| პარიზი | 14 | 11 | 10 |
| რომი | 19 | 20 | 20 |
| ლონდონი | 11 | 14 | 15 |
| მადრიდი | 21 | 18 | 21 |
| ბონი | 10 | 12 | 8 |
| ვარშავა | 5 | 3 | 12 |
| ათენა | 18 | 20 | 25 |
| ბერნი | 20 | 18 | 18 |
| ამსტერდამი | 5 | 12 | 10 |
| ოსლო | 1 | 3 | 3 |
| ანკარა | 22 | 20 | 21 |
| ვარნა | 19 | 21 | 20 |
| დელი | 38 | 40 | 38 |
| ტოკიო | 15 | 17 | 16 |
| კოპენჰაგენი | 2 | 5 | 8 |
| ბაქო | 26 | 24 | 25 |
| ერევანი | 27 | 29 | 23 |
| ასტანა | 12 | 16 | 12 |
| ჰელსინკი | 2 | 2 | 1 |
| დუბლინი | 6 | 8 | 6 |
| ლისაბონი | 21 | 21 | 20 |
| პრაღა | 4 | 12 | 5 |
| სოფია | 15 | 22 | 22 |
| ბუდაპეშტი | 12 | 20 | 14 |
| ბუხარესტი | 18 | 22 | 21 |

# დაპირისპირება აქციზის გამო

### თამბაქოს დაბეგვრის საკითხი ღიად რჩება

ნინო ნატროშვილი

თამბაქოზე აქციზის განაკვეთის შემცირების საკითხი კვლავ ღიად რჩება. ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში შეტანილმა პროექტმა, რომელიც თამბაქოზე აქციზის 90 თეთრიდან 60 თეთრამდე შემცირებას გულისხმობს, საკომიტეტო ბარიერი ვერ გადალახა. პარლამენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული საკითხი სესიის დღის წესრიგში არ აღმოჩნდა. როგორც "24 საათს" პარლამენტარმა ირაკლი იაშვილმა განუცხადა, აქციზის შემცირების თემაზე კომიტეტებში მწვავე დებატები მიმდინარეობს. მთავრობასთან ბიზნესფედერაციისა და ექსპერტთა კორპუსის აქტიური კონსულტაციებით, საგადასახადო კოდექსში განხორციელებელი ცვლილებების ახალი პროექტი მომზადდა, რომელიც დიფერენცირებული აქციზის შემოღებას ითვალისწინებს. იმპორტირებულ სიგარეტზე 60 თეთრისა და ადგილობრივ ნაწარმზე 40-თეთრიანი აქციზის შემოღების საკითხს საპარლამენტო კომიტეტები კიდევ ერთხელ განიხილავენ. როგორც "24 საათს" პარლამენტარმა შოთა გვენეტაძემ განუცხადა, **"თამბაქოს აქციზის განაკვეთის შესახებ კომიტეტებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მაღალი აქციზი თავისთავად ნიშნავს კონტრაბანდას. ჩვენ შევეცდებით, განაკვეთები იყოს საშუალო, რომ ბიუჯეტში თანხის შეტანა მოხდეს და კონტრაბანდის ლეგალიზაცია განხორციელდეს."**

თამბაქოზე აქციზის განაკვეთების შეცვლა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხუთჯერ მოხდა. საგულისხმოა, რომ თამბაქოზე აქციზის გაზრდას სხვადასხვა რანგში ყოფნისას ზურაბ ნოღაიდელი და მიხეილ მაჭავარიანი მხარს აქტიურად უჭერდნენ. ბოლოს აქციზის განაკვეთი თამბაქოზე ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებისას გაიზარდა და შედეგიც სახეზეა - გადაჭარბებით შესრულებული ბიუჯეტის ფონზე, აქციზის კუთხით გარღვევა დაახლოებით 70 მილიონი ლარი იყო. თამბაქოს იმპორტი კი თითქმის მთლიანად ჩრდილში გადავიდა. ლეგალურად თამბაქოს ნაწარმი მხოლოდ მსხვილ კომპანიებს შემოაქვთ, თუმცა მძიმე სოციალური ფონის გამო იაფფასიან კონტრაბანდას კონკურენციას ვერ უწევენ. ბოლო მონაცემებით, საქართველოს ბაზარზე კონტრაბანდული სიგარეტის წილი 2005 წლის მარტიდან 17 პროცენტიდან 50 პროცენტამდე გაიზარდა, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები კონტრაბანდის აღკვეთის მთავარ პირობად სიგარეტის აქციზის 35-40 თეთრამდე შემცირებას მიიჩნევენ.

მათი აზრით, აქციზის 90-დან 60 თეთრამდე შემცირება მნიშვნელოვნად შეამცირებს არალეგალური გზით სიგარეტის შემოტანას სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, თუმცა თურქეთიდან და რუსეთიდან კონტრაბანდის შემოდინებას ვერ აღკვეთს. ამისთვის საჭიროა, აქციზის განაკვეთი 35-40 თეთრით განისაზღვროს.

პარლამენტარ ირაკლი იაშვილის განმარტებით, **"კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი იმპორტირებულზე და ადგილობრივ სიგარეტზე თანაბარი ოდენობის (50 თეთრი) აქციზის დაწესებას ითვალისწინებდა. ეს იყო მისაღები ვარიანტი, რადგან თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებლები და იმპორტიორები ერთნაირ პირობებში უნდა საქმიანობდნენ."**

როგორც "24 საათმა" გაარკვია, თამბაქოს აქციზის შემცირების საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. მანამდე კი ბაზარზე კონტრაბანდა ლიდერობს.

# საქართველოს მთელი ტურისტულ-ეკონომიკური იმედები აჭარას უკავშირდება



აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველოს მთელი ტურისტულ-ეკონომიკური იმედები აჭარას უკავშირდება. თუ იქ ჩადებულ ინვესტიციებსა და ვიზიტორთა რაოდენობის ყოველწლიურ ზრდას გავითვალისწინებთ, როგორც ჩანს, ეს საკმაოდ პერსპექტიული ბიზნესია. 2005 წლებში შავისზღვისპირეთი 147 ათასმა ტურისტმა მოინახულა, რაც 64 ათასი ადამიანით მეტია 2004 წელთან შედარებით. მართალია, "ლომის წილი" (120 ათასი ტურისტი) კვლავ თანამემამულეებზე მოდის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ორ წელიწადში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 8 ათასიდან 26 ათასამდე გაიზარდა, უთუოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია. როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ირწმუნება, საქართველოსთვის სტრატეგიული ბიზნესის "გაპიარებისთვის" ძალ-ღონეს არ იშურებს. იმის გასარკვევად, თუ რა ღონისძიებები იგეგმება ბათუმში ახალ საკურორტო სეზონზე, საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი" ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი თავართქილაძეს დაუკავშირდა.

**ირაკლი თავართქილაძე:** ძირითადი სამუშაოები ქალაქის ტურისტული ინფრასტუქტურის მოწყობის, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და მისი ღია ცისქვეშა მუზეუმად ქცევის, ასევე, საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემასთან ყველა ტურისტული ობიექტის მისაერთებლად მიმდინარეობს. აქამდე ბათუმის ბულვარში კანალიზაცია საერთოდ არ არსებობდა, ახლა აქ ყველაფერი გადათხრილია და მილებს ყრიან.

პლაჟი კერძო სექტორებად დაიყო და იჯარით კერძო მფლობელების ხელში გადავიდა, რომლებიც მისი კაფე-ბარებითა და ტურისტული ინფრასტრუქტურით მოწყობაზე იზრუნებენ.

მალე გარეგანათების დამონტაჟება დაიწყება და მთელი ქალაქი "გაჩახჩახებული" იქნება. იმავდროულად მთლიანად მოწესრიგდება განათება ჩოლოქიდან ჩაქვამდე.

ბათუმში პლასტიკატებითა და საღებავებით ძველი უსახური შენობების კეთილმოწყობა და შერემონტებაც მიმდინარეობს. სამთავრობო შენობები მინებით შეიბურება, მათ შორის - მინისტრთა საბჭოს შენობა, და ბათუმსაც ახალი კონსტრუქციები დაამშვენებს.

### ბოტანიკური ბაღის დათვალიერებისთვის, შესაძლოა გადასახადი გაიზარდოს

მწვანე კონცხზე ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, კერძოდ, ფილებისა და ასფალტის დაგება, მცენარეების გალამაზება და მათთვის მიმზიდველი იერსახის მიცემა.

ბოტანიკური ბაღის მონახულებისთვის გადასახადი ყოველთვის სიმბოლური იყო - 20 თეთრი. მისი კეთილმოწყობის შემდეგ ფასი, შეიძლება, 50 თეთრამდე გაიზარდოს, თუმცა, ბილეთის ღირებულებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა.

### "ვარსკვლავებიანი" სასტუმროები, სპორტ-კლუბები, კინო-თეატრები, შადრევნები და ათასი წვრილმანი

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყაზახმა ინვესტორებმა უკვე 23 ობიექტი, აქამდე დევნილებით დასახლებული სასტუმროები და ძველი პანსიონატები შეისყიდეს, რის შედეგადაც მომავალ წელს 20 ახალგარემონტებულ სასტუმროს მივიღებთ. მაისის ბოლოს ახალი "ხუთვარსკვლავიანი" სასტუმრო "ინტურისტის" გახსნაც იგეგმება. ბათუმში, კვარიათსა და ქობულეთში წელს ფუნქციონირებას დაიწყებს რამდენიმე პატარა სასტუმრო.

მაისის ბოლოს ხიმშიაშვილის ქუჩაზე "მოცეკვავე" შადრევანთან თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტ-კომპლექსი გაიხსნება, თავისი დახურული საცურაო აუზით, ფიტნესკლუბითა და ჩოგბურთის კორტებით. სულ ცოტა ხნის შემდეგ ბათუმს ახალი კინო-თეატრი "ინტერნაციონალიც" დაამშვენებს. კინო-თეატრ "თბილისის" წინ ახალი "მომღერალი" შადრევანი იქნება, რომლის გარშემო კაფე-ბარები განლაგდება. ყველაფრის განხორციელებას მხოლოდ რამდენიმე კვირა დასჭირდება.

### სომხური ბუმი აჭარაში

აჭარით ტურისტული ჯგუფები სომხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან დაინტერესდნენ. როგორც ვვარაუდობთ, ყველაზე დიდი "ბუმი" სომხეთიდან იქნება, საიდანაც შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ტურისტი ჩამოვა. რაც შეეხება უკრაინასა და რუსეთს, "პრომოუშენისთვის" ამ ქვეყნის ჟურნალისტები მოვიწვიეთ. ბათუმს 10 დღეში, სანკტ-პეტერბურგიდან 6-კაციანი ჯგუფი ესტუმრება, მათ შორის, ტელეკომპანია "ერ ტე ერის", "მირის", აგრეთვე, რადიოარხების ჟურნალისტები. მაისში სომხეთიდან მასმედიის წარმომადგენლები, ტუროპერატორი კომპანიები და სომხეთის ტურისტული დეპარტამენტის ორი წარმომადგენელი ჩამოვლენ. 1-6 ივნისამდე კი უკრაინელი ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლების 15-კაციან დელეგაციას ველოდებით. უკრაინელი ტუროპერატორები ადგილობრივ კომპანიებთან კონტრაქტს გააფორმებენ.

აჭარის რეკლამირებისთვის მონაწილეობა 18 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე - კერძოდ, სტამბოლის, ბერლინის, მოსკოვის, კიევის - მივიღეთ. 12 აპრილს თბილისის, 19-23 აპრილს ბაქოს, 27-29 აპრილს ალმა-ატას, ხოლო 12-14 მაისს - ერევნის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობასაც ვგეგმავთ.

### სეზონის Brilliant-ღონისძიებები

წელს კონტრაქტის მიხედვით ბათუმის პორტში ექვსი გემი შემოდის, მათგან 2 თურქული და 4 ბრიტანული იქნება, რომელთა ბორტზე არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ ამერიკელები, გერმანელები და სხვა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან. "ვიზიტორი" გემების რიცხვი, სავარაუდოდ, 10-მდე გაიზრდება.

შარშანდელი წელი იყო ყველაზე წარმატებული იყო, რადგან ბათუმის პორტში 10 კრუიზული გემი შემოვიდა, რაც, წინა წლებთან შედარებით, 1000 პროცენტით მეტია.

დაგეგმილ ღონისძიებათა რიცხვში ამსტერდამი-პეკინის საერთაშორისო ავტორალიც შედის, მასში მონაწილეობას 60 ანტიკვარული მანქანა მიიღებს. ავტორალის უცხოური მასმედიის 30 წარმომადგენელი გააშუქებს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია აჭარის "გაპიარებისთვის". "აბრეშუმის გზაზე" მომავალი ავტოკოლონა საქართველოში სარფის საბაჟოდან 23 ივლისს შემოვა. იგი აჭარის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთ დღეს დაჰყოფს და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას 26 ივლისს დატოვებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კომერციული ბანკების აქციონერებისთვის შეზღუდვა გაუქმდა

გაუქმებულია შეზღუდვა, რომლითაც კომერციული ბანკების აქციონერებს ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტზე მეტის ფლობა ეკრძალებოდათ. "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" კანონიდან ამოღებულია ამ შეზღუდვის ამსახველი პუნქტი. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ბანკის აქციების 100 პროცენტის ფლობის უფლება უკვე ერთ პირსაც ექნება. ამის შესახებ "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს.

საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზების ეს ინიციატივა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პარლამენტს რამდენიმე თვის წინ წარუდგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განცხადებით, "ხშირ შემთხვევაში, საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ აქციების ფლობაზე დაწესებული ადრე არსებული მოთხოვნა ირღვეოდა. იყო შემთხვევები, როცა კომერციული ბანკების რეალური მესაკუთრეები იძულებულნი იყვნენ, ამოფარებოდნენ ოფშორულ კომპანიებს, მათი სახელით მონაწილეობდნენ ბანკის მართვაში და ფლობდნენ კანონით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის აქციებს."

აქამდე "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკის არც ერთ აქციონერს ან ერთობლივად მოქმედ აქციონერთა ჯგუფს უფლება არ ჰქონდა წილის იმ ოდენობის ფლობის ან/და განკარგვის, რომელიც კომერციული ბანკის გაცხადებული თუ განაღდებული საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტს აღემატებოდა. ეროვნული ბანკი გამონაკლისს უშვებდა მხოლოდ იმ მფლობელის შემთხვევაში, თუკი მას საბანკო ლიცენზია ექნებოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ რომან გოცირიძის განმარტებით, "ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილება მნიშვნელოვნად გააადვილებს ქართულ საბანკო სივრცეში ინვესტიციების შემოდინებას". **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე 26 გარიგება დაიდო

საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე 2006 წლის პირველ კვარტალში 26 გარიგება დაიდო. მათ შორის, 7-დღიან აუქციონებზე 12-ჯერ, 28-დღიანზე - 13-ჯერ, 56-დღიანზე - ერთხელ. პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ 2006 წლის I კვარტალში 7-დღიან აუქციონებზე დადებულ გარიგებათა მოცულობამ 15.65 მლნ ლარი შეადგინა, 28-დღიან აუქციონებზე - 14.7 მლნ ლარი, ხოლო 56-დღიანზე - 1.5 მლნ ლარი. ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20.65 მლნ ლარი შეიძინა (დადებულ გარიგებათა მოცულობის 64.8 პროცენტი). 7-დღიანი აუქციონების გარიგებათა მთლიანი მოცულობა 2006 წლის I კვარტალში, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8.15 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო 28-დღიანის 61.05 მლნ ლარით შემცირდა.

მარტში 18 ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონი გაიმართა. მათ შორის, ცხრა 7-დღიანი და ამდენივე 28-დღიანი.

ამავე პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 7-დღიან აუქციონებზე შესყიდული საკრედიტო რესურსების მოცულობა 12 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიურ 4.25 პროცენტს; 28-დღიან აუქციონებზე შესყიდული რესურსის მოცულობა 8.65 მლნ ლარია, ხოლო საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი - წლიური 7.14 პროცენტი.

მარტში 56 და 84-დღიან ბანკთაშორის აუქციონებზე ვაჭრობა არ გამართულა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისიის სხდომის დადგენილების (N3, 17.03.2006) თანახმად, ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესყიდული რესურსების მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 7-დღიანი აუქციონისათვის 7 პროცენტით, ხოლო 28-დღიანისათვის 10 პროცენტით განისაზღვრა.

სადეპოზიტო და რეპო აუქციონი I კვარტლის განმავლობაში არ ჩატარებულა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

10 ... 2006
010.260.030.38.101.002.429

"საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის "ზ" ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის საფუძვლებზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულება, დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს "ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის N38 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

**ქალაქ თბილისის მერი** **გიორგი უგულავა**

*დანართი N1*

### ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**თავი I. ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.**

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (შემდგომში-სამსახური) შექმნილია "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ" საქართველოს კანონისა და "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ქ.თბილისის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი განვითარებისათვის საჭირო ღინისძიებების რეალიზებას და აღნიშნულ სფეროში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელებას.
2. სამსახური, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ" საქართველოს კანონით, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართევლოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით, საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით. მათი შესრულების უზრუნველსაყოფად სამსახური წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.
3. სამსახური წარმოადგენს Qქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.
4. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის პრემიერის წარდგინებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.
5. სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში ქ.თბილისის ხაზინაში, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.
6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ქ.თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.
7. სამსახური წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის 5.05.2005 N27 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებული ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრეს.
8. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24, საფოსტო ინდექსი 0102.

**თავი II. სამსახურის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი**

**მუხლი 2.**

1. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქ.თბილისის ტერიტორიაზე ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.
2. საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის ფუნქციებს, მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განეკუთვნება:

ა) არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა ქ.თბილისის საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე;

ბ) ქ.თბილისის მერიის სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობის მიღება ქ.თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში;

გ) ქ.თბილისის ტერიტორიულ სივრცითი პოლიტიკის რეალიზაციისათვის აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება და დადგენილი წესით დამტკიცება;

დ) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად კერძო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ე) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად ქ.თბილისის მერიასთან ერთად კონკურსებისა და აუქციონების მოწყობა;

ვ) ქალაქთმშენებლობითი ამოცანების (განვითარება, რეაბილიტაცია, იერ-სახის აღდგენა-მოწესრიგება) გადასაწყვეტად კონკურსების მოწყობა;

ზ) დადგენილი წესით ნებართვის გაცემა მშენებლობაზე, პროექტის შეთანხმება ან დამტკიცება არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლაზე (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებისა);

თ) ქალაქის მიწის გამოყენების გეგმით დასახული პოზიციების კოორდინაცია, ქალაქის რაიონებში მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება;

ი) ნებისმიერი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისათვის ქალაქთმშენებლობითი პირობების მომზადება;

კ) საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება;

ლ) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით განხილვის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და დადგენილი წესის შესაბამისად მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;

მ) მონაწილეობის მიღება ქალაქის ტერიტორიაზე ყველა სახის მშენებლობის გათვალისწინებით მორიგი მიწის გამოყენების გეგმის შედგენაში ახლად ასაშენებელ და სარეკონსტრუქციო ობიექტების დაპროექტების სტადიურობის, ესკიზური, ვარიანტული და საკონკურსო დამუშავების განსაზღვრაში, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა;

ნ) სამსახურის ფუნქციათა დაქვემდებარებულ საკითხებში სრულფასოვანი საინფორმაციო ბანკის შექმნა და მონიტორინგი;

ო) სამშენებლო საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება;

პ) თავისი საქმიანობის სფეროში შემავალი დაგეგმვის განვითარებისათვის ბიუჯეტგარეშე კაპიტალის (ინვესტიციების, კრედიტების და ა.შ.) მოზიდვა, ეფექტური საინვესტიციო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;

ჟ) დაქვემდებარებულ სფეროებში დამკვეთის დავალების განხორციელება;

რ) დადგენილი წესით, სამსახურში მომუშავე კადრების კვალიფიკაციისათვის ზრუნვა;

ს) დარგში თანამედროვე საინფორმაციო ბანკისა და საინფორმაციო სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

ტ) მონაწილეობის მიღება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემულ) იმ სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებაში ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხაება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

უ) საბუთების მომზადება და საკითხის გატანა მიწის მართვისა და განკარგვის კომისიაზე;

ფ) ურთიერთთანამშრომლობა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის შესაბამის სტრუქტურებთან, საჭიროების შემთხვევაში მათთან მოლაპარაკებების წარმოება და ხელშეკრულებების დადება;

ქ) საზოგადოების ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობის, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე;

ღ) თავისი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გრანტების მოზიდვა;

ყ) საამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

შ) მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის მასალებისა და კონსტრუქციების ახალი სახეობების დანერგვის ორგანიზება;

ჩ) ქ.თბილისის მიწის გამოყენების გეგმაზე მომუშავე ჯგუფებთან აქტიური ურთიერთობა სატრანსპორტო ქსელის დაგეგმარებაში;

ც) ქალაქის ცალკეული უბნების რეკრეაციული სივრცეების, გამწვანებული ტერიტორიების, გზების მონაკვეთების, მოედნების, გზაჯვარედინების, ავტოსადგომებისა და ა.შ. დაგეგმარების ორგანიზება;

ძ) ახალმშენებლობების სატრანსპორტო ქსელზე მოქმედების ანალიზი და კონტროლი;

წ) არსებული მდგომარეობის კონტროლი და ამისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების ათვისება;

ჭ) ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული გარემოს ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილების შეფასების მოდელირება;

ხ) ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების საზღვრებში ცალკეული შენობების (გარდა უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისა) რესტავრაციის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, ადაპტაციის და ახალი შენობა-ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვა;

ჯ) მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, ქ. თბილისში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და შენარჩუნება, ქ. თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გარემოცდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა. დედაქალაქის ფასეული ლანდშაფტების გამოვლენა და მათი დაცვისათვის ხელშეწყობა;

ჰ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით სხვა ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 3**

1. სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს:

ა) მონაწილეობის მიღება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემული) იმ სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებაში ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თავის კომპეტენციაში შემავალი სფეროებისა და განვითარების სრულყოფისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ეფექტიანი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ წინადადებების შემუშავება;

გ) ქ.თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტგარეშე კაპიტალის (ინვესტიციების, კრედიტების დ.ა.შ.) მოზიდვა, ეფექტური საინვესტიციო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა;

დ) ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე რეფორმების ელემენტების (მათ შორის მონუმენტურ-დეკორატიული), მცირე არქიტექტურული ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, ტრანსპორტზე განთავსებული (გარეთ და შიგნით), რეკლამის, გარე რეკლამების მხატვრული იერსახის და განთავსების განხილვა-შეთანხმება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ე) შენობა-ნაგებობების ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტების განხილვა, კოლორის შეთანხმება;

ვ) ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი Gგაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინვესტიციო წინადადებების მომზადება;

ზ) დედაქალაქის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის შემუშავება;

თ) ინტერესების დაცვა როგორც ზემდგომ ინსტანციაში, ისე სასამართლოს მეშვეობით;

ი) საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, ეფექტიანი, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ შეიმუშაოს წინადადებები მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების განვითარებისა და სრულყოფისათვის;

კ) საჭიროების შემთხვევაში მოიზიდოს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები;

ლ) თავისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მიიღოს გრანტები;

მ) ჰქონდეს საკუთარი პერიოდული და სხვა გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე;

ნ) მოამზადოს სარეკლამო და შემეცნებითი მნიშვნელობის სხვა მასალა, მოახდინოს მათი ტირაჟირება და გავრცელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ო) კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მთავრობასთან ერთად, მოაწყოს აუქციონები, კონკურსები, ტენდერები;

პ) თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით, მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებიდან;

ჟ) დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე დაუყოვნებლივ მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები, წარადგინოს ისინი შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტანციაში;

რ) დადგენილი წესით დადოს გარიგებები და მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოვიდეს საკუთარი სახელით;

ს) კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა საკითხებზე გასცეს ნებართვები;

ტ) საზღვარგარეთ მიავლინოს სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

უ) გამართოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები სიმპოზიუმები, მის კომპეტენციებში შემავალ საკითხებში;

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოითხოვოს მონაცემები დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული შესაბამისი სტატისტიკური ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან.

ქ) ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (პრეს-ცენტრის მეშვეობით) და უზრუნველყოს საზოგადოების სისტემური ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ;

ღ) თავის კომპეტენციის შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ყ) კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები;

შ) საინფორმაციო მასალების (სტატიები, ინტერვიუები, პრეს-ანალიზი, ფოტო-ვიდეო მასალების) მომზადება.

2. სამსახურის უფლებების დაცვა გარანტირებულია მოქმედი კანონმდებლობით, რომელთა დაუცველობისა და/ან დარღვევის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

3. სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მასზე გაცემული სახელმწიფო ქონების შენახვასა და დაცვაზე;

ბ) სპეციალური უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად, საკუთარი სახელითა და თავისი სახსრებით (ქონებით) პასუხი აგოს ნებისმიერ ინსტანციაში მოქმედი ნორმების დარღვევისა და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, კანონით დადგენილი წესით აანაზღაუროს თავისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი (ზარალი);

გ) მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები და შუამდგომლობები, განიხილოს იგი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულებაც შედის მის კომპეტენციაში;

დ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

**თავი III. სამსახურის მართვა**

**მუხლი 4.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) დადგენილი წესით მართავს სამსახურს უშუალოდ, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ( ქვეგანყოფილების) უფროსების მეშვეობით წყვეტს სამსახურის საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) განსაზღვრავს თავის მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) ხელმძღვანელთა ფუნქციებს და კომპეტენციებს;

ე) უფლებამოსილია მოახდინოს თავის უფლებამოსილებათა დელეგირება მოადგილეებსა და სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) ხელმძღვანელებზე;

ვ) ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) დებულებებს და სამსახურის შინაგანაწესს;

ზ) განსაზღვრავს სამსახურის საშტატო განრიგს, ხელფასის ფონდს, სტრუქტურას და წარუდგენს ქ.თბილისის მერს დასამტკიცებლად;

თ) ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებს შორის;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს-ბრძანებას, ამასთან პასუხისმგებელია მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

კ) ზედამხედველობას უწევს მოადგილეების, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების (ქვედანაყოფების) უფროსებისა და სამსახურის მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

ლ) უზრუნველყოფს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა-განვითარებას;

მ) საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას;

ნ) უფლებამოსილია სამსახურის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს;

ო) დადგენილი წესით მართავს სამსახურის ქონებას, ხელს აწერს სამსახურის ფინანსურ დოკუმენტებს;

პ) ქ.თბილისის მერს და მთავრობას წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ჟ) ზრუნავს სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახორციელებს მათ მატერიალურ სტიმულირებას დადგენილი წესით;

რ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე. სამსახურის უფროსის დავალებით, ერთერთი მოადგილე ცვლის სამსახურის უფროსს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას უფროსის არყოფნისას.

4. სამსახურის უფროსის თითოეული მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ სფეროს;

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებას;

გ) დაქვემდებარებულ საკითხებზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

5. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსს, მის მოადგილეს და სამსახურის სხვა მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ.თბილისის მერი.

**თავი IV. სამსახურის ქონება**

**მუხლი 5.**

სამსახურის ქონება წარმოადგენს წარმოადგენს ქ.თბილისის ადგილობრივ საკუთრებას. ამასთან მის მფლობელობაში გაცემული საფინანსო რესურსები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები აისახება სამსახურის დამოუკიდებელ ბალანსზე.

**თავი V. დასკვნითი დებულებანი**

**მუხლი 6.**

1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. თუ ამ დებულების რომელიმე ნორმა რაიმე გარემოების ძალით ბათილად იქცევა, ეს არ მოახდენს გავლენას მთლიანად დებულების ნამდვილობაზე. ბათილი ნორმის ნაცვლად გამოიყენება წესი (ნორმა), რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა სამსახურის მიზანი.

3. დებულებაში ხარვეზების არსებობისას ან იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.

4. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია) აღნიშნავს, რომ შპს "ჯორჯიან ტელეკომმა", შპს "ლაგმა" და შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფმა" კომისიას მიმართა განცხადებით ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ. ზემოაღნიშნული კომპანიები ახორციელებენ საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებას და ესაჭიროებათ საერთაშორისო დაშვების სამნიშნა კოდი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების შესაბამისად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის საფუძველზე.

კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილების "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ციფრების სამნიშნა კომბინაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა შეადგენს 15000 ლარს.

კომისია აღნიშნავს, რომ არსებობს ციფრების სამნიშნა კომბინაციის თავისუფალი ნუმერაციის რესურსი და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილების "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად;
2. აუქციონში გამარჯვებული ნუმერაციის რესურსს აირჩევს შემდეგი ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსიდან: 8-52, 8-53, 8-54;
3. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 17 მაისის 17:00 საათამდე;
4. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;
5. აუქციონის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 2 ივნისის 14:00 საათი;
6. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
7. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ბ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი “თი-ბი-სი’’;

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10 %, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას;

8. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
9. აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის ?13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;
10. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
11. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება; აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის წევრები:** **დ. პატარაია; გ. ფრუიძე; ზ. ნონიკაშვილი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზ. N6) აცხადებს ღია ტენდერს აჭარის ა/რ-ის 2006 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში სამკურნალო დაწესებულებების რეაბილიტაციის, ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ტექნიკური ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესყიდვის ობიექტი**.

**ა) ანესთეზიის აპარატი ვიტალური ფუნქციების მონიტორით 3 ცალი.** (მათი ადგილზე მიწოდება, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. სამედიცინო პერსონალის სწავლება, თანმდევი სამედიცინო მომსახურება, საგარანტიო მომსახურება).

**3.** მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე.

მოწოდების ფორმა და ადგილი - DDP ბათუმი.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტში ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 5 მაისის 10.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 8 მაისის 10.00 საათიდან 16.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზ. N6, მე-5 სართული, ოთახი N21. (ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).**

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: **5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

b) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურიდან);

დ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან და სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამართლებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

**5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**

**ა)** სატენდერო წინადადების ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ ორიგინალი)

**ბ**) მწარმოებელი ფირმის ავტორიზაცია (ორიგინალი)

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ)ინფორმაცია ანალოგიურ შესყიდვაში მონაწილეობის შესახებ.

ე) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკურ ნაკეთობათა და ტექნიკურ მომსახურებაზე (ქსეროასლი ნოტარიულად დამოწმებული) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**6.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლიარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დარჩენილი ორი ეგზემპლიარი ქსეროასლის სახით.

**7.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

**9.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 17 აპრილიდან 2006 წლის 5 მაისამდე 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, აჭარის არ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური

ა/ა 000142101 ბ/კ 220501102 ს/კ 245444844 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი.) მისამართზე: ქ. ბათუმი რუსთაველის გამზირი N6 მე-5 სართული, ოთახი N21.

**12.** დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

**13.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერის შედეგად შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

**14.** ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით, კანონის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში).

**15.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან - სარდიონ დავითაძე, ირმა გედევანიშვილი, შოთა დოლიძე. **ტელ.** 7.01.34. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზ. N6, მე-5 სართული, ოთახი N21.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ავტოპარკი შეადგენს 31 ავტომობილს (16 ერთეული რუსული და 15 ერთეული - უცხოური წარმოების). მომსახურება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, 2006 წლის მაისიდან 2006 წლის დეკემბრის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება (ლოტების მიხედვით) ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 3 მაისის 17:00 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის N30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მე-2 სართული, ოთახი N101.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 4 მაისის 14:00 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

**ამ დოკუმენტებთან ერთად, როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

- ცნობა შსს-დან ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ნასამართლობის შესახებ;
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- შესაბამისობის სერტიფიკატი;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

***შენიშვნა:*** *ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში. საკვალიფიკაციო მონაცემების შემცველი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის) სახით.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-82-89. საკონტაქტო პირი: ირაკლი აბშილავა

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1 - რუსთავის N2 პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

ლოტი 2 - ფოთის N1 პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

ლოტი 3 - ბათუმის პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

ლოტი 4 - კარდიოლოგიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 მაისს 10:00-დან 17:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>. | | | | |

გ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 14 აპრილიდან 4 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ქუთწყალკანალი" (მის: 4600, ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ.N37), აცხადებს ტენდერს საწვავ-საპოხი საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესასყიდი საქონელი: ა) ბენზინი ათ-92 122000 ლიტრი;**
**ბ) დიზელის საწვავი დ-I 78000 ლიტრი**

მიწოდების ადგილი: ქუთაისი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის მაისი- დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 მაისს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, სულხან საბას გამზ.N37, შპს "ქუთწყალკანალი", სატენდერო კომისიის აპარატი,. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან)

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**4.2 ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

**4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

| № | მიწოდებული ობიექტის (საქონელი, სამუშაო, მომსახურება) დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

ე) საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

| № | მოწყობილობა მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |

ვ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| № | თანამდებობა | გვარი,სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |

თ) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი;

ი) საქართველოს ტერიტორიაზე ბენზო-გასამართი სადგურების რაოდენობა.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში N200122900, მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალური ფილიალი, თბილისი, მფო. 220101107, ს/კ 212831550, ბიუჯეტის შემოსავლების სახაზინო კოდია - 300184040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 19 აპრილს 11 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზ.N37, შპს "ქუთწყალკანალი".

7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

9. ტენდერში მონაწილეობისათვის დაუშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენება.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან ზურაბ ბოჭოიძე, მისამართზე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზ.N37 ტელ: (8231) 91625 შპს "ქუთწალკანალი".

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს სფერულ საკეტის მომსახურეობის შესყიდვაზე (ერთი ერთეული) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურეობის გაწევის ადგილია აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო შპს “ენგურჰესი"

3. მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადაა 90 დღე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 მაისის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობას, სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

დ) მსურველი იურიდიული პირის რეკვიზიტები, მისამართი.

ე) ცნობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახე.

ზ) ინფორმაცია მის ხელთ არსებული სარემონტო საშუალებების და ტექნიკის შესახებ.

5.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მეწარმე).

ა) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა ანალოგიური საქმიანობის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში

გ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**
**ზუგდიდის ფილიალი**
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

7. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული.

9. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

10. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

11. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. (215) 301 80.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს სპეცტანსაცმელისა და ინდივიდუალური დამცავი საშუალებების შესყიდვაზე (შემდგომში საქონელი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონელი:

ლოტი I: მიწოდების ადგილი: : გალის რ-ნი დას. საბერიო (შესაძლებელია თვითგატანა).

| № | დასახელება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | კომბინიზონი | ცალი | 105 |
| 2 | ნახევარ კომბინიზონი | ცალი | 30 |
| 3 | ბრეზენტის შარვალ-ხალათი | ცალი | 25 |
| 4 | ბამბეულის შარვალ-ხალათი | ცალი | 148 |
| 5 | ბამბეულის ხალათი | ცალი | 82 |
| 6 | წყალგაუმტარი კოსტუმი | ცალი | 78 |
| 7 | საწვიმარი ლაბადა | ცალი | 55 |
| 8 | დაბამბული ქურთუკი | ცალი | 150 |
| 9 | ბამბეულის წინსაფარი | ცალი | 10 |
| 10 | რეზინის წინსაფარი | ცალი | 30 |
| 11 | მაღალყელიანი რეზინის ჩექმა | წყვილი | 100 |
| 12 | მაღალყელიანი რეზინის ჩექმა (სამონადირეო) | წყვილი | 8 |
| 13 | ბათინკები | წყვილი | 136 |
| 14 | ხელთათმანი ბრეზენტის | წყვილი | 105 |
| 15 | ხელთათმანი კომბინირებული | წყვილი | 756 |
| 16 | ხელთათმანი რეზინის | წყვილი | 459 |
| 17 | ხელთათმანი დიელექტრიკული | წყვილი | 50 |
| 18 | ჩაჩქანი | ცალი | 170 |
| 19 | ხმაურჩამქრობი საყურისი (ნაუშნიკი) | ცალი | 50 |
| 20 | ხმაურჩამქრობი საყურისი (ტამპონი) | ცალი | 4200 |
| 21 | ტილოს ქუდი | ცალი | 7 |
| 22 | შემდუღებლის ფარი | კომ | 8 |
| 23 | საავტიაქო მედიკამენტების ნაკრები (სასწრაფო დახმარების ყუთი საშუალო) | ცალი | 20 |

ლოტი II: მიწოდების ადგილი: ქ. ჯვარი (ჯვარზენი).

| № | დასახელება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | კომბინიზონი | ცალი | 120 |
| 2 | კომბინიზონი ХБ (ელ. შედუღებისათვის). | ცალი | 5 |
| 3 | საწვიმარი | ცალი | 50 |
| 4 | დაბამბული ქურთუკი | ცალი | 120 |
| 5 | გასაბერი რეზინის ნავი (2 კაციანი) | ცალი | 2 |
| 6 | რეზინის ჩექმა | წყვილი | 100 |
| 7 | მაღალყელიანი ჩექმა | წყვილი | 10 |
| 8 | დიელექტრიკული ჩექმა | წყვილი | 3 |
| 9 | ბათინკები | წყვილი | 50 |
| 10 | ხელთათმანი ბრეზენტის | წყვილი | 1000 |
| 11 | ჩაჩქანი | ცალი | 100 |
| 12 | ხმაურჩამქრობი საყურისი (ნაუშნიკი) | წყვილი | 25 |
| 13 | სამაშველო რგოლები | ცალი | 10 |
| 14 | სამაშველო ჟილეტი | ცალი | 10 |
| 15 | ცეცხლმქრობი ელ. დანადგარებისათვის | ცალი | 10 |
| 16 | ცეცხლმქრობი ჩვეულებრივი ОУ-10 | ცალი | 12 |
| 17 | ცეცხლმაქრი ავტომანქანებისათვის | ცალი | 12 |
| 17 | დამცავი სათვალე | ცალი | 30 |
| 18 | სამონტაჟო ქამრები (კაპრონის თოკისთვის) | ცალი | 5 |
| 19 | სამონტაჟო თოკი (კაპრონის) | გრ/მეტრი | 200 |
| 20 | საავტიაქო მედიკამენტების ნაკრები (სასწრაფო დახმარების ყუთი საშუალო) | ცალი | 10 |

3. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადაა 30 დღე.

4. პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო წინადადება წარმოადგინოს ერთ ან ორივე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლინდება ყველა ლორზე ცალცალკე

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 მაისის 15 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებული პირთა თანდასწრებით წინადადებების წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას, საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობას, სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

დ) მსურველი იურიდიული პირის რეკვიზიტები, მისამართი.

ე) ცნობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ანალოგიური საქმიანობის შესახებ.

6.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მეწარმე).

ა) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა ანალოგიური საქმიანობის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში

გ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**
**ზუგდიდის ფილიალი**
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

8. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული.

9. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

10. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებმა სატენდერო წიინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სპეც. ტანსაცმლის ნიმუშები.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. (215) 301 80.

სატენდერო კომისია

## საქმე N2-578 ასლი

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

18 იანვარი 2006 წელი ქ. ქობულეთი

ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რ. მემარნემ ერთპიროვნულად განვიხილე სს "ქობულეთის ტუნგოს ქარხნის" გაკოტრების დროებით მმართველის დანიშვნის შესახებ.

დაადგინა:

1. დაინიშნოს სს "ქობულეთის ტუნგოს ქარხნის" გაკოტრების დროებით მმართველად დათო რევაზის ძე ცეცხლაძე, დაბადებული 1983 წლის 14 დეკემბერს, მცხოვრები ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში, უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე. კვალიფიკაციით ეკონომისტი.

2. აეკრძალოს სს "ქობულეთის ტუნგოს ქარხანას" თავისი ქონების განკარგვა.

3. დაევალოს გაკოტრების დროებით მმართველს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა, კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი, შეასრულოს საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. გაკოტრების დროებით მმართველს დ. ცეცხლაძეს გადაეცეს დანიშვნის დოკუმენტი მითითებული უფლებამოსილებით და თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნოს სასამართლოს.

5. გაკოტრების მმართველის საქმიანობას ზედამხედველობა გაუწიოს გაკოტრების სამმართველომ. სასამართლო მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაკოტრების დროებით მმართველს და ნიშნავს სხვა მმართველს.

6. აეკრძალოს პირს, რომელიც ფლობს სს "ქობულეთის ტუნგოს ქარხნის" საკუთრებაში არსებულ ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმე შესრულებაზე, ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება დაევალოს მხოლოდ გაკოტრების დროებითი მმართველის მიმართ.

7. სასამართლოს განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

8. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლე: ხელმოწერილია რ. მემარნე

ასლი სწორია: კანცელარიის გამგე მ. გაბეჩავა

# განცხადება
# სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს საერთაშორისო ტენდერს

**110 kV ქვესადგურების ("ფოთი 2", "მთავარი არხი" და "სამტრედია 3" ) აღდგენისათვის საჭირო მოწყობილიბების შესყიდვაზე**
**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**
შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სადენი A 400 | მეტრი | 500 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 50 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | სადენი AC 120 | მეტრი | 200 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | საკონტროლო კაბელი КВВГ 4X2,5 (ან მსგავსი) | კმ | 1.5 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 0.9 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 1.4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საკონტროლო კაბელი КВВГ 7X2,5 (ან მსგავსი) | კმ | 1.2 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 0.8 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 1.2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საკონტროლო კაბელი КВВГ 10X2,5 (ან მსგავსი) | კმ | 0.8 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 0.6 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 0.7 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საკონტროლო კაბელი КВВГ 2 X2,5(ან მსგავსი) | კმ | 0.2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | 0,4კვ კაბელი КВВГ 3X25 (ან მსგავსი) | მეტრი | 650 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | 0,4კვ კაბელი ВВГ 3X25+1X10 (ან მსგავსი) | მეტრი | 70 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ძალოვანი კაბელი 10 კვ АВБ 3X75 მმ² (ან ანალოგი) | მეტრი | 30 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | ბუნიკი 120მ² | ცალი | 12 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | ბუნიკი ალუმინის 400მმ² | ცალი | 6 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | | | 18 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| 2 | 110 კვ-ის ამომრთველი ( $I_N$=630 A, $I_K$>20 kA) | კომპლექტი | 2 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 1 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | 110კვ-ის ამომრთველი ($I_N$=1000 A, $I_K$>20 kA) | კომპლექტი | 2 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | 110კვ გამთიშველი РНД 110 (ან მისი ანილოგიური) | კომპლექტი | 6 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | 6-10კვ ამომრთველის (К37) ჩართვის სოლენოიდი =220V | ცალი | 15 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | 6-10 კვ ამომრთველი(ურიკა) К 37 $I_N$=630 A(ან ვაკუმურის პოლუსებზე აწყობა) | კომპლექტი | 4 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | 6-10 კვ ამომრთველი(ურიკა) К 37 $I_N$=1500 A(ან ვაკუმურის პოლუსებზე აწყობა) | კომპლექტი | 1 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | 6-10 კვ ამომრთველის პოლუსი ВМП10 630 A (სპილენძის ტუჩებით) | კომპლექტი | 9 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | სასიგნალო ნათურა ბუდით 220 V, 10 W (ანალოგი ან შემცვლელი, ნეონის) ორი ფერის (წითელი და მწვანე) | ცალი | 70 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | სასიგნალო ნათურა ბუდით 60 V, 50 mA (ანალოგი ან შემცვლელი, ნეონის) | ცალი | 50 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | მართვის ფარის ნათურა 220V 10WT | ცალი | 100 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | მართვის ფარის სასიგნალო ნათურის ბუდე AC-220 | ცალი | 15 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ავტომატური ამომრთველი АП50 2,5A (ან ანალოგი) | ცალი | 15 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | მუდმივი დენის ფარის ავტომატი 250A (ორპოლუსა) | ცალი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | მუდმივი დენის ფარის ავტომატი 100A (ორპოლუსა) | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ცვლადი დენის ფარის ავტომატი 250 (სამპოლუსა) | ცალი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ცვლადი დენის ფარის ავტომატი 100A (სამპოლუსა) | ცალი | 6 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ცვლადი დენის ფარის ავტომატი 50A (სამპოლუსა) | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | მართვის ფარის ავტომატი АП50 2,5A (ორპოლუსა) | ცალი | 10 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | მუდმივი დენის ფარის მცველი $I_N$=10 A | ცალი | 15 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | | | 15 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | მუდმივი დენის ფარის მცველი 63A | ცალი | 10 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | | | 10 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | სიგნალიზაციის რელე РТД-11 (ან ანალოგიური) | ცალი | 2 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | | | 1 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | დიფ. დაცვის რელე ДЗТ-11 | ცალი | 6 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | | | 3 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | დროის რელე ЭВ-132 | ცალი | 3 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | დროის რელე ЭВ-133 | ცალი | 3 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 13.06.06-მდე |
| | თერმო გადამწოდი (თერმო რელე) ТКС 120 | ცალი | 2 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | რელე РПУ- 2-М3 | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე РП 11 | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე РП 8 | ცალი | 6 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე РБМ РП232-1А | ცალი | 8 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე მაჩვენებლიანი РУ11-1А | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე მაჩვენებლიანი РУ11- 0,05A | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე მაჩვენებლიანი РУ11- 0,025A | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე დროის РВ133 =220V | ცალი | 4 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე ძაბვის РН-53/400 | ცალი | 3 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე ძაბვის РН-54/320 | ცალი | 3 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | რელე ძაბვის РН-51/М18 | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | დენის ტრ-რი ТФЗМ-110 ან ანალოგიური 200/5 | ცალი | 6 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | დენის ტრ-რი ТФЗМ-110 ან ანალოგიური 600/5 (300/5) | ცალი | 9 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | დენის ტრ-რი ТФЗМ-110 ან ანალოგიური 75/5 | ცალი | 3 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 05.06.06-მდე |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი НАМИ-6 ტიპის ან ანალოგიური | ცალი | 2 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი НТМИ-6 ტიპის ან ანალოგიური | ცალი | 3 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| 3 | 10კვ ძაბვის ტრანსფორმატორი НАМИТ-10-2-ის ანალოგიური | ცალი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | 110კვ ძაბვის ტრანსფორმატორი НКФ-110-ის ანალოგიური | ცალი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ძალოვანი ტრ-რის ვენტილატორის ელ. ძრავა 380V 0,25 kW, პროპელერით | კომპლექტი | 20 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი 40კვა | ცალი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორის უჯრედი (КТП) | კომპლექტი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | სააკუმულატორო ბატარეა ქვესადგურისთვის მუდმივი 220 ვოლტი 300 ა/სთ (სასურველია დახურული) | კომპლექტი | 1 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | სააკუმულატორო ბატარეა ქვესადგურისთვის მუდმივი 220 ვოლტი 300 ა/სთ (სასურველია დახურული) | კომპლექტი | 1 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | დამმუხტი ВЗП 380/260- 80/40 -ის ანალოგიური | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | დამმუხტი ВЗП 380/260- 80/40 -ის ანალოგიური | ცალი | 1 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | მცლელი РВМ-6 | ცალი | 6 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| 4 | ზეთი სატრანსფორმატორო (ტიპი Т1500) | ტონა | 30 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 27 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 15 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | დისტილატორი (საათში არანაკლებ 10 ლიტრი) | ცალი | 1 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 1 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 13.06.06-მდე |
| | იზოლაციის კონტროლის გასაღები КФ-11/ПIVC | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | გასაღები КФ-88/ПIVC | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | გასაღები КФ-60/ПVI | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | გასაღები КФ-1155/ПIVC | ცალი | 2 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | ერთი ბალონი, აზოტით სავსე | ცალი | 1 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | 110-35კვ გამთიშველების რემონტისათვის | | | | |
| | საღებავი (ფერი - რუხი) | კგ | 35 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 35 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 45 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საღებავი (ფერი - წითელი) | კგ | 5 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 5 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 6 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |
| | საპოხი | კგ | 7 | ქ. სენაკი, იპოდრომის ქ. №8 | 08.06.06-მდე |
| | | | 5 | ქ. რუსთავი, რუსთაველის №20 | 08.06.06-მდე |
| | | | 7 | ქქუთაისი, ნიკიას III შესახვევი №4 | 13.06.06-მდე |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 18 მაისიდან 2006 წლის 13 ივნისი ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 4 მაისიდან 8 მაისის 1500 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით (რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთ დახურულ კონვერტში) და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - ხელშეკრულების ჯამური ღირებუყლების 5 %-ის ოდენობით (რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში).

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 31 მაისის ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე**: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 8 მაისამდე..

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)504804. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამზარეულო ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2.**შესყიდვის ობიექტი**:

**ლოტი I** - სწრაფი კვების ლანგრის კომპლექტი.

(უჟანგავი ლითონის ლანგარი - 4000ცალი., ჯამი პირველი თავის კერძისთვის - 4300ცალი, ჩაის ჭიქა ყურიანი - 4000ცალი, სადილის კოვზი - 4000ცალი, ჩაის კოვზი - 4000ცალი, ლითონის უჟანგავი დანა - 4000ცალი, ჩანგალი - 4000ცალი)

3. **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N10

4. **დაფინანსების წყარო** - სახელმწიფო ბიუჯეტი და "ბპს"-თან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი.

5. **მიწოდების სასურველი ვადა**: 2006წლის 31 ივნისი.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 5 მაისი, 1000 საათიდან 13.00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

8. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

*სოფლის მეურნოების სამინისტროს მიერ 2006 წლის 23 მარტის N62-ში სასუქების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების*

# შ ე ს წ ო რ ე ბ ა

1. განცხადების პირველ პუნქტში 9041 ტონის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 9773.95 ტონა მინერალური სასუქი.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს**
**სატენდერო კომისია**

# ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის) 2006 წლის 11 აპრილის გაზეთ "24 საათში" შეტანილ იქნას ცვლილებები:

კერძოდ:

დაემატოს შესყიდვის ობიექტს.

ლოტი III - ქ.ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ,N12 (ორსათულიანი შენობის პირველი სართულის კაპიტალური რემონტი 800კვ\მ-ზე და ეზოს კეთილმოწყობა)

**სატენდერო კომისია**